ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

UNDP

საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ

EaP | Eastern Partnership

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

weg
World Experience for Georgia

UNDP

დოკუმენტი მომზადდა EU/UNDP-ის EU4Climate პროგრამის ფარგლებში CRIS-ENI/2017/387-538.

ანგარიშის მომზადების თარიღი:	20 ივნისი 2022
ანგარიშის მომზადების პერიოდი:	20 თებერვალი 2022 – 20 ივნისი 2022
პროექტის პარტნიორები:	European Environmental Agency (Denmark) Environment Agency Austria (Austria) Energy Community Secretariat (Austria)

მომზადდა ანალიტიკური ცენტრის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ მიერ

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ანალიტიკური ცენტრი „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ

ავტორები:

გიორგი მუხიგულიშვილი

თუთანა კვარაცხელია

ნატალია შათირიშვილი

მედეა ინაშვილი

ირაკლი ურგებაშვილი

კონტრიბუტორები:

მურმან მარგველაშვილი

ელისაბეთ კემპელი

ეკატერინე მიქაძე

შინაარსი

შემოკლებები 5

შესავალი 9

მეთოდოლოგია 13

ევროპის მწვანე შეთანხმებასთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირსა და საქართველოში 15

- გამჭოლი საკითხები 15
- დეკარბონიზაცია 23
- ცირკულარული ეკონომიკა 35
- ბიომრავალფეროვნება 42
- დაბინძურების შემცირება 43
- მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები 46

პროგრეს ინდიკატორები ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელების მონიტორინგისთვის 49

- საერთო ინდიკატორები 49
- დეკარბონიზაცია 51
- ცირკულარული ეკონომიკა 65
- ბიომრავალფეროვნება 72
- დაბინძურების შემცირება 73
- მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები 77

საქართველოს პოლიტიკის ჩარჩოს ევროპის მწვანე შეთანხმებასთან შესაბამისობის კუთხით არსებული ხარვეზები და მათი გადაჭრის რეკომენდაციები 79

- გამჭოლი საკითხები 81
- დეკარბონიზაცია 86
- ცირკულარული ეკონომიკა 96
- ბიომრავალფეროვნება 99
- დაბინძურების შემცირება 101
- მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები 105

კარგი პრაქტიკის მაგალითები საქართველოში 107

- ნეტო აღრიცხვის რეგულაცია 107
- ნიკო კეცხოველის პრიზი 111
- ბიოდიზელის წარმოება საქართველოში 113
- საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება 116
- ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში 117
- უდაბნო შპს 120

შემოკლებები

AA	Association Agreement/ასოცირების შეთანხმება
ACER	European Union Agency for the Cooperation of Energy Regulators/ევროპის ენერგეტიკის მარეგულირებლების სააგენტო
ADSL	Asymmetric digital subscriber line/აბონენტის ასიმეტრიული ციფრული ხაზი
AFD	Agence Française de Développement/საფრანგეთის განვითარების სააგენტო
BDD	Basic Data and Direction/ძირითადი მონაცემები და მიმართულებები
BSEC	Black Sea Economic Cooperation/შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
CARI	Coal Regions in Transition and Clean Air Regions Initiative/ქვანახშირის და სუფთა ჰაერის რეგიონების ინიციატივა
CBAM	Carbon Border Adjustment Mechanism/ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმი
CCC	Climate Change Council/კლიმატის ცვლილების საბჭო
CENN	Caucasus Environmental NGO Network/კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CLRTAP	Convention on Long-Range Transboundary Air Pollution/ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენცია
CMA	Common Maritime Agenda for the Black Sea/შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგი
CoM	Covenant of Mayors/მერების შეთანხმება
COP26	The 2021 United Nations Climate Change Conference/გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენცია
CSA	Climate-Smart Agriculture/კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა
CSAP	Climate Strategy and Action Plan/კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
DAI	Digital Adoption Index/ციფრული ადაპტაციის ინდექსი
DANIDA	Danish International Development Agency/დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Agreement/ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
DESI	Digital Economy and Society Index/ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი
DG RTD	Directorate General for Research and Innovation of the European Commission/ ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატი
DMC	Domestic Material Consumption/ქვეყნის შიგნით მოხმარებული რესურსები

EBA	European Battery Alliance/ბატარეების ევროპული ალიანსი
EBRD	European Bank for Reconstruction and Development/ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC	Energy Community/ენერგეტიკული გაერთიანება
EE	Energy Efficiency/ენერგოეფექტიანობა
EED	Energy Efficiency Directive/დირექტივა ენერგოეფექტიანობის შესახებ
EGD	European Green Deal/ევროპის მწვანე შეთანხმება
EGDIP	European Green Deal Investment Plan/ევროპის მწვანე შეთანხმების საინვესტიციო გეგმა
EIEC	Environmental Information and Education Center/გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
EPR	Extended Producer Responsibility/მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება
ESCO	Electricity System Commercial Operator/ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
ESR	Effort Sharing Regulation/ძალისხმევის გაზიარების რეგულაცია
ETS	Emissions Trading System/ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სქემა
EU	European union/ევროკავშირი
EUR	Euro/ევრო
FAO	Food and Agriculture Organization of the United Nations/გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GCAP	Green City Action Plan for Tbilisi/თბილისის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა
GCF	Green Climate Fund/კლიმატის მწვანე ფონდი
GDP	Gross Domestic Product/მთლიანი შიდა პროდუქტი
GEOSTAT	National Statistics Office of Georgia/საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GHG	Greenhouse Gas/სათბურის აირები/გაზები
GIZ	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit/გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GNERC	Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission/საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია
GoG	Government of Georgia/საქართველოს მთავრობა
GSE	Georgian State Electrosystem/საქართველოს ელექტროსისტემა
GVA	Gross Value Added/მთლიანი დამატებული ღირებულება
GW	Gigawatts/გიგავატი
GWMA	Georgian Waste Management Association/საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაცია

Ha	hectare/ჰექტარი
HIS	Heating system improvements/გათბობის სისტემის გაუმჯობესება
IBAT	Integrated Biodiversity Assessment Tool/ბიომრავალფეროვნების შეფასების ინტეგრირებული ინსტრუმენტი
ISET	International School of Economics at Tbilisi State University/თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
ISUMP	Integrated Sustainable Urban Mobility Plan for the City of Batumi/ქალაქ ბათუმის მდგრადი საქალაქო ტრანსპორტის ინტეგრირებული სტრატეგია
JTM	Just Transition Mechanism/სამართლიანი გარდაქმნის მექანიზმი
KfW	Kreditanstalt für Wiederaufbau/რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
LT-LEDS	Long-Term Low GHG Emission Development Strategy/დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია
LULUCF	Land Use, Land Use Change and Forestry/ მიწათსარგებლობა, ცვლილებები მიწათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობა
MEPA	The Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MHDRIS	Multi-Hazard Disaster Risk Information System/საინფორმაციო სისტემა მრავალი საფრთხის და ბუნებრივი კატასტროფის რისკის შესახებ
MIA	Ministry of Internal Affairs/შინაგან საქმეთა სამინისტრო
MoESD	Ministry of Economy and Sustainable Development/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MRDI	The Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia/საქართველოს რეგიონული განვიტარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
MRV	Monitoring, Reporting and Verification/მონიტორინგი, ანგარიშგება და გადამოწმება
MSP	Maritime Spatial Planning/საზღვაო სივრცითი დაგეგმარება
MSW	Municipal Solid Waste/მუნიციპალური მყარი ნარჩენები
MW	Megawatts/მეგავატი
NBG	National Bank of Georgia/საქართველოს ეროვნული ბანკი
NBSAP	National Biodiversity Strategies and Action Plans/ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმები
NCP	National Climate Platform/კლიმატის ეროვნული პლატფორმა
NDC	Nationally Determined Contributions/ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წილი
NEAP	National Environmental Action Programme/საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა
NECP	National Energy and Climate Plans/ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმა
NEEAP	National Energy Efficiency Action Plan/ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა

NEFCO	Nordic Environment Finance Corporation/ჩრდილოეთ ქვეყანათა გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაცია
NHA	National Hydrogen Association/წყალბადის ეროვნული ასოციაცია
NIR	National GHG Inventory Report/საქართველოს ეროვნული სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ანგარიში
OECD	Organization for Economic Co-operation and Development/ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PFAs	Per- And Polyfluoroalkyl Substances/პერ- და პოლიფტორალკილის ნივთიერებები
POP	Persistent Organic Pollutants/მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები
PPP	Public-Private Partnership/საჯარო და კერძო თანამშრომლობა
RED	Renewable Energy Directive/დირექტივა განახლებადი ენერგიის შესახებ
SDC	Swiss Agency for Development and Cooperation/შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
SDG	Sustainable Development Goals/მდგრადი განვითარების მიზნები
SECAPs	Sustainable Energy and Climate Action Plans/მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა
SEIP	Sustainable Europe Investment Plan/ევროპის მდგრადი საინვესტიციო გეგმა
SIDA	Swedish International Development Cooperation Agency/შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო
SME	Small and Medium Enterprises/მცირე და საშუალო საწარმოები
TEN-T	Trans-European Transport Network/ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი
UCO	Used Cooking Oil/გამოყენებული საკვები ზეთი
UN	United Nations/გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNCLOS	United Nations Convention on the Law of the Sea/გაეროს კონვენცია ზღვის კანონის შესახებ
UNDP	United Nations Development Programme/გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE	United Nations Economic Commission for Europe/გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის
UNFCCC	United Nations Framework Convention on Climate Change/გაეროს ჩარჩო-კონვენცია კლიმატის შესახებ
USAID	United States Agency for International Development/აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
VRE	Variable Renewable Energy/ცვლადი განახლებადი ენერგია
WMTR	Waste Management Technologies in Regions/ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში

შესავალი

2019 წლის დეკემბერში მიღებული **ევროპის მწვანე შეთანხმება** (EGD) არის ევროკავშირის ახალი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის გარდაქმნას უფრო სამართლიან და წარმატებულ საზოგადოებად. შეთანხმების მიზანია შექმნას თანამედროვე რესურსეფექტური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, სადაც 2050 წლისთვის სათბურის გაზების ნეტო-გაფრქვევები ნული იქნება და სადაც ეკონომიკური ზრდა გაგრძელდება რესურსების მოხმარების შემცირების პარალელურად. EGD ასევე მიზნად ისახავს ევროკავშირის ბუნებრივი რესურსების დაცვას, შენარჩუნებას და გაძლიერებას და მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას გარემოსთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედებისგან. ამავდროულად, ეს გარდაქმნა უნდა იყოს სამართლიანი და ინკლუზიური. მწვანე შეთანხმება არის ევროკავშირის ახალი მიდგომა გაეროს 2030 წლის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად არა მხოლოდ ევროკავშირის ტეროტორიაზე, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მწვანე შეთანხმება მეზობელ რეგიონებთან ევროკავშირის საგარეო დახმარების ძირითადი კომპონენტია. მის ფარგლებში, ევროკავშირი გააძლიერებს მხარდაჭერას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების მიმართ, მათ შორის, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების კუთხით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გარემოსდაცვითი და კლიმატის გამოწვევები მოითხოვს ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მხრიდან დაუყოვნებლივი ქმედებების გატარებას.

EGD მიზნად ისახავს სამი ძირითადი მიზნის მიღწევას. პირველ რიგში, ის ფოკუსირებულია სათბურის გაზების ნულოვანი ნეტო-გაფრქვევების მიღწევაზე კონკრეტული სტრატეგიების შეთავაზებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ გაფრქვევების შემცირებას ყველა სექტორში, განსაკუთრებით - ენერგეტიკის სექტორში, რომელიც ევროკავშირის სათბურის გაზების ჯამური გაფრქვევების 75%-ზე მეტს მოიცავს. შეთანხმების მიზანია ენერგომოხმარებაში ენერგიის განახლებადი წყაროების წილის გაზრდა.

მეორე, ევროკავშირი გეგმავს ეკონომიკურ ზრდასთან ერთად შეამციროს რესურსების მომხარება. მიუხედავად იმისა, რომ გაფრქვევები შემცირდა ბოლო ათწლეულში, ევროპა რჩება მსოფლიოში რესურსების მთავარ მომხმარებლად. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ წინსვლას, არამედ ცხოვრების სტილის, თემებისა და საზოგადოებების საჭიროებების ახლიდან გააზრებას.

მესამე მიზანია მწვანე ტრანზიციის ხელშეწყობა ყველას თანამონაწილეობით, რაც სამართლიანი გარდაქმნის მექანიზმით განხორციელდება. მექანიზმი უზრუნველყოფს 65-75 მილიარდი ევროს მობილიზაციას 2021-2027 წლების განმავლობაში, გარდაქმნის სოციალურ-ეკონომიკური უარყოფითი ზეგავლენების შესამსუბუქებლად.

ევროკავშირის მწვანე შეთანხმების განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, არსებობს მწვანე დღის წესრიგის ხუთი მიმართულება[1]:

1. კლიმატური აქტივობა/დეკარბონიზაცია, რომელიც მოიცავს ენერგეტიკას, ტრანსპორტს და სხვა სექტორებს.
2. ცირკულარული ეკონომიკა, რომელიც მოიცავს ნარჩენების გადამუშავებას, მდგრადი წარმოების და რესურსების ეფექტურად გამოყენებას.
3. ბიომრავალფეროვნება, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრის დაცვას და აღდგენას.
4. ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებასთან ბრძოლა და
5. მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები.

ციფრული განვითარება არის ხუთივე მიმართულების გამაძლიერებელი ფაქტორი, მწვანე და ციფრული გარდაქმნის კონცეფციის შესაბამისად. ამ მიმართულებების მიზნები უნდა განხორციელდეს კონკრეტული ქმედებებით და მხარდაჭერილი მექანიზმებითა და ფინანსური ინსტრუმენტებით.

EGD რვა პოლიტიკის სფეროთი - ბიომრავალფეროვნება, მდგრადი სასურსათო სისტემები, მდგრადი სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერგია, მდგრადი ინდუსტრია, ენერგოეფექტური მშენებლობა, მდგრადი მობილობა, დაბინძურების აღმოფხვრა და კლიმატური აქტივობები[2] - წარმოადგენს უპრეცენდენტო ძალისხმევას 50-ზე მეტი ევროპული დირექტივისა და რეგულაციის და საჯარო პოლიტიკების გადახედვით.

ევროპის მწვანე შეთანხმება არის ევროკომისიის პოლიტიკის ინიციატივების ერთობლიობა, რომლის მთავარი მიზანია ევროკავშირი (EU) გახადოს კლიმატ ნეიტრალური 2050 წლისთვის. ეს მიზანი გამყარდა კლიმატის კანონის მიღებით, რომელიც აწესებს შემდეგ სამიზნე მაჩვენებლებს: 1990 წელთან შედარებით 2030 წლისთვის მინიმუმ 55%-ით შეამციროს სათბურის გაზების გაფრქვევები და 2050 წლისთვის მიაღწიოს სათბურის გაზების ნეტო გაფრქვევების ნულოვან დონეს (კლიმატ ნეიტრალურობა).

კომისიამ პირველი ევროპული „კლიმატის კანონი“ წარმოადგინა 2020 წელს. კლიმატის კანონი უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირის ყველა პოლიტიკამ ხელი შეუწყოს ნულოვანი ნეტო-გაფრქვევების მიზნის მიღწევას და ყველა სექტორმა თავისი როლი შეასრულოს ამ პროცესში.

[1] green_agenda_for_the_western_balkans_en.pdf (europa.eu)

[2] The European Green Deal: What to know and what comes next | World Economic Forum (weforum.org)

2021 წლის ივლისში ევროკომისიამ გამოაქვეყნა „Fit for 55“ პაკეტი ცვლილებების პირველი ნაწილი, რომელსაც მოჰყვა მეორე ნაწილი წყალბადის და დეკარბონიზებული გაზის ბაზრების პაკეტის ჩათვლით 2021 წლის დეკემბერში. „Fit for 55“ პაკეტი წარმოადგენს საკანონმდებლო წინადადებებს, რომელიც ადგენს, თუ როგორ აპირებს ევროკავშირი მიაღწიოს კლიმატის მიზნებს მწვანე შეთანხმების ფარგლებში. ეს წინადადებები მოიცავს არსებული და ახალი კანონმდებლობის გადასინჯვას. 2022 წლის მარტში, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ევროკომისიამ წარმოადგინა REpowerEU გეგმა, რათა შემცირდეს ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ წიაღისეულ საწვავზე 2027 წლისთვის. გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო 2022 წლის 18 მაისს, ადგენს განახლებადი ენერგიის (45%) და ენერგოეფექტურობის (13%) განვითარების ახალ სამიზნე მაჩვენებლებს[3].

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმება და საქართველოს ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის კანონმდებლობის ეროვნულ კანონმდებლობაში მომავალი ტრანსპოზიციისთვის. საქართველომ, როგორც ევროკავშირის არაწევრმა ქვეყანამ, 2014 წელს მოაწერა ხელი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, სადაც ხაზგასმულია თანამშრომლობის აუცილებლობა კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის, ემისიებით ვაჭრობის, კლიმატის ცვლილების პოლიტიკის სექტორულ პოლიტიკებში ინტეგრაციის და სუფთა ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით.

2016 წელს საქართველოს გაერთიანებამ ენერგეტიკულ გაერთიანებაში ასევე წაახალისა კლიმატთან დაკავშირებული საკითხების სექტორთაშორისი ინტეგრაცია. გაერთიანების ხელშეკრულება მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის დირექტივებთან და რეგულაციებთან. კლიმატის ცვლილების კონტექსტში ხელშეკრულება მოიცავს გარკვეულ ვალდებულებებს, რომლებიც მოითხოვს ენერგოეფექტურობის გაზრდას; განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ხელშეწყობას (რაც ემსახურება ეკონომიკის დეკარბონიზაციას) და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის (NECP) შემუშავებას.

NECP არის ევროკავშირის ახალი ინიციატივა და ენერგეტიკული კავშირის წევრ ქვეყნებს ასევე აქვთ რეკომენდაცია შეიმუშაონ ერთიანი, ინტეგრირებული პოლიტიკა და ზომები ენერგეტიკისა და კლიმატის საკითხებზე ეროვნულ დონეზე. NECP-ის განვითარების პროცესი მიმდინარეობს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) და მისი კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების პარალელურად. NECP მოიცავს 2021-2030 პერიოდს და მოიცავს 2050 წლის ხედვას, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის, ენერგეტიკული გაერთიანების ან UNFCCC-ის პოლიტიკის მიზნებს.

[3] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM%3A2022%3A230%3AFIN&qid=1653033742483

საქართველომ წარადგინა განახლებული NDC 2021 წლის 5 მაისს, რითიც აიღო უპირობო ვალდებულება 2030 წლისთვის შეამციროს სათბურის გაზების გაფრქვევები 35%-ით 1990 წელთან შედარებით, და გაზარდოს ეს სამიზნე მაჩვენებელი 50-57%-მდე საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში.

ამ კვლევის მიზანია შეაფასოს, რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული პოლიტიკის ჩარჩო ევროკავშირის მწვანე შეთანხმების პოლიტიკას და რა არის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს. ეს კეთდება ევროკავშირის მწვანე შეთანხმების ძირითადი მიმართულებების შესაბამისი ქართული პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე და არსებული ნაკლოვანებების გამოვლენით. ნაკლოვანებების ანალიზს ავსებს ეროვნული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. დოკუმენტში წარმოდგენილია ასევე ინდიკატორები მწვანე შეთანხმების ცალკეული მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებთ პროგრესის შეფასებაში. ეს კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობას გზამკვლევის შემუშავებაში საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი შესაბამისობისთვის EGD-ის პოლიტიკასთან და საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის მოზიდვაში.

მეთოდოლოგია

საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ მოიცავს:

EGD-ის შესაბამისი საქართველოს პოლიტიკების და სტრატეგიული დოკუმენტების მიმოხილვას;



EGD-ის მიზნების განხორციელების მონიტორინგისა და საქართველოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შესადარებლად პროგრესის ინდიკატორების გამოვლენას, აღწერას და შეფასებას;



საქართველოს პოლიტიკის და საკანონმდებლო ჩარჩოში არსებული ნაკლოვანებების შეფასებას EGD-თან შესაბამისობაში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას;

EGD-ის მიზნების შესაბამისი საქართველოს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოვლენასა და აღწერას.

EGD-ის შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი მოიცავს კომისიის შეტყობინებას - ევროპის მწვანე შეთანხმების შესახებ და საგზაო რუკას, შეთანხმების საინვესტიციო გეგმას, ევროკავშირის ტაქსონომიას, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მწვანე დღის წესრიგს, ევროკავშირის სექტორულ სტრატეგიებს და ა.შ. EGD-ის შესაბამისი საქართველოს პოლიტიკების და სტრატეგიული დოკუმენტების განხილული დოკუმენტები მოიცავს საკანონმდებლო და სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენს, რომლებიც ეხება EGD-ის ხუთი მიმართულების ერთ ან მეტ კომპონენტს (დეკარბონიზაცია, ცირკულარული ეკონომიკა, ბიომრავალფეროვნება, დაბინძურების შემცირება, მდგრადი სასურსათო სისტემები). მთლიანობაში გაანალიზდა 100-მდე სტრატეგიული დოკუმენტი.

განისაზღვრა EGD-ის განხორციელების მონიტორინგის პროგრესის ინდიკატორები ხუთივე მიმართულებისთვის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, EGD ინდიკატორების და მდგრადი განვითარების ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე. ინდიკატორები შეირჩა საქართველოს ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. ინდიკატორების შეფასების მონაცემები მოპოვებული იქნა ოფიციალური წყაროებიდან, იმ მაჩვენებლებისთვის, სადაც ოფიციალური სტატისტიკა არ იყო ხელმისაწვდომი, გამოიკვეთა მონაცემთა ნაკლოვანებები.

EGD-სა და საქართველოს საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს შორის არსებული ნაკლოვანებები გამოვლინდა და შეფასდა პროექტის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამაგიდე კვლევისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე. რეკომენდაციები პრიორიტეტების (პრიორიტეტული დონე - დაბალი საშუალო, მაღალი) მიხედვით განისაზღვრა პროექტის ექსპერტების მიერ. პრიორიტეტიზაცია განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: შესაბამისობა EGD-სთან და საქართველოს სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, ღონისძიებების ეფექტურობა და გავლენა, სხვა ღონისძიებებთან სინერგია და ქვეყნის სპეციფიკა.

EGD-ის შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოსავლენად საქართველოში, პროექტის ჯგუფმა შეაფასა განხორციელებული და მიმდინარე პროექტები სხვადასხვა სექტორში შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: სოციალური, ეკონომიკური და გარემოზე ზემოქმედება, სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირების პოტენციალის ჩათვლით, სხვა თანასარგებელი, დაფინანსების სქემები. სულ გამოვლინდა ექვსი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი.

ევროპის მწვანე შეთანხმებასთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირსა და საქართველოში

ევროპის მწვანე შეთანხმება ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკის ღონისძიებების ერთიანობაა, რომლის მიზანიცაა 2050 წლისათვის ევროკავშირი გახდეს კლიმატ ნეიტრალური გაერთიანება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ევროპის მწვანე შეთანხმებასთან დაკავშირებული სტრატეგიები და კანონმდებლობა ევროკავშირსა და საქართველოში.

გამჭოლი საკითხები

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
1	**ევროკომისიის კომუნიკაცია მწვანე შეთანხმების შესახებ[4] და საგზაო რუკა**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ეს არის ზრდის ახალი სტრატეგია, რომლის მიზანია ევროკავშირი გარდაქმნას სამართლიან და განვითარებულ საზოგადოებად თანამედროვე, რესურს-ეფექტური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკით, სადაც 2050 წლისთვის აღარ არსებობს სათბურის გაზების ნეტო გაფრქვევები და ეკონომიკური განვითარება არ არის დამოკიდებული რესურსების გამოყენებაზე. ის ასევე მიზნად ისახავს ევროკავშირის ბუნებრივი კაპიტალის დაცვას, შენარჩუნებას და გაძლიერებას და მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას გარემოსთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედებისგან. ამავდროულად, ეს გადასვლა უნდა იყოს სამართლიანი და ინკლუზიური. გარდაქმნის პროცესში უპირველესი	**საქართველოს არ აქვს ამ საკითხთან დაკავშირებული ერთიანი სტრატეგია,** თუმცა მიღებული აქვს რამდენიმე სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მწვანე შეთანხმებისთვის რელევანტურ კომპონენტებს. ეს სტრატეგიებია: **ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)[5]** - ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც კლიმატური, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები თანაბრად განიხილება. საქართველოს განახლებული NDC მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების მხარდაჭერას და განსაზღვრავს შემდეგ სამიზნე მაჩვენებლებს:

[4] EUR-Lex - 52019DC0640 - EN - EUR-Lex (europa.eu)

[5] https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50125

ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანებს და ყურადღება მიექცეს იმ რეგიონებს, მრეწველობას და მუშახელს, რომლებიც გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებიან.

საგზაო რუკა ეთმობა ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია სუფთა, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლასა და კლიმატის ცვლილების შეჩერებაზე. ბიოდივერსიფიკაციის დაკარგვის შეჩერებასა და დაბინძურების აღმოფხვრაზე. საგზაო რუკა თავს უყრის ინვესტიციებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც საჭიროა სამართლიანი და ინკლუზიური გარდაქმნისათვის.

- საქართველო იღებს უპირობო ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შეამციროს
- იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მიიღებს საერთაშორისო მხარდაჭერას, გაფრქვევებს 50%-ით შეამცირებს, თუ მსოფლიო გაჰყვება გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°C-იან სცენარს,
- ხოლო 1.5°C-მდე ტემპერატურის შეზღუდვის სცენარის შემთხვევაში, ქვეყანა სათბურის აირების ემისიების 57%-ით შემცირებს 1990 წლის დონესთან შედარებით.

კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა[6] განსაზღვრავს სამიზნე მაჩვენებლებსა თუ პოლიტიკის მიზნებს სხვადასხვა სექტორისათვის. ეს მიზნებია: სათბურის გაზების ემისიების 15%-ით შემცირება ტრანსპორტის სექტორში 2030 წლისთვის საბაზისო სცენართან შედარებით; სათბურის გაზების ემისიების შემცირება მრეწველობის სექტორში 2030 წლისთვის საბაზისო სცენართან შედარებით; ტყეების ნახშირბადის ჩაჭერის უნარის გაზრდა 10%-ით; და დაბალი ემისიის მიდგომების ხელშეწყობა სამშენებლო, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორში.

დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის (LT LEDS) მიზანია 2050 წლისთვის, კლიმატის ცვლილების შერბილების ხედვის განსაზღვრა

ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (NECPs) არის ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით არსებული პოლიტიკების ერთიანი ეროვნული გეგმა, რომელიც შესამუშავებლად სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნებისათვის.

[6] საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC), საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმა (matsne.gov.ge)

	NECP მოიცავს სამიზნე მაჩვენებლებსა და სამოქმედო გეგმას ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესების, ენერგობაზრის გაძლიერების, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკის დეკარბონიზაციის, კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის კუთხით. საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა, გეგმავს აღნიშნული დოკუმენტის წარდგენას 2022 წლის ბოლოსთვის. გეგმა შეეხება 2021-2030 წლების პერიოდს და მასში მოცემული იქნება ხედვა 2050 წლისთვის. NECP თანხვედრაში უნდა იყოს ევროკავშირის, ენერგეტიკული გაერთიანების, UNFCCC/პარიზის შეთანხმების მიზნებთან. **საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021**[7] მიზნად ისახავს ქვეყნის დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას, სადაც გარემოსდაცვითი თუ სოციო-ეკონომიკური გამოწვევები თანაბრად იქნება გათვალისწინებული. საქართველოს შემუშავებული აქვს მეოთხე NEAP
N	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში**
2	**ევროპის მწვანე შეთანხმების საინვესტიციო გეგმა**[8]
დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
ევროპის მწვანე შეთანხმების საინვესტიციო გეგმა (EGDIP), იგივე რაც მდგრადი ევროპის საინვესტიციო გეგმა (SEIP), არის შეთანხმების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზაციის გეგმა, რომელიც ევროკავშირის მიერ გამოყოფილ თანხებთან ერთად, მოიცავს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჯარო და კერძო ინვესტიციების წახალისებას	**საქართველოს არ აქვს მსგავსი საინვესტიციო გეგმა**

[7] სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 (mepa.gov.ge)

[8] Financing the green transition (europa.eu)

EU ტაქსონომია

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
EU ტაქსონომია არის კლასიფიკაციის სისტემა,[9] რომელიც აყალიბებს გარემოს დაცვის კუთხით მდგრად ეკონომიკურ საქმიანობებს. ტაქსონომიას შეუძლია მნიშნელოვანი როლი შეასრულოს მდგრადი ინვესტიციების დაჩქარებისა და მწვანე შეთანხმების შესრულების კუთხით. ევროკავშირის ტაქსონომია კომპანიებს, ინვესტორებსა და პოლიტიკის შემქმნელებს სთავაზობს განმარტებებს, თუ რომელი ეკონომიკური აქტივობა შეიძლება იყოს მიჩნეული გარემოსდაცვითი კუთხით მდგრადად. ეს დაეხმარება ინვესტორებს და კომპანიებს იყვნენ უფრო კლიმატ-მეგობრულები, შემცირდეს ბაზრების ფრაგმენტაცია და ინვესტიციები წარიმართოს იმ მიმართულებით, სადაც ისინი ყველაზე მეტად არის საჭირო. **ტაქსონომიის შესახებ რეგულაცია** (EU 2020/852) 2020 წლის 22 ივნისს გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა 2020 წლის 12 ივლისს. რეგულაცია[10] 6 გარემოსდაცვით მიზანს მოიცავს ▸ კლიმატის ცვლილების შერბილება ▸ კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია ▸ წყლის და საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება და დაცვა ▸ ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ▸ დაბინძურების შემცირება და კონტროლი ▸ ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა	საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს მდგრადი ფინანსების ჩარჩოს და აქვეყნებს მდგრადი ფინანსების (SF) ტაქსონომიის პროექტს[11]. SF ტაქსონომია მოიცავს იმ აქტივობების კლასიფიცირების სისტემას, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილების შერბილების, მწვანე, სოციალურ და მდგრად მიზნებთან. აღნიშნული ტაქსონომიის მთავარი მიზანია მდგრადი ფინანსური ბაზრის განვითარების მხარდაჭერა და, შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ამასთან, ეროვნული ბანკი მუშაობს მდგრადი ფინანსური ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიკაციისა და ანგარიშგების დებულებაზე (ტაქსონომიის რეგულაცია), რომელიც უახლოეს მომავალში იქნება მიღებული. ტაქსონომიის რეგულაცია ოფიციალურად განსაზღვრავს მწვანე, სოციალურ და მდგრად სესხებს და აწესებს ანგარიშგების მოთხოვნებს კომერციული ბანკებისთვის ტაქსონომიასთან შესაბამისობაში მყოფ სესხებზე. ეროვნული ბანკი ასევე შეიმუშავებს მწვანე, სოციალურ და მდგრად ობლიგაციების ჩარჩოს კაპიტალის ბაზრის მონაწილეებისთვის ტაქსონომიის საფუძველზე.

[9] EU taxonomy for sustainable activities | European Commission (europa.eu)

[10] Regulation (EU) 2020/852 of the European Parliament and of t... - EUR-Lex (europa.eu)

[11] The NBG publishes Sustainable Finance Taxonomy for public consultations / Sustainable Finance Taxonomy for Georgia (nbg.gov.ge)

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
3	**Fit for 55 პაკეტი**[12]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
The Fit for 55 პაკეტი შედგება ურთიერთდაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივებისაგან, რომლის მიზანია 2030 წლისათვის და შემდგომ პერიოდში მწვანე გარდაქმნის საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება. მწვანე შეთანხმების მიზნების შესრულებისათვის აღნიშნული პაკეტი გვთავაზობს ცვლილებებს არსებულ კანონმდებლობაში და წარმოადგენს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს. საერთო ჯამში, პაკეტის მიხედვით დაგეგმილია 8 არსებული საკანონმდებლო დოკუმენტის განახლება და 5 ახალი ინიციატივის შემუშავება. ცვლილებები შეეხება შემდეგ სექტორებს: კლიმატი, ენერგეტიკა და საწვავი, ტრანსპორტი, შენობები, მიწათსარგებლობა და სატყეო მეურნეობა. The Fit-for-55 პაკეტი მოიცავს შემდეგ ინიციატივებს[13]: ▸ ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სქემის (**ETS**) გადახედვა, საზღვაო, ავიაციის და CORSIA ჩათვლით ▸ ნახშირბადის საზღვრის რეგულირების მექანიზმი (CBAM) ▸ ძალისხმევის გაზიარების რეგულაცია (ESR) ▸ ცვლილება დირექტივაში განახლებადი ენერგიის შესახებ ახალი 2030 წლის კლიმატის მიზნის ამბიციის განსახორციელებლად (RED) ▸ ცვლილება დირექტივაში ენერგოეფექტიანობის შესახებ ახალი 2030 წლის კლიმატის მიზნის ამბიციის განსახორციელებლად	**საქართველოსთვის აღნიშული ინიციატივების გადმოტანა კანონმდებლობაში ჯერჯერობით სავალდებულო არ არის.** თუმცა მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება მაღალი დამაბინძურებლებით (ცემენტი, რკინა და ფოლადი, ალუმინი, სასუქები, ელექტროენერგია) ვაჭრობისას ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. საქართველოში მიმდინარეობს დისკუსია ემისიებით ვაჭრობის სქემის შემოღებასთან დაკავშირებით. საქართველოს ასევე გადმოტანილი აქვს RED და EED დირექტივების წინა ვერსიები: ▸ კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ[14] ▸ კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ[15]

[12] EUR-Lex - 52021DC0550 - EN - EUR-Lex (europa.eu)

[13] The EU's Fit-for-55 package: The European Green Deal's fitness test | Heinrich Böll Stiftung | Brussels office - European Union (boell.org)

[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=1

[15] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=0

- LULUCF სექტორში სათბურის გაზების ემისიების შესახებ რეგულაციის გადახედვა
- ალტერნატიული საწვავის ინფრასტრუქტურის განლაგების შესახებ დირექტივის გადახედვა
- რეგულაციის გადახედვა, რომელიც ადგენს CO_2-ის ემისიის შესრულების სტანდარტებს ახალი სამგზავრო მანქანებისთვის და ახალი მსუბუქი კომერციული მანქანებისთვის

ამ პაკეტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიების წილის ზრდა 40% -მდე, ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლის გაზრდა 36-39%-მე, ცვლილება ემისიებით ვაჭრობის სისტემასა და ძალისხმევის გაზიარების რეგულაციის მიღება. ინოვაციურად შეიძლება ჩაითვალოს CBAM-ისა და მწვანე წყალბადის პოპულარიზაციის მექანიზმების შემოღება.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
4	**სამართლიანი გარდაქმნის მექანიზმი**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
სამართლიანი გარდაქმნის მექანიზმი (JTM) არის ინსტრუმენტი მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის სამართლიანობისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. მექანიზმის მიზანია შექმნას ინვესტიციები იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც ქვანახშირის ინდუსტრიაში არიან დასაქმებულები. JTM დაფინანსების 3 ძირითად წყაროს მოიცავს 1) სამართლიანი გარდაქმნის ფონდი 2) სამართლიანი გარდაქმნის სქემა InvestEU პროგრამის ფარგლებში 3) სესხების საჯარო სექტორისთვის ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ, ევროკავშირის ბიუჯეტის დახმარებით	**საქართველოს არ აქვს სამართლიანი გარდაქმნის მექანიზმი**

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
5	**ევროკავშირის ახალი სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესახებ**[16]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
სტრატეგია მიზნად ისახავს კლიმატისადმი მდგრადი კავშირის 2050 წლის ხედვის განხორციელებას ადაპტაციის უფრო გონივრული, სისტემური, სწრაფი და საერთაშორისო მოქმედებების გაძლიერებით. ეს ითარგმნება პოლიტიკის ციკლის განმავლობაში გაუმჯობესებულ ცოდნასა და მონაცემებში, პოლიტიკის შემუშავებისა და კლიმატის რისკის მართვის მხარდაჭერაში ყველა დონეზე და დაჩქარებულ საადაპტაციო ქმედებებში. ეს ნიშნავს, რომ ადაპტაციის შესახებ ინფორმაცია უნდა აღწევდეს თითოეულ მუნიციპალიტეტამდე, კომპანიამდე თუ ოჯახამდე.	**საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გეგმა.** **ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (NDC)**[17] - საქართველოს NDC-ის მიზანია მხარი დაუჭიროს ქვეყნის მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. **კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის (2017წ)**[18] – განსაზღვრავს მიზნებსა და ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის სექტორში.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
6	**EU გენდერული სტრატეგია.**[19]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ევროკავშირის გენდერული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია წაახალისოს ქალების მონაწილეობა შრომით ბაზარზე და ხელი შეუწყოს მათ განათლებას საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრენინგებზე წვდომით.	**საქართველოს არ აქვს გენდერული სტრატეგია**

[16] A new EU Strategy on Adaptation to Climate Change (europa.eu) / EUR-Lex - 52021DC0082 - EN - EUR-Lex (europa.eu)

[17] NDC Georgia_ENG WEB-approved.pdf (unfccc.int)

[18] https://eiec.gov.ge/ge/Documents/Download/531

[19] https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/gender-equality/gender-equality-strategy_en

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
7	**პროგრამა - ციფრული ევროპა**[20]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ციფრული ევროპის პროგრამა (DIGITAL) არის ევროკავშირის ახალი დაფინანსების პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია ციფრული ტექნოლოგიების მიწოდებაზე ბიზნესისთვის, მოქალაქეებისთვის და საჯარო ადმინისტრაციებისთვის. ციფრული ევროპის პროგრამა უზრუნველყოფს სტრატეგიულ დაფინანსებას პროექტების მხარდასაჭერად ხუთ ძირითად სფეროებში: სუპერკომპიუტერები, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება, მოწინავე ციფრულ უნარები და ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენების უზრუნველყოფა ეკონომიკასა და საზოგადოებაში, მათ შორის ციფრული ინოვაციების ჰაბების მეშვეობით. პროგრამის საერთო ბიუჯეტია €7.5 მილიარდი.	საქართველო გეგმავს შეიმუშაოს **„ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმა“,**[21] რომლის მიხედვით, კოორდინირებულად, ყველა შესაბამისი ორგანიზაციის ჩართულობით, განისაზღვრება ციფრული ეკონომიკის განვითარების სამომავლო მიმართულებები, განხორციელების აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სექტორში ელექტრონული მომსახურებების განვითარებას, ციფრული წიგნიერების ზრდას, საინფორმაციო საზოგადობის ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებას, მაღალტექნოლოგიური ექსპორტის გაზრდას, კვლევისა და ინოვაციების განვითარებას და გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას გარდა ამისა, უკვე შემუშავებულია **საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 - 2025 და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.** ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შედეგად, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი მოქალაქეების ჩართულობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. გეგმის მიხედვით, მოქალაქეებს წვდომა ექნებათ 100 მბ/წმ-ინტერნეტზე, ხოლო საჯარო სექტორისთვის ხარისხი იქნება 1 გბ/წმ.[22]

[20] Digital Programme | Shaping Europe's digital future (europa.eu)

[21] სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf

[22] https://tinyurl.com/yudxfa78

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
8	**ციფრული ფინანსების სტრატეგია.**[23]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ციფრული ფინანსების სტრატეგია და საკანონმდებლო ინიციატივები კრიპტო აქტივებისა და ციფრული მედეგობისათვის მომხმარებლებს აძლევს წვდომას ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებთან, უზრუნველყოფს მათ დაცვასა და ფინანსურ სტაბილურობას.	**საქართველოს არ აქვს ციფრული ფინანსების სტრატეგია.**

დეკარბონიზაცია

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
9	**ევროპის კლიმატის კანონი**[24]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ევროპის კლიმატის კანონი ძალაში შევიდა 2021 წლის 29 ივლისს. კანონი ადგენს სათბურის გაზების ნეტო ნულოვანი გაფრქვევების სამიზნე მაჩვენებელს 2050 წლისათვის. კანონში ასევე მოცემულია შუალედური სამიზნე მაჩვენებელი სილ მცირე 55%-ით შემცირება 2030 წლისათვის 1990 წელთან შედარებით. კანონი ადგენს საჯარო ჩართულობის მაღალ სტანდარტს	**საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს კანონი კლიმატის შესახებ.**

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
10	**მეთანის სტრატეგია**[25]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
2020 წლის 14 ოქტომბერს ევროკომისიამ წარმოადგინა სტრატეგია მეთანის გაფრქვევების შემცირების შესახებ. მეთანის გაფრქვევების შემცირება აუცილებელია 2030 წლის სამიზნე მაჩვენებლისა და 2050 წლის კლიმატნეიტრალურობის მაჩვენებლის შესრულებისათვის.	საქართველო შეუერთდა მეთანის შემცირების გლობალურ პირობას, რომელიც COP26-ზე 2021 წლის ნოემბერში იქნა მიღებული. MEPA უახლოეს მომავალში გეგმავს საქართველოსთვის მეთანის სტრატეგიის შემუშავებას

[23] https://ec.europa.eu/info/publications/200924-digital-finance-proposals_en

[24] European Climate Law (europa.eu) / EUR-Lex - 32021R1119 - EN - EUR-Lex (europa.eu)

[25] TA MEF (europa.eu)

სტრატეგია განსაზღვრავს მეთანის გაფრქვევების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებებს ევროპასა და საერთაშორისო დონეზე. დოკუმენტი მოიცავს საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ღონისძიებებს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორში, საიდანაც მოდის ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ემისიების 95% მთელს მსოფლიოში. სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გაფრქვევების გაზომვისა და ანგარიშგების საკითხებს	

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
11	**წინადადებები ტყეების გაჩეხვის შეჩერების, ნარჩენების მდგრადი მართვისა და ნიადაგების გაჯანსაღების შესახებ[26]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
მიზანი: ▸ მინიმუმამდე დაიყვანოს ისეთი პროდუქციის მოხმარება, რომლთა მიწოდების ჯაჭვიც დაკავშირებულია ტყეების გაჩეხვასთან ან ტყის დეგრადაციასთან; ▸ საზღვრებს გარეთ გადაზიდული ნარჩენების შედეგად წარმოქმნილი ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის რისკების თავიდან აცილება; ▸ ნიადაგის დეგრადაციის პრევენცია და მისი აღდგენა.	**საქართველოს ტყის კოდექსი (2020)[27]** – საქართველოს ტყე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მისი ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობის გათვალისწინებით მისი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მისთვის ტყის რესურსების ხელმისაწვდომობას. **ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2016-2020 წწ[28].** 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი შემუშავების პროცესშია. სტრატეგია შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების

[26] European Green Deal: Commission adopts new proposals (europa.eu)

[27] საქართველოს ტყის კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[28] სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (mepa.gov.ge)

	შესაბამისად. სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან. სტრატეგია მოიცავს ყველა სახის მყარი ნარჩენების მართვას რადიოაქტიური ნარჩენებისა და მოძველებული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) გარდა.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
12	**ევროპის კლიმატის პაქტი[29]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
2020 წელს ევროკომისიამ წამოიწყო ევროპის კლიმატის პაქტის ინიციატივა - ეს არის ევროკავშირის მასშტაბის ინიციატივა, რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ აქტივობებში. პაქტი ჩართულობის 3 ძირითად კომპონენტს გამოყოფს: 1. **ინფორმაციის გაზიარება** - საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეებისა და გარემოს-დაცვითი ზიანის და მათი გამკლავების გზების შესახებ; 2. **რეალური და ვირტუალური სივრცის შექმნა** ადამიანებისათვის, რომ ჰქონდეთ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და ერთობლივი თუ ინდივიდუალური აქტივობების დაგეგმვის საშულება; 3. კომისია იმუშავებს **ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებაზე,** რომ ხელი შეუწყოს კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის კუთხით ფართო ინიციატივებს.	**კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია)[30].** ორჰუსის კონვენცია აკავშირებს გარემოსდაცვით უფლებებსა და ადამიანის უფლებებს და ადგენს, რომ მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ის ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებასა და საჯარო ხელისუფლებას შორის ურთიერთქმედებებზე დემოკრატიულ კონტექსტში და აყალიბებს ახალ პროცესს საზოგადოების მონაწილეობისთვის საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავებისა თუ განხორციელების პროცესისათვის. **საქართველოს მთავრობის დადგენილება #629 (დეკემბერი 20, 2019) პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ[31].** აღნიშნული დოკუმენტის მიზანია შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის

[29] https://europa.eu/climate-pact/system/files/2020-12/20201209%20European%20Climate%20Pact%20Communication.pdf

[30] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0

[31] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0

	დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დანერგვა და ამ მიმართულებებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება. წესი ადგენს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიან პროცედურებს, მეთოდოლოგიასა და სტანდარტებს. **მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმები** - მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტები ვალდებულებას იღებენ მოამზადონ და 2030 წლამდე განახორციელონ მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP), რომელიც ითვალისწინებს კლიმატის შერბილებასაც და ადაპტაციასაც.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
13	**ახალი ევროპული ბაუჰაუსი**[32]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ახალი ევროპული ბაუჰაუსი არის კრეატიული ინიციატივა, რომელიც არღვევს საზღვრებს მეცნიერებასა და ტექნოლოგიას, ხელოვნებას, კულტურასა და სოციალურ ინკლუზიას შორის, რაც საშუალებას აძლევს დიზაინს იპოვოს გადაწყვეტილებები ყოველდღიური პრობლემებისთვის. ახალი ევროპული ბაუჰაუსი გულისხმობს ინოვაციური საცხოვრებელი შენობების მშენებლობას, რომელიც კლიმატმეგობრული, ეკონომიკურად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური იქნება. მსგავსი ტიპის საცხოვრებელი შენობების შექმნა გულისხმობს მეცნიერების, დიზაინერების, არქიტექტორების, ხელოვანების, კონსტრუქტორების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გაერთიანებას, ექსპერიმენტული სივრცეების შექმნას და სხვა.	**საქართველოში არ არსებობს მსგავსი ინიციატივა**

[32] New European Bauhaus: Commission launches design phase (europa.eu) / Call for Partners (europa.eu)

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
14	**შენობების განახლების სტრატეგია[33] - განახლების ტალღა ევროპისათვის - მწვანე შენობები, სამუშაო ადგილების შექმნა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
შენობების განახლების სტრატეგია მიზნად ისახავს შენობების განახლების ყოველწლიური სამიზნე მაჩვენებლის გაორმაგებას მომდევნო 10 წელიწადში, რაც ხელს შეუწყობს ახალი მწვანე სამუშაო ადგილების გაჩენას და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებას. შესაბამისად, შენობების განახლების ტალღის სტრატეგია 3 ძირითად მიმართულებას მოიცავს: **1.** ენერგეტიკული სიღარიბის შემცირება დაბალი ენერგოეფექტიანობის მქონე შენობების განახლების გზით **2.** საჯარო შენობებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განახლება **3.** გათბობისა და გაგრილების სისტემების დეკარბონიზაცია	**კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ[34]** - კანონის მთავარი მიზანია ქვეყანაში ენერგოეფექტურობის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, ქვეყნის ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრის პროცედურის შემუშავება და ენერგოეფექტურობის კუთხით არსებული პოლიტიკის კოორდინაცია, კონტროლი, ზედამხედველობა და მონიტორინგი. **კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ[35]** - კანონის მიზანია ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა და შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება შენობების გარე კლიმატური და ადგილობრივი პირობების, შიდა კლიმატურ პირობებზე მოთხოვნილებისა და ხარჯთეფექტურობის გათვალისწინებით. თუმცა, კანონის განსახორციელებლად საჭირო მეორადი კანონმდებლობა ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. **ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2019–2020) (NEEAP)[36]** - ადგენს საინვესტიციო და პოლიტიკის ღონისძიებების ერთობლიობას. NEEAP-ის მიზანია ენერგორესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია და შემცირება ბიზნესის ჩვეულებრივ (BAU) სცენართან შედარებით. ცალკე თავი ეთმობა შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს. **ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (NECPs)** მოიცავს სამიზნე მაჩვენებლებსა და სამოქმედო გეგმას ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესების, ენერგობაზრების გაძლიერების, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა

[33] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52020DC0662

[34] ენერგოეფექტურობის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[35] https://www.matsne.gov.ge/en/document/view/4873932?publication=0

[36] http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=63&lang=ge

	და ეკონომიკის დეკარბონიზაციის, კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის კუთხით. საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა, გეგმავს აღნიშნული დოკუმენტის წარდგენას 2022 წლის ბოლოსთვის. გეგმა შეეხება 2021-2030 წლების პერიოდს და მასში მოცემული იქნება ხედვა 2050 წლისთვის. **კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**[37] განსაზღვრავს სამიზნე მაჩვენებლებსა თუ პოლიტიკის მიზნებს სხვადასხვა სექტორისათვის. გეგმაში მოცემულია შენობების კუთხით გასატარებელი ღონისძიებებიც.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
15	**ევროპის ბატარეების/ელემენტების ალიანსი**[38]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
წიაღისეული საწვავიდან სუფთა ენერგიაზე გადასვლა განსაკუთრებით აქტუალურს ხდის ელექტროენერგიის გამოყენებასა და ბატარეების განვითარებას, მოთხოვნა ეფექტურ ბატარეებზე სულ უფრო და უფრო იზრდება. მწვანე შეთანხმების მიზნების განხორციელებისათვის შეიქმნა ევროპული ბატარეების ალიანსი (EBA), რომელიც სხვადასხვა სექტორის 700 მდე მონაწილეს აერთიანებს. ალიანსის მიზანია ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიანი ბატარეების ინდუსტრიის განვითარებას. ევროპული კომისია წლებია მუშაობს ბატარეების რეგულაციის, სტრატეგიული გეგმების, ეკოდიზაინის დირექტივის და სხვა დოკუმენტების შემუშავებაზე, რომლებიც ამ პროცესს მნიშვნელოვნად დაეხმარებიან.	**საქართველოს არ აქვს აღნიშულ თემასთან დაკავშირებული რეგულაცია ან სტრატეგიები**

[37] საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC), საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმა (matsne.gov.ge)

[38] https://www.eba250.com

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
16	**EU სტრატეგია ოფშორული განახლებადი ენერგიის შესახებ**[39]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
სტრატეგიის მიხედვით, ევროპაში ოფშორული ქარის არსებული სიმძლავრეები (12 გვტ-მდე) მინიმუმ 60 გვტ-მდე უნდა გაიზარდოს 2030 წლისთვის და 300 გვტ-მდე 2050 წლისთვის. კომისია მიზნად ისახავს ასევე 40 გვტ ოკეანის ენერგიის და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების (მზის და ქარის მცურავი პანელები) განვითარებას.	**საქართველოს არ აქვს სტრატეგია ოფშორული განახლებადი ენერგიის შესახებ**

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
17	**EU სტრატეგია ენერგეტიკული სისტემების ინტეგრირების შესახებ**[40]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ენერგეტიკული სისტემების ინტეგრაცია გულისხმობს ენერგეტიკული სისტემის იმგვარ ოპერირებას, რომ მთელი სისტემა „ერთ მთლიანობას“ წარმოადგენდეს. ეს გულისხმობს ენერგომატარებლების, ინფრასტრუქტურის და მოხმარების სექტორების ერთმანეთთან იმდაგვარად დაკავშირებას, რომ შესაძლებელი იყოს სუფთა ენერგიის მდგრადი და რესურს-ეფექტური გამოყენება, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ფასად. სტრატეგია მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას: ▸ ცირკულარული ეკონომიკა, რომლის ამოსავალი წერტილიც ენერგოეფექტურობა იქნება. ▸ ენერგიის საბოლოო მოხმარების სექტორების უფრო მეტი ელექტრიფიკაცია - მაგალითად, თბური ტუმბოების გამოყენება საცხოვრებელ შენობებში გათბობისათვის. ელექტრომობილების პოპულარიზაცია ტრანსპორტის სექტორში, ელექტროდანადგარები კომერციულ სექტორებში და ა.შ.	**საქართველოს არ აქვს ენერგეტიკული სისტემების ინტეგრაციის სტრატეგია,** თუმცა აღნიშნული საკითხები მოცემულია სხვადასხვა სტრატეგიებში. **NECP, რომელიც შემუშავების პროცესშია,** მოიცავს სისტემის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს. NECP ენერგეტიკის სექტორის დაგეგმვისთვის იყენებს TIMES-საქართველო მოდელს. განახლებადი ენერგიების ათვისების წახალისებისათვის, დაინერგა **ნეტო-აღრიცხვის სისტემა,** რომელიც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს მოიხმარონ საკუთარი გენერაციის ობიექტების მიერ წარმოებული ენერგია და გაყიდონ დამატებით ენერგია. იქ, სადაც ელექტრიფიცირება ეკონომიკურად გამართლებული არ არის, დონორული პროექტების მხარდაჭერით ხდება მზის პანელების დამონტაჟება. ეს ეხება მაღალმთიანი სოფლის ტიპის დასახლებებს, რომელთან ქსელზე წვდომა არ აქვთ[41].

[39] https://energy.ec.europa.eu/topics/renewable-energy/eu-strategy-offshore-renewable-energy_en

[40] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52020DC0299&from=EN

[41] https://www.agenda.ge/en/news/2020/2295

- განახლებადი და დაბალნახშირბადიანი საწვავის გამოყენება, წყალბადის ჩათვლით, საბოლოო მოხმარებაში იქ, სადაც ელექტრიფიკაცია ან გათბობის სისტემების მონტაჟი არ არის ეკონომიკურად გამართლებული

ზოგიერთ ეს მიმართულება უკვე არის ასახული 2021-2030 წლების ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმებში.

ძველი და არაეფექტური ავტოპარკით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების დასაძლევად, მთავრობამ შემოიღო უფრო ეფექტური (მაგ. ჰიბრიდული) და ელექტრო მანქანების წახალისების მექანიზმები, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები ჰიბრიდული და ელექტრო მანქანებისთვის, ელექტრო-

მანქანები გათავისუფლებული არიან იმპორტის და აქციზის გადასახადისგან, ხოლო ჰიბრიდული მანქანებისთვის შემცირებულია აქციზის გადასახადი. ამის საპირისპიროდ, 10 წელზე უფროსი ასაკის მანქანების შედანისთვის აქციზის გადასახადი გაიზარდა, გიზარდა ასევე ბენზინისა და დიზელის საწვავის ტარიფი. შედეგად, საქართველოში პოპულარობას იძენს ელექტრო და ჰიბრიდული მანქანები. 2019 წლის იანვრიდან ასევე ამოქმედდა მანქანების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სექტორს შორის ერთიანი, კოორდინირებული მიდგომა მაინც არ არსებობს.

N EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში

18 წყალბადის სტრატეგია კლიმატ ნეიტრალური ევროპისათვის[42]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ევროკავშირისათვის პრიორიტეტულია მწვანე წყალბადის განვითარება, რომელიც მზის და ქარის ენერგიისგან იქნება მიღებული. გარდამავალი პერიოდი რამდენმე ეტაპისაგან შედგება: ▸ 2020-2024 წწ. მინიმუმ 6 გიგავატი სიმძლავრის განახლებადის და ელექტროლიზის მეთოდით წყალბადის მილიონ ტონამდე წარმოება ევროკავშირში.	საქართველოს არ აქვს წყალბადის სტრატეგია, თუმცა გარკვეული ნაბიჯები იდგმება წყალბადის პოტენციალის შესწავლის მიზნით. საქართველოს მთავრობამ EBRD-ს მიმართა მხარდაჭერისთვის, გამოიკვლიოს ქვეყნის პოტენციალი მწვანე წყალბადის კუთხით, რომელიც შეიძლება ტრანსპორტირდეს არსებული გაზის მილსადენებით. საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას KfW-სთან, შეთანხმების მიზანია: ▸ შეფასდეს მწვანე წყალბადის პოტენციალი და სარგებელი საქართველოსთვის

[42] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52020DC0301&from=EN

- 2025-2030 წწ. წყალბადი უნდა გახდეს ინტეგრირებული ენერგეტიკული სისტემის განუყოფელი ნაწილი, მინიმუმ 40 გიგავატი განახლებადი წყალბადის ელექტროლიზი და ათ მილიონ ტონამდე განახლებადი წყალბადის წარმოება ევროკავშირში.
- 2030-2050 - განახლებადი წყალბადის ტექნოლოგიები ფართოდ იყოს გამოყენებული ყველა რთულად დეკარბონიზებად სექტორში.

- განხორციელდეს საპილოტე პროექტი, რომელიც დაეხმარება სუფთა და განახლებადი ენერგიის გამოყენების მიზანს
- შემცირდეს ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე და გაიზარდოს მიწოდების უსაფრთხოება
- გაიზარდოს განახლებადი ენერგიის ათვისების ტემპი, რაც ხელს შეუწყობს ნახშირბადის გაფრქვევების შემცირებას და გაიზარდოს ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები.

წყალბადის ეროვნული ასოციაცია (NHA) დაარსდა 2021 წელს, მისი მიზანია ქვეყანაში წყალბადის სექტორის განვითარებისათვის საჯარო და კერძო სექტორთაშორისი თანამშრომლობისათვის პლატფორმის უზრუნველყოფა; წყალბადის გარშემო საერთაშორისო მეცნიერული კვლევითი პროექტების მხარდაჭერა. წყალბადის სექტორის პერიოდული კვლევა და ანალიზი.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
19	**სუფთა ენერგია ყველა ევროპელისათვის**[43]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
აღნიშნული პაკეტი ევროკომისიამ 2019 წელს მიიღო, მისი მიზანია დეკარბონიზაციის ხელშეწყობა და მწვანე შეთანხმების მიზნების მიღწევაში დახმარება. პაკეტი მოიცავს 8 დირექტივასა და რეგულაციას შემდეგი თემატური მიმართულებით: **1.** შენობების ენერგოეფექტურობა[44] **2.** განახლებადი ენერგია[45] **3.** ენერგოეფექტურობა[46]	საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში ახორციელებს რეგულაციებსა და დირექტივებს ენერგეტიკის სექტორში. ევროპული დირექტივების საფუძველზე შემუშავებული კანონების უმეტესობა უკვე ძალაშია შესული, თუმცა შემუშავების პროცესშია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. საქართველოს მიღებული აქვს შემდეგი კანონები:

[43] https://energy.ec.europa.eu/topics/energy-strategy/clean-energy-all-europeans-package_en

[44] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?toc=OJ:L:2018:156:TOC&uri=uriserv:OJ.L_.2018.156.01.0075.01.ENG

[45] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2018.328.01.0082.01.ENG&toc=OJ:L:2018:328:TOC

[46] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2018.328.01.0210.01.ENG&toc=OJ:L:2018:328:TOC

4. ენერგეტიკული კავშირის მმართველობის რეგულაცია[47] **5.** რეგულაცია ელექტროენერგიეტიკის შესახებ[48] **6.** დირექტივა ელექტროენერგეტიკის შესახებ[49] **7.** რისკებისადმი მზადყოფნის რეგულაცია[50] **8.** ACER (ევროკავშირის ენერგეტიკის მარეგულირებელთა სააგენტო)[51]	**1.** კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ[52] **2.** კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ[53] **3.** კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ[54] **4.** კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ[55] **5.** ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების წესები[56]

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
20	**მდგრადი და ჭკვიანი მობილობის სტრატეგია – ევროპული ტრანსპორტის მომავლი[57]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ევროპის მწვანე შეთანხმება მიზნად ისახავს ტრანსპორტის სექტორიდან სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირებას 90%-ით 2050 წლისათვის. სტრატეგია გულისხმობს: ▸ ნულოვანი გაფრქვევების მქონე ტრანსპორტის წილის გაზრდა	**საქართველოს კლიმატის ცვლილების და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის[58]** მიზანია 2030 წლისთვის ტრანსპორტის სექტორში სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირება 15%-ზე ქვემოთ საბაზისო დონესთან შედარებით. ამ მიზნის მიღწევისათვის სტრატეგია გვთავაზობს შემდეგ ღონისძიებებს:

47 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2018.328.01.0001.01.ENG&toc=OJ:L:2018:328:TOC

48 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2019.158.01.0054.01.ENG&toc=OJ:L:2019:158:TOC

49 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2019.158.01.0125.01.ENG&toc=OJ:L:2019:158:TOC

50 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2019:158:FULL&from=EN

51 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2019.158.01.0022.01.ENG&toc=OJ:L:2019:158:TOC

52 https://www.matsne.gov.ge/en/document/view/4873932?publication=0

53 https://matsne.gov.ge/en/document/view/4737753?publication=1

54 https://matsne.gov.ge/en/document/view/4873938?publication=0

55 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747785?publication=6

56 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5043284?publication=0

57 https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12438-Sustainable-and-Smart-Mobility-Strategy_en

58 https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/50122

- მდგრადი ალტერნატიული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისა და ბიზნესისთვის
- დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის მხარდაჭერა
- კავშირისა და წვდომის გაუმჯობესება.

მთავარი სამიზნე მაჩვენებლები 2030 წლისთვის:

- მინიმუმ 30 მილიონი ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე მანქანა ევროკავშირში
- ევროპის 100 ქალაქი იქნება კლიმატნეიტრალური
- გაორმაგებული ჩქაროსნული სარკინიგზო მიმოსვლა
- 500 კმ. -ზე ნაკლები მანძილის მგზავრობები უნდა იყოს კარბონ ნეიტრალური
- ნულოვანი გაფრქვევების მქონე გემები 2035 წლისთვის
- ნულოვანი გაფრქვევების მქონე თვითმფრინავები 2050 წლისთვის
- თითქმის ყველა ავტომობილი, ავტობუსი, ფურგონი თუ სხვა ტიპის ტრანსპორტი იქნება ნულოვანი გაფრქვევის
- გაორმაგდება სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლა
- დაბალი ემისიის მქონე ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა ავტოპარკში. ეს მოიცავს ელექტრო და ჰიბრიდული მანქანების წილის გაზრდას საქართველოში მთლიან რეგისტრირებულ ავტომობილებში 5%-ით და 20%-ით, 2030 წლისთვის.
- წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირების და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის და არამოტორიზებული ტრანსპორტის გამოყენების წახალისება; სტრატეგია შედეგის საზომად იყენებს არამოტორიანი ტრანსპორტით (ველოსიპედით და ფეხით სიარული) და საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი) გადაადგილების პროცენტულ მაჩვენებელს. 2030 წლის სამიზნე მაჩვენებელი არის - 35% და 45%, შესაბამისად.
- ინოვაციური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინიციატივების განხორციელება ტრანსპორტის სექტორში

შემუშავებულია რამდენიმე პოტენციური გეგმა და სტრატეგია, რომელიც დადებითად იმოქმედებს ტვირთის საგზაო ტვირთის გადამისამართებას სარკინიგზო გადაზიდვებზე, თუმცა საჭიროა უფრო მკაფიო გეგმის წარმოდგენა. 2021-2023 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმა მოიცავს ხარჯსარგებლიანობის ანალიზისა და მიზანშეწონილობის (ტექნიკურ-ეკონომიკური) კვლევის შემუშავების შესაძლებლობას, რათა დადგინდეს ამ სფეროში ყველაზე შესაფერისი პოლიტიკის ვარიანტები.

ბათუმის მდგრადი ურბანული მობილობის ინტეგრირებული გეგმა[59]

გეგმის მთავარი ამოცანებია:

- ტრანსპორტის უსაფრთხოებისა გაზრდა

[59] https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_ENV_Green_Cities_Batumi_Integrated_Sustainable_Urban_Mobility_Plan_ENG.pdf

- ალტერნატიული გადაადგილების საშუალებების შეთავაზება - ფეხით სიარული, ველოსიპედით სიარული, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება.
- ტრანსპორტის ეფექტის შემცირება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გარემოზე.

თბილისის მდგრადი ურბანული სტრატეგია[60] და და მასთან დაკავშირებული გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა (2022-2030)

თბილისის SUT სტრატეგია ფოკუსირებულია ეკოლოგიურად სუფთა და დაბალი გაფრქვევების გადაწყვეტილებებზე და თბილისის ურბანული მობილობის სისტემის გადალაგებაზე ეფექტური, ინოვაციური, უსაფრთხო, ეკონომიკურად მომგებიანი და ფინანსურად მდგრადი მოდელის მიხედვით. სტრატეგია მოიცავს ყველა სატრანსპორტო რეჟიმს, მათ შორის ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს, არამოტორიზებულ ტრანსპორტის, აგრეთვე ინსტიტუციურ და მიწათსარგებლობის ასპექტებს უკეთესი საცხოვრებელი პირობების, ქალაქის მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.

თბილისის "მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა" **(2017-2030)**[61] (GCAP) მოიცავს 8 სექტორს, მათ შორის - ტრანსპორტს.

ტრანსპორტის სექტორის ძირითადი მიზნებია[62]:

- მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის შემუშავება და განხორციელება
- ავტოპარკის განახლება
- ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტებზე მუშაობა

[60] http://mdf.org.ge/storage/assets/file/documents%202016/murtazi/Strategic%20Paper%20Report%20PDF%20Geo(18_03_2016)/Strategic%20Paper%20Report%20final%20ENG.pdf

[61] https://tbilisi.gov.ge/page/green-city?lang=en

[62] https://wecoop.eu/wp-content/uploads/2022/02/Clinic-1-SUMP-Session-3-5-Vladislav-Bizek-WECOOP-EN-080222.pdf

- ნაკადების მართვის სისტემის განვითარება
- ტაქსებისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა

თბილისის მედეგობის სტრატეგია[63] ეფუძნება უკვე არსებულ სტრატეგიებს და დამატებით აქცენტს აკეთებს მედეგობის გაუმჯობესებაზე. სხვა დანარჩენთან ერთად, სტრატეგია მიზნად ისახავს აქტიური და ინკლუზიური სატრანსპორტო სისტემების განვითარებას, მათ შორის ელექტრო (მეტრო) საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების წახალისების ღონისძიებებს.

ცირკულარული ეკონომიკა

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
21	**ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა**[64]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა მოიცავს მომავალზე ორიენტირებულ დღის წესრიგს, რომლის მიზანია სუფთა ენერგიასა და კონკურენტუნარიან ეკონომიკაზე დამყარებული ევროპის კავშირის შექმნა. ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს მოქალაქეების, ბიზნესების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სხვა ეკონომიკური აქტორების მონაწილეობას. სამოქმედო გეგმის მიზანია მწვანე გარდაქმნის ხელშეწყობა და 2015 წლიდან არსებული გეგმებზე დაყრდნობით. ცირკულარული ეკონომიკა ამცირებს წნეხს ბუნებრივ რესურსებზე და არის კლიმატნეიტრალურობის მიღწევის წინაპირობა. გეგმა ქმნის წინაპირობას, რომ კვლევების, ინოვაციისა და დიგიტალიზაციის გამოყენებით მიღწეული იყოს კლიმატ ნეიტრალურობის სამიზნე მაჩვენებელი 2050 წლისთვის.	**საქართველო გეგმავს ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.** MEPA ამჟამად მუშაობს სამიზნე ინდიკატორების შემუშავებაზე. ახალი კოდექსი ნარჩენების შესახებ არის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით. კოდექსის შემუშავებასთან ერთად, MEPA-მ სევე ჩამოაყალიბა მომხმარებელთა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ახალი პრინციპები და მიიღო რამდენიმე რეგლამენტი ნარჩენების ცირკულარულობის ხელშეწყობის მიზნით[65].

[63] https://resilientcitiesnetwork.org/downloadable_resources/Network/Tbilisi_Resilience-Strategy-English.pdf

[64] New Circular Economy Action Plan (europa.eu) / new_circular_economy_action_plan.pdf (europa.eu) / Circular economy action plan (europa.eu)

[65] News | Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia (mepa.gov.ge)

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
22	**მდგრადი ლურჯი ეკონომიკა**[66]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ეს არის სისტემური ხედვა, რომელიც ემსახურება ოკეანეებთან დაკავშირებული პოლიტიკების ინტეგრირებას ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკაში. მდგარდი ლურჯი ეკონომიკის შესახებ შემუშავებული დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ▸ მოუწოდებს ყველა საზღვაო მოთამაშეს, საქმიანობა დააფუძნონ ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიან გამოყენებაზე, დეკარბონიზაციასა და წრიული ეკონომიკის კონცეფციებზე. ▸ ადგენს ლურჯი ეკონომიკის გამწვანების დეტალურ დღის წესრიგს, რომელსაც ემყარება ოკეანეების საერთაშორისო მართვა ▸ ხელს უწყობს ეკონომიკური საქმიანობის თანაარსებობას და სინერგიას საზღვაო სივრცეში საზღვაო სივრცითი დაგეგმარების გზით, გარემოს დაზიანების გარეშე. ▸ გვთავაზობს მთელ რიგ ღონისძიებებს აღნიშული მიმართულებით კვლევებისა და ინოვაციის გასაზრდელად და ფინანსური სახსრების მოსაძიებლად.	მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს გადასვლას უფრო მდგრად ლურჯ ეკონომიკაზე. აღნიშნულ თემას ეხება მსოფლიო ბანკის ანგარიშები: კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს სანაპირო ზოლზე: მოწყვლადობის შეფასება და ადაპტაციის შესაძლებლობები[67]; **და ინსტრუმენტი სანაპირო ზოლის ადაპტაციისთვის და ეროვნულად განსაზღვრული წვლილი.**[68] აღნიშულ დოკუმენტებში მოცემული რეკომენდაციების მიზანია დღის წესრიგში დადგეს კლიმატის ცვლილების ზეგავლენა სანაპირო ზოლზე და აქცენტი გაკეთდეს ლურჯ ეკონომიკაზე, როგორც კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის მამოძრავებელ ძალაზე. აღნიშნული მიმართულების განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებას, ტურიზმს და გარემოს კონსერვაციას. აღნიშნული დოკუმენტების მიზანია დაეხმაროს NDC-ს სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას, რომლებიც სანაპირო ზოლის დაცვასთან არის დაკავშირებული. კვლევის მიგნებები შეიძლება გამოყენებული იყოს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კლიმატის ადაპტაციის სამიზნე მაჩვენებლების შემუშავებისათვის. ეს მოხსენება ასევე არის მსოფლიო ბანკის შავი ზღვის პროგრამის (BBSEA) ძირითადი ნაწილი რომელიც შემუშავებულია 2019 წელს საერთო საზღვაო დღის წესრიგის მხარდასაჭერად, ხელს აწერს შავი ზღვის ყველა ქვეყანა და მოლდოვა

66 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021DC0240&from=EN

67 https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/34886/Impacts-of-Climate-Change-on-Georgia-s-Coastal-Zone-Vulnerability-Assessment-and-Adaptation-Options.pdf?sequence=1&isAllowed=y

68 https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/35179/The-Cost-of-Coastal-Zone-Degradation-in-Georgia-A-Tool-for-the-Coastal-Zone-Adaptation-and-the-Nationally-Determined-Contributions.pdf?sequence=1&isAllowed=y

შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგი (CMA)[69] და მისი განხორციელების პროცესი[70] - არის საზღვაო აუზის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს რეგიონულ თანამშრომლობას უფრო მდგრადი ცისფერი ეკონომიკისთვის შავ ზღვაში. იგი შემუშავებულია შავი ზღვის სტრატეგიის უფრო ფართო ჩარჩოს ფარგლებში. ინიციატივის მონაწილეები არიან ბულგარეთის რესპუბლიკა, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთის რესპუბლიკა, უკრაინა და BSEC-ის ყველა წევრი ქვეყანა. მისი ნაწილია სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი (SRIA), რომელსაც მხარს უჭერს ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციების გენერალური დირექტორატი (DG RTD).

CMA აქვს 3 ძირითადი მიზანი:

1. ჯანსაღი საზღვაო ეკოსისტემები;
2. ინოვაციური ლურჯი ეკონომიკა;
3. ინვესტიცია - და 10 პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც ასახულია ქმედებებში.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
23	**საზღვაო სივრცითი დაგეგმარების ჩარჩო[71] (EU დირექტივა)**

დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
დირექტივა ადგენს საზღვაო სივრცითი დაგეგმვის ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს საზღვაო ეკონომიკის მდგრადი ზრდის ხელშეწყობას, საზღვაო ტერიტორიების მდგრად განვითარებას და საზღვაო რესურსების მდგრად გამოყენებას. აღნიშნული კომპონენტის მიზანია წევრმა ქვეყნებმა ხელი შეუწყონ ენერგეტიკის სექტორის მდგრად განვითარებას, რაც მოიცავს საზღვაო ტრანსპორტს, თევზსაჭერებს, აკვაკულტურის სექტორებს. ეს თავის მხრივ გავლენას მოახდენს გარემოს დაცვასა და რეზერვაციაზე და კლიმატის ცვლილების ეფექტებისადმი მედეგობის ამაღლებაზე.	საქართველოს არ აქვს დამტკიცებული საზღვაო სივრცითი გეგმა. თუმცა, ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, მთავრობამ შეიტანა გარკვეული ცვლილებები საზღვაო სივრცის შესახებ კანონში რაც მოიცავს სანაპირო ზონისა და შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვისა და მისი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად საჭირო დებულებებს. **საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ[72]**

[69] http://www.bsec-bsvkc.org/UploadedDocuments/Annex%201%20-%20Common%20Maritime%20Agenda%20for%20the%20Black%20Sea.pdf

[70] http://www.bsec-bsvkc.org/UploadedDocuments/Annex%202%20-%20CMA%20implementation.pdf

[71] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0089&from=EN

[72] https://matsne.gov.ge/ka/document/view/18244?publication=24

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
24	**ევროპის ახალი ინდუსტრიული სტრატეგია**[73]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
აღნიშნული სტრატეგია დაეხმარება ევროკავშირს მოემზადოს გარდამავალი პერიოდისთვის და გაზარდოს კონკურენტუნარიანობა. ინიციატივების პაკეტი განსაზღვრავს მოქმედებების მთელ რიგს, რომ მხარი დაუჭიროს ევროპული ინდუსტრიის ყველა მოთამაშეს, შეინარჩუნონ კონკურენტუნა-რიანობა შიდა ბაზარზე და გლობალურად, გახადონ ევროპა კლიმატ-ნეიტრალური 2050 წლისთვის და ჩამოაყალიბონ ევროპის ციფრული მომავალი.	**სახელმწიფო პროგრამა 2021 - 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“**[74] დოკუმენტი მიზნად ისახავს განვითარების ზოგადი პერსპექტივის ჩამოყალიბებას ეკონომიკის ყველა სექტორისათვის ინდუსტრიის სექტორის ჩათვლით. ინდუსტრიისა და მეწარმეებისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად დაგეგმილია ხელსაყრელი საგადასახადო სისტემის შენარჩუნება და ინოვაციური მიდგომების დანერგვა, ციფრული და თანამედროვე ტექნოლოგიების ჩათვლით. იგეგმება სამთო სექტორის განვითარების პროგრამის გაგრძელება, რომელიც მიზნად ისახავს მიმზიდველი სამთო მრეწველობის შექმნას და ეკონომიკური სარგებლის ოპტიმიზაციას.[75] დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს სხვა სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს, როგორც უკვე შემუშავებულს, ისე შემუშავების ეტაპზე მყოფს, ამის მიზანია კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის ამაღლება, მუშახელის უნარების გაუმჯობესება და ა.შ. რაც ინდუსტრიას დაეხმარება მდგრად განვითარებაში. დაგეგმილია მეწარმეთა შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღება, რათა სრულად აისახოს ასოცირების ხელშეკრულების უპირატესობები.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
25	**კრიტიკული ნედლეულების სამოქმედო გეგმა**[76]

[73] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52020DC0102

[74] https://www.gov.ge/files/68_78941_292978_govprogramme.pdf

[75] https://nam.gov.ge/?m=text&menu=4&id=115

[76] https://erma.eu

	დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
	კრიტიკული ნედლეულის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ევროკავშირის სამრეწველო ეკოსისტემებისთვის მდგრადი ღირებულების ჯაჭვების განვითარებას, პირველადი კრიტიკულ ნედლეულზე დამოკიდებულების შემცირებას რესურსების მეორადი გამოყენებისა და მდგრადი პროდუქტებისა და ინოვაციების მეშვეობით	**საქართველოს არ აქვს სამოქმედო გეგმა კრიტიკულ ნედლეულთან დაკავშირებით.**
N	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში**	
26	**მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგია მდგრადი და ციფრული ევროპისთვის**[77]	
	დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
	მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი შეადგენს ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს, ქმნის სამუშაო ადგილების ორ მესამედს და მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს. სტრატეგია ეფუძნება ევროკავშირის არსებულ ჩარჩოს მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს აღნიშნული ბიზნესების ჩართვას მდგრად განვითარებაში.	**საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, 2021-2025.**[78] სტრატეგია ეფუძნება 2008 წლის მცირე ბიზნესის აქტის პრინციპებს და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო ბიზნესში. სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტებია ნებართვების/ლიცენზიების შესახებ კანონმდებლობის დახვეწა, ინსტიტუტებისა და ოპერატიული გარემოს გაძლიერება. სხვადასხვა ინსტიტუტები და სააგენტოები ხელს შეუწყობენ მეწარმეობის მხარდაჭერას დაბალპროცენტიანი დაფინანსებით, ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კვლევებით და დამატებითი საექსპორტო ბაზრების მოძიებით. სტრატეგიის მიხედვით, დაგეგმილია ბიზნესის დაწყების პროცედურების გამარტივება და მეწარმეებისთვის დღემდე დანერგილი ციფრული სერვისებისა და საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის დიგიტალიზაცია. სტრატეგიის მიზანია კორუფციასთან ბრძოლის პრიორიტეტიზაცია. შედეგად, გაიზრდება კონკურენტუნარიანობა მცირე და საშუალო საწარმოებს შორის, რაც შექმნის მყარ

[77] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52020DC0103

[78] http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45&lang=ge

	საფუძველს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. სამოქმედო გეგმა ადგენს რამდენიმე მიზანს და მათი შესრულების გეგმას. უკვე ხელმისაწვდომია შესრულების ანგარიშები 2016-2020 და 2021 წლებისთვის.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
27	**ერთიანი ბაზრის ბარიერების ანგარიში[79]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
ანგარიშ მოიცავს ყველაზე ხშირად დასახელებულ ბარიერებს, მათ შორის ინფორმაციის შეგროვება მოთხოვნების, ტრანსსასაზღვრო შესყიდვებისა და საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ და ა.შ.	შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში.

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
28	**ინტელექტუალური საკუთრების სამოქმედო გეგმა[80]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
სტრატეგია, რომლის მიზანია დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესს ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში.	საქართველოში ორი მსგავსი კანონი უკვე მიღებულია - საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ[81]. საქართველოს საპატენტო კანონი[82].

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
29	**უნარების პაქტი[83]**

79 https://ec.europa.eu/info/sites/default/files/communication-eu-single-market-barriers-march-2020_en.pdf

80 Intellectual property action plan implementation (europa.eu)

81 Law of Georgia on Copyright and Related Rights | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

82 Patent Law of Georgia | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

83 https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1517&langId=en

	დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
	სამართლიანი და გადასვლის მხარდასაჭერად და მწვანე და ციფრული გადასვლების ამბიციების და ევროკავშირის სამრეწველო და მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიების განსახორციელებლად, კომისია იწვევს საჯარო და კერძო ორგანიზაციებს, გააერთიანონ ძალები და მიიღონ კონკრეტული ზომები ევროპაში ადამიანების კვალიფიკაციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.	პროფესიული განათლების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არის მსგავსი მიზნების მქონე დოკუმენტი[84]
N	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში**	
30	**ევროპის ინოვაციების საბჭო[85]**	
	დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
	EIC არის ევროპის ფლაგმანი ინოვაციური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი თაობის ტექნოლოგიების იდენტიფიცირებას, მათი კომერციულ გამოყენების დახმარებას და ეხმარება მათ დამწყებ ბიზნესების სწრაფ გაფართოებაში.	საქართველოში ამ მიზანს ემსახურება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
N	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში**	
31	**ციფრული ინოვაციების ჰაბები (DHIs)[86]**	
	დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
	სააგენტო, რომელიც კონსულტაციას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესს მდგრადობისა და დიგიტალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით	მსგავსი უწყებები საქართველოში უკვე არის წარმოდგენილი, მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

[84] დოკუმენტი უნდა მომზადდეს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

[85] European Innovation Council (europa.eu)

[86] Digital Innovation Hubs: helping companies across the economy make the most of digital opportunities — Brochure | Shaping Europe's digital future (europa.eu)

ბიომრავალფეროვნება

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
32	**ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის[87]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
სტრატეგიის მიზანია უზრუნველყოს მსოფლიო ეკოსისტემების აღდგენა 2050 წლისთვის, მათი მედეგობის შენარჩუნება და ადეკვატური დაცვა.	**საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა[88]**. სტრატეგია მოიცავს შემდეგი არეების ბიომრავალფეროვნებას: სახეობები და ჰაბიტატები, დაცული ტერიტორიები, ტყის ეკოსისტემები, სასოფლო-სამეურნეო ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი მდელოები, შიდა წყლის ეკოსისტემები და შავი ზღვა. სტრატეგია ადგენს მიზანს, ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს, და აქტივობებს თითოეული მიმართულებით. საქართველო არის ბერნის კონვენციის ხელმომწერი - ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის შესახებ. ამ კონვენციით გათვალისწინებული საერთო ფართობი (ე.წ. ზურმუხტის ფართობი) საქართველოში შეადგენს 1,285,974 ჰა-ს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 18,45%-ს შეადგენს[89]. ევროკომისიის N92/43/EEC დირექტივის თანახმად, ტერიტორიების მფლობელებმა უნდა დაიცვან იგი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და უზრუნველყონ შესაბამისი ეკოლოგიური პირობებისა და „ზურმუხტის“ სტატუსისთვის განსაზღვრული კომპონენტების შენარჩუნება. (SDG 14.c.1) საქართველო არის შემდეგი შეთანხმებების მხარე: **1.** UNCLOS, გაეროს კონვენცია ზღვის სამართლის შესახებ (მიუერთდა 1996 წლის 21 მარტს). **2.** FAO-ს შეთანხმება მეთევზეობის გემების დაცვისა და მართვის საერთაშორისო ზომებთან შესაბამისობის ხელშეწყობის შესახებ (მიუერთდა 1994 წლის 7 სექტემბერს).

87 EUR-Lex - 52020DC0380 - EN - EUR-Lex (europa.eu)

88 CBD Strategy and Action Plan - Georgia (English version)

89 სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (mepa.gov.ge)

	3. კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ (ბუქარესტის კონვენცია) (რატიფიცირებულია 1993 წლის 1 სექტემბერს).

დაბინძურების შემცირება

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
33	**ნულოვანი დაბინძურების სამოქმედო გეგმა (ევროკავშირის სამოქმედო გეგმა: „ჰაერის, წყლის და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურებისკენ“)[90]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
გეგმა აყალიბებს 2050 წლის ინტეგრირებულ ხედვას: ამ ხედვის მიხედვით, დაბინძურება შემცირდება იმ დონემდე, რომელიც აღარ იქნება საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ბუნებრივი ეკოსისტემებისთვის. გეგმა აერთიანებს ევროკავშირის ყველა შესაბამის პოლიტიკას დაბინძურების დასაძლევად და განსაკუთრებული აქცენტს აკეთებს ციფრული გადაწყვეტილებების გამოყენებაზე დაბინძურების დასაძლევად. გათვალისწინებულია ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის გადახედვა არსებული ხარვეზების გამოსავლენად და სადაც ღონისძიებების დასამატებლად. სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზნებია: ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის რიცხვის 55%-ით შემცირების მიზნით; წყლის ხარისხის გაუმჯობესება ნარჩენების, ზღვაში პლასტიკური ნარჩენების (50%-ით) და გარემოში გამოყოფილი ნივთიერებების შემცირებით (30%-ით);	**საქართველოს არ აქვს მსგავსი სტრატეგია, თუმცა მიღებული აქვს კანონი გარემოს დაცვის შესახებ[91]** და კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ[92]. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონში 2021 წელს მიღებული ცვლილებები საქართველოს საშუალებას მისცემს სრულად გადავიდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ევროპულ სისტემაზე ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების შესაბამისად. ქვეყანას ასევე აქვს ჰაერის დაბინძურების შემცირების სახელმწიფო პროგრამა[93]. ასოცირების შესახებ შეთანხმება[94] განსაზღვრავს ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების გზებს. ასოცირების შეთანხმება არის საკვანძო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ატმოსფერული ჰაერის დაცვასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ მიმართულებებს.

[90] Commission aims for zero pollution in air, water and soil (europa.eu) / www.eubusiness.com/topics/environ/zero-pollution-action-plan

[91] On Environmental Protection | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[92] 277 (eiec.gov.ge)

[93] სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (mepa.gov.ge)

[94] EU/Georgia Association Agreement | EEAS Website (europa.eu)

- ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება საკვები ნივთიერებების დანაკარგების და ქიმიური პესტიციდების გამოყენების 50%-ით შემცირებით;
- ბიომრავალფეროვნებისთვის საფრთხის შემცველი ტერიტორიების რაოდენობის 25%-ით შემცირება;
- ტრანსპორტის ხმაურის ზემოქმედების ქვეშ მუდმივად მყოფი ადამიანების წილის 30%-ით შემცირება;
- ნარჩენების წარმოქმნის მნიშვნელოვნად შემცირება და მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების 50%-ით შემცირება.

ასოცირების შეთანხმების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა[95] მოიცავს კონკრეტულ ვადებზე გაწერილ ღონისძიებებს. ეს ღონისძიებები შესაბამისად არის ასახული ევროკავშირი-საქართველოს ასოციაციის შეთანხმების იმპლემენტაციის ჩარჩო დოკუმენტში[96] და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების განახლებულ დღის წესრიგში[97]

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N297 ბრძანება ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებას: „სასმელი წყალი. ჰიგიენური მოთხოვნები სასმელი წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემების წყლის ხარისხისადმი. ხარისხის კონტროლი" (დანართი 1); ჰიგიენური მოთხოვნები არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წყლის ხარისხისადმი. წყაროების სანიტარიული დაცვა" (დანართი 3); მოსახლეობის წყალმოხმარების ადგილებში ზღვის სანაპირო წყლის დაცვა დაბინძურებისაგან" – სანიტარიული წესები და ნორმები (დანართი 4).[98]

- **საქართველოს კანონი წყლის შესახებ[99] განსაზღვრავს ეროვნულ პოლიტიკას წყლის რესურსების, მათი მდგრადი გამოყენებისა და მართვის შესახებ**
- **წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი[100] ადგენს რეგლამენტს**

---

95 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - National Action Plans for the implementation of the Association Agreement and Association Agenda (mfa.gov.ge)

96 2021-2023 EU-Georgia work plan for the implementation of the Trade and sustainable development chapter (europa.eu)

97 ასოცირების შესახებ შეთანხმება

98 Order No 297/N of 2001 of Minister of Labor, Health and Social Affairs of Georgia on Environmental Quality Requirements | InforMEA

99 წყლის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

100 წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

	ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან და დამაბინძურებელ ნივთიერებების ზღვრებთან დაკავშირებით. ▸ **მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR)[101] ნარჩენების მართვის ეროვნული კოდექსის ნაწილია[102]**

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
34	**ქიმიკატების მდგრადი გამოყენების სტრატეგია (2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის თანდართული ნაწილი)[103]**

დოკუმენტის მიზანი	**EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი**
სტრატეგია მიზნად ისახავს მნიშვნელოვნად გაზარდოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა მავნე ქიმიკატებისაგან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებს. სტრატეგია ითვალისწინებს: ▸ ისეთი სამომხმარებლო პროდუქტების, სათამაშოების, ბავშვთა მოვლის საშუალებების, კოსმეტიკური ნაწარმის, საკვების შესაფუთ მასალების, ტექსტილის წარმოების გაუქმებას, რომელიც შეიცავს იმუნურ და რესპირატორულ სისტემაზე ნეგატიური ეფექტის მქონე ნივთიერებებს, მაგ. PFAS. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი პროდუქცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის. ▸ საეჭვო ნივთიერებების მინიმუმამდე დაყვანა ნებისმიერ პროდუქტში. პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ პროდუქციას, რომლებსაც გავლენა აქვთ მოწყვლად მოსახლეობაზე და რომელთან აქვთ მაღალი პოტენციალი ცირკულარული ეკონომიკისათვის	**საქართველოს არ აქვს ქიმიკატების მდგრადი გამოყენების შესახებ სტრატეგია, თუმცა აქვს კანონი გარემოს დაცვის შესახებ[104] და მიღებული აქვს დადგენილება ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ[105]** ამ დადგენილების ნაწილია დანართი 1 - „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენების, იმპორტის და ექსპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდვას დაქვემდებარებული ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ნუსხა და სახიფათო ქიმიკატებისა და პესტიციდების სია, რომლებიც აკრძალულია წარმოებისთვის, ექსპორტისთვის და იმპორტისთვის სტოკჰოლმის კონვენციით. 2014 წელს საქართველომ ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით აიღო ვალდებულება ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას და მის ჰარმონიზაციას ევროკავშირის

[101] სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (mepa.gov.ge)

[102] ნარჩენების მართვის კოდექსი | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

[103] Commission adopts new Chemicals Strategy (europa.eu) / Chemicals strategy (europa.eu) / resource.html (europa.eu) / resource.html (europa.eu) / chemicals-strategy-factsheet.pdf (europa.eu)

[104] On Environmental Protection | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

[105] ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ | სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)

- ქიმიკატების კომბინირებული ეფექტის (კოქტეილის ეფექტი) გადაწყვეტა იმ რისკის უკეთ გათვალისწინებით, რომელსაც ეს ნივთიერებები უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს
- უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის ინფორმირების დონე პროდუქციის ქიმიური შემცველობისა და უსაფრთხო გამოყენების შესახებ.

კანონმდებლობასთან; ქიმიკატებისა და საშიში/სახიფათო ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგებას და ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შექმნას.

მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
35	**სტრატეგია ფერმიდან ჩანგლამდე (სამართლიანი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა კვების სისტემის შემუშავება)[106]**

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
„ფერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგია არის ევროპის მწვანე შეთანხმების ცენტრალური ნაწილი, რომლის მიზანიცაა საკვები სისტემები გახადოს სამართლიანი, ჯანსაღი და გარემოსადმი მეგობრული. სტრატეგიის მიხედვით, ევროკავშირი კვებითი ინდუსტრია უნდა იყოს გარემოსა და კლიმატის კუთხით ნაკლებად დამაზიანებელი, მდგრადი და უსაფრთხო.	**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია[107].** სტრატეგია მიზნად ისახავს სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციას/განვითარებას, სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა 2030 წ[108].** გეგმის ძირითადი ამოცანებია თვითკმარობის კოეფიციენტის გაზრდა სურსათის უვნებლობის, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვაში, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, საქართველოს აგროწარმოებისთვის საექსპორტო პოტენციალის უფრო დიდი ათვისების ხელშეწყობა, მდგრადი და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად გადამწყვეტი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

[106] f2f_action-plan_2020_strategy-info_en.pdf (europa.eu)

[107] სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (mepa.gov.ge)

[108] Strategic documents | Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia (mepa.gov.ge)

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
36	**ორგანული პროდუქციის სამოქმედო გეგმა**[109]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
„გერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგიის მიხედვით, ევროკომისიამ სამიზნე მაჩვენებლად დაისახა, რომ სასოფლო სამეურნეო მიწების 25% გამოყენებული იყოს ორგანული პროდუქტების მოსაყვანად და მნიშვნელოვნად გაიზარდოს ორგანული აკვაკულტურა 2030 წლისთვის. ამ მიზნის მისაღწევად კომისიამ წარმოადგინა ორგანული პროდუქციის სამოქმედო გეგმა.	**საქართველოს არ აქვს მსგავსი გეგმა.** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგის მიხედვით[110] - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების კონსერვაცია, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია და ეკოლოგიურად სუფთა, კლიმატისთვის ჭკვიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ხელშეწყობა და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა ამ მიზნის მთავარი ამოცანაა. მსოფლიო ბანკმა შეაფასა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი - Climate-Smart სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში[111]

N	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები ევროკავშირში
37	**კონკურენტუნარიანი და მდგრადი აკვაკულტურის სახელმძღვანელო ევროკავშირში**[112]

დოკუმენტის მიზანი	EGD-სთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში და მათი მიზანი
კომისია მიზნად ისახავს ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართვას ევროკავშირის აკვაკულტურის განვითარებაში. ეს არის სექტორი, რომელიც კვებავს და აწვდის და ჯანსაღ პროდუქტს	**CMA**[113] **და მისი განხორციელების გეგმა**[114] მოიცავს დებულებებს შავ ზღვაში მდგრადი აკვაკულტურის განვითარების შესახებ. პრიორიტეტი 3: მდგრადი მეთევზეობისა და აკვაკულტურის მხარდაჭერა შავ ზღვაში.

[109] Organic action plan | European Commission (europa.eu) / resource.html (europa.eu) / resource.html (europa.eu)

[110] სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (mepa.gov.ge)

[111] World Bank Document - Climate-Smart Agriculture in Georgia

[112] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM:2021:236:FIN

[113] http://www.bsec-bsvkc.org/UploadedDocuments/Annex%201%20-%20Common%20Maritime%20Agenda%20for%20the%20Black%20Sea.pdf

[114] http://www.bsec-bsvkc.org/UploadedDocuments/Annex%202%20-%20CMA%20implementation.pdf

დაბალი ეკოლოგიური და კლიმატის კვალით, ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და სამუშაო ადგილებს და ხდება მდგრადობისა და ხარისხის გლობალური ნიშანი. დოკუმენტის მიზანია:

- ევროკავშირის აკვაკულტურის სექტორის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა
- ევროკავშირის აკვაკულტურის სექტორის მონაწილეობის უზრუნველყოფა მწვანე გარდაქმნაში
- სოციალური მიმღებლობის ხელშეწყობა და მომხმარებელთა ინფორმირების გაუმჯობესება ევროკავშირის აკვაკულტურის საქმიანობისა და პროდუქტების შესახებ

ქმედებები: აკვაკულტურის კვლევისა და ერთობლივი საპილოტე პროექტების მხარდაჭერა; ინოვაცია ცისფერ ბიოტექნოლოგიებში, საზღვაო ტექნოლოგიებსა და აკვაკულტურაში.

საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ[115] - კანონის მიზანია:

ა) საქართველოს (შავი ზღვის) კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის), განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის (შემდგომ – საზღვაო წყლები) და შიდა წყლების – წყალსატევების (ტბები, წყალსაცავები, ტბორები, მდინარეები, მიწისქვეშა წყლები, ნაკადულები, არხები, წყალჭაობიანი ადგილები და აკვაკულტურის ობიექტების მოშენებისთვის გამოსადეგი სხვა წყალსატევები) განსაზღვრულ ადგილებში აკვაკულტურის საქმიანობის მოწესრიგება;
ბ) აკვაკულტურის პასუხისმგებლობიანი და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
გ) აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას გარემოს, ბიომრავალფეროვნებისა და წყლის ბიოლოგიური რესურსების დაცვა;
დ) აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას წყლისა და მიწის რესურსებით რაციონალური და ეფექტიანი სარგებლობის უზრუნველყოფა, სხვა წყლითა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესების დაცვა;
ე) აკვაკულტურის საქმიანობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფა;
ვ) აკვაკულტურის სუბიექტის საქმიანობის ეფექტიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფა.

აკვაკულტურის განვითარების ეროვნული სტრატეგია (შემუშავების პროცესშია)

ევროკავშირი და FAO მხარს უჭერენ საქართველოს მთავრობას აკვაკულტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შექმნაში. აკვაკულტურის ეროვნული სტრატეგია შემუშავდება აკვაკულტურის მდგრადი წარმოებისა და მოხმარების ევროკავშირის სტრატეგიული ხედვის გათვალისწინებით.

[115] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4901055?publication=4

პროგრეს ინდიკატორები ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელების მონიტორინგისთვის

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს იმ ინდიკატორებს, რომლებიც გამოყენებულია ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელების პროცესის შესაფასებლად. მოძიებული და დამუშავებული იქნა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები. ვინაიდან ევროპის მწვანე შეთანხმება მჭიდრო კავშირშია მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), შესაბამისობის შესაფასებლად ასევე გამოყენებული იქნა SDG ინდიკატორები,

საერთო ინდიკატორები

	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**დაფინანსება**
1	ინდიკატორი	ევროპის მწვანე შეთანხმების მიზნების მისაღწევად ეროვნულ დონეზე გამოყოფილი ფინანსური სახსრები
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ევროპის მწვანე შეთანხმების მიზნების შესასრულებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრების მოცულობა (%).	მონაცემები არ არსებობს. საჭიროა შეიქმნას მონიტორინგის სისტემა და აღირიცხოს ეროვნული ბიუჯეტის რა ნაწილია კლიმატთან დაკავშირებული ხარჯები.
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ციფრული განვითარება**
2	ინდიკატორი	ციფრული განვითარების დონე - DAI (მსოფლიო ბანკი[116]) და ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი (DESI)[117]

[116] Digital Adoption Index (worldbank.org)

[117] https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/desi

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
DAI საერთაშორისო ინდექსია, რომელიც ქვეყნების ციფრული განვითარების დონეს სამი მიმართულებით აფასებენ: საზოგადოება, მთავრობა და ბიზნესი. ინდექსი 180 ქვეყანას ფარავს, იზომება 0-1 სკალაზე და ძირითადად კონცენტრირდება ციფრული სერვისების მიწოდების მხარეზე. DAI წარმოადგენს სამი ქვეინდექსის მარტივ საშუალოს. ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი კრებითი ინდექსია და სხვადასხვა ინდიკატორებს აჯამებს და აფასებს ევროპის ციფრულ პროგრესს.	DAI-ის მნიშვნელობები საქართველოსთვის: 2014 – 0.564 2016 – 0.599 მიმდინარე პერიოდში DESI-ის მნიშვნელობები მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებისთვისაა ხელმისაწვდომი

	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ციფრული განვითარება**
3	ინდიკატორი	წვდომა ინტერნეტთან (OECD[118])

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ინდექსი გვიჩვენებს თუ შინამეურნეობათა რა წილს (%) აქვს ინტერნეტთან წვდომა. თითქმის ყველა შემთხვევაში ინტერნეტთან კავშირი მყარდება პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით.	საქართველო[119]: 2020 – 83.8% 2021 – 86.1%[120]

	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**გენდერული თანასწორობა**
4	ინდიკატორი	ქალების მიერ დაკავებული ადგილების წილი პარლამენტსა და საკრებულოებში

118 Information and communication technology (ICT) - Internet access - OECD Data

119 ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში (idfi.ge)

120 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
16.7.1.2: პარლამენტში და საკრებულოებში ქალთა ადგილების წილი	16.7.1.2: 2016: ადგილების 16% დაკავებული იყო ქალების მიერ 2016: საკრებულოს ადგილების 11.6% დაკავებული იყო ქალების მიერ 2019: GII-ის მიხედვით, პარლამენტში ადგილების 14.8% დაკავებული იყო ქალების მიერ 16.7.1.2: 2017 - საკრებულოებში არსებული ადგილების 13.4% დაკავებული იყო ქალების მიერ

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**გენდერული თანასწორობა**
5 ინდიკატორი	UNDP - გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII)[121]

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
GII წარმოადგენს შედგენილ ინდექს, რომელიც ასახავს ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანაბრობას სამი მიმართულებით: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გაძლიერება და შრომითი ბაზარი.	GII-ის მნიშვნელობა საქართველოსთვის 0.33-ია, რომელიც მსოფლიო საშუალოზე მაღალია (0.43)[122]

დეკარბონიზაცია

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**კლიმატის სამიზნე მაჩვენებლები**
6 ინდიკატორი	კლიმატის სამიზნე მაჩვენებელი და ეროვნული სათბური გაზების ემისიის წლიური მოცულობა 1990 წელთან შედარებით

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
კლიმატის სამიზნე მაჩვენებელი 2030 და 2050 წლებისთვის 1990 წელთან შედარებით. ეროვნული სათბური გაზების ემისიის წლიური მოცულობა 1990 წელთან შედარებით გამოსახული მლნ. ტონა CO2 ეკვივალენტში.	2030 წლისთვის სათბური გაზების 35%-იანი შემცირება 1990 წელთან შედარებით (არ გადააჭარბებს დაახლოებით 30 მლნ. ტონა CO2 ეკვივალენტს) 2017 წლის მონაცემებით, სათბური გაზების გაფრქვევა 17.8 მლნ. ტონა CO2 ეკვივალენტის ტოლი იყო (39% 1990 წელთან შედარებით)

[118] Information and communication technology (ICT) - Internet access - OECD Data

[119] ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტენდენციები საქართველოში (idfi.ge)

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		კლიმატის ინდიკატორები
7	ინდიკატორი	სათბური გაზების ინტენსივობა ერთ სულზე; სათბური გაზების ინტენსივობა რეალური მშპ-ს ერთეულზე
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	სათბური გაზების ინტენსივობა ერთ სულზე და სათბური გაზების ინტენ-სივობა რეალური მშპ-ს ერთეულზე	2017-ში: სათბური გაზების ინტენსივობა ერთ სულზე - 4.76 ტ/ერთ სულზე სათბური გაზების ინტენსივობა რეალური მშპ-ს ერთეულზე - 0.485 კგ/ლარი (2015 წლის ფასებში)
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**მეთანის სტრატეგია**
8	ინდიკატორი	მეთანის გაფრქვევების შემცირება/ჩაჭერა (გიგაგრამი)
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	მეთანის ის მოცულობა, რომლის გაფ-რქვევა შემცირდა ან აღიკვეთა ეროვ-ნულ დონეზე, გიგაგრამებში	2017-ში მეთანის ემისია 235.29 გიგაგრამს შეადგენდა (NIR, 2017)[123]
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**ტყის კაფვის შემცირება**
9	ინდიკატორი	სათბური გაზების გაფრქვევები/შთანთქმა LULUCF სექტორის მიერ
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ინდიკატორი ზომავს სათბური გაზე-ბის გაფრქვევებს LULUCF სექტორის მიერ (გიგაგრამი CO2 ეკვივალენტი) და ადარებს წინა პერიოდის მნიშვნე-ლობებს	გაფრქვევები 2017 წელს[124] – 3,813 გიგაგრამი CO2 ეკვივალენტი, ხოლო შთანთქმა – 8,737 გიგაგრამი CO2 ექვივალენტი LULUCF სექტორიდან წმინდა შთანთქმა – (4,924 გიგაგრამი CO2 ექვივალენტი)
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**ტყის კაფვის შემცირება**
10	ინდიკატორი	SDG 15.1.1. ტყეების მიერ დაკავებული ფართობი

[123] NIR Eng 30.03.pdf (unfccc.int)

[124] National Inventory Report (NIR) to NC4 Georgia. | UNFCCC

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
15.1.1: ტყის ფართობის თანაფარდობა მიწის სრულ ფართობთან.	15.1.1: 2015: 40 % (2,822,500 ჰა) 2017: 39 % (2,747,068 ჰა აფხაზეთის, აჭარის და დაცული ტერიტორიების ჩათვლით)[125] SDG 15.1.1. - აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით ამ ეტაპზე სამიზნეს განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან არსებული საბაზისო მონაცემი (40%) არის სრულიად დამაკმაყოფილებელი და საკმაოდ კარგი მაჩვენებელი ქვეყნისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ტყის ეროვნული დონის ინვენტარიზაცია, რომლის საბოლოო შედეგები მალე იქნება ხელმისაწვდომი და იმ შემთხვევაში თუ ინვენტარიზაცია მოგვცემს განსხვავებულ მაჩვენებელს, შემდგომ პოლიტიკის დონეზე დაიგეგმება შესაბამისი ქმედებები და განისაზღვრება სამიზნე მაჩვენებელიც.

	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ტყის კაფვის შემცირება**
11	ინდიკატორი	ტყის სიხშირე წინასწარ შერჩეულ ადგილებში

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ხეების სიხშირე ტყეებში. წლების განმავლობაში სიხშირის მაჩვენებლის მუდმივობა მიანიშნებს ტყეების ხელუხლებლად შენარჩუნებაზე	მონაცემები არ არსებობს.

	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ტყის კაფვის შემცირება**
12	ინდიკატორი	არალეგალური ჭრების შემთხვევათა რაოდენობა (წლიური)

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
არალეგალური ჭრების შემთხვევები (ტყის კოდექსის შესაბამისად)	უკანონოდ მოჭრილი ხეების რაოდენობა. წლიური მონაცემების მოპოვება შესაძლებელია გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ეროვნული სატყეო სააგენტოდან. 2021 წელი: 1692 შემთხვევა. მოჭრილი ხეების მოცულობა უცნობია.

[125] National Inventory Report (NIR) to NC4 Georgia. | UNFCCC

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**კლიმატის პაქტი**[126]
13 ინდიკატორი	კლიმატის პაქტის ელჩების რაოდენობა საქართველოდან
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
პაქტის ელჩები არიან მოქალაქეები, რომლებიც ერთმანეთთან პროაქტიულად აკავშირებენ სამოქალაქო საზოგადოებას, დაინტერესებულ მხარეებსა და ევროკომისიას. ელჩები აირჩევა ერთი წლის ვადით, გახანგრძლივების შესაძლებლობით, ობიექტური, გამჭვირვალე პროცესით, რომელიც ეფუძნება განმცხადებლების დამსახურებას და მოტივაციას.	საქართველოს ჰყავს კლიმატის პაქტის ერთი ელჩი[127].

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**კლიმატის პაქტი**
14 ინდიკატორი	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული თემატური კურსებით.
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
კლიმატის შესახებ ცოდნის ხელშეწყობა სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული განათლებისა და მომზადების, უმაღლესი განათლებისა და უწყვეტი განათლების საშუალებით. SDG 12.8.1 რამდენად არის ინტეგრირებული (i) კოსმოპოლიტური განათლება და (ii) მდგრადი განვითარების სწავლება (მათ შორის კლიმატის ცვლილების საკითხები) (a) განათლების ეროვნულ პოლიტიკაში; (b) სასწავლო გეგმებში; (c) მასწავლებლების მოსამზადებელ პროგრამებში და (d) სტუდენტთა შეფასებებში.	საქართველოში 2013 წლის 14 მაისს დაარსდა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC). ცენტრის მთავარი პრიორიტეტია მხარი დაუჭიროს გარემოსდაცვითი და სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელებას ქართულ საზოგადოებაში, გაუმჯობესოს ცნობიერება ზემოთხსენებულ სექტორებსა და გააძლიეროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხარისხი. ცენტრი უზრუნველყოფს სასერტიფიკატო კურსებს, ტრენინგ-კურსებს/პროგრამებს, ლექციებს/სემინარებს, აწყობს გარემოსდაცვით და სასოფლო-სამეურნეო კონკურსებს და ა.შ. ტრენინგები და საგანმანათლებლო ღონისძიებები ტარდება სხვადასხვა დონორთა დაფინანსებული პროექტების ფარგლებშიც.

126 https://ec.europa.eu/clima/eu-action/european-green-deal/european-climate-pact_en

127 https://europa.eu/climate-pact/ambassadors/meet-our-ambassadors_en?f%5B0%5D=world_world%3A78

	კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სასერტიფიკაციო კურსი - 2016 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ანალიტიკური ცენტრის World Experience for Georgia და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით, დააფუძნა კურსი „კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება საჯარო მოხელეებისა და ჟურნალისტებისთვის“. კურსი მხარდაჭერილ იქნა დონორის მიერ პროექტის ფარგლებში. კლიმატის ცვლილების პოლიტიკა ისწავლება **საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე.** პროგრამა 2016 წელს შეიქმნა გარემოს დაცვის სამინისტროსა და GIZ-ის მხარდაჭერით. 12.8.1: ინდიკატორი მიეკუთვნება II დონეს და მისი საბაზისო მონაცემები ჯერ არ არის განსაზღვრული.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**კლიმატის პაქტი**
15 **ინდიკატორი**	კლიმატის ცვლილებით დაინტერესებული აქტიური პლატფორმების რაოდენობა
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
მაგალითად, ფართო დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ. ინდუსტრიული ალიანსები და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა ინიციატივები.	**კლიმატის ცვლილების საბჭო (CCC)** – შეიქმნა 2020 წელს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის გასაძლიერებლად და ეროვნულ დონეზე ინფორმაციის გაზიარების მხარდასაჭერად. საბჭოს ხელმძღვანელობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ხოლო წევრები არიან სხვადასხვა სამინისტროს მაღალი დონის ოფიციალური პირები, ხელმომწერი მუნიციპალიტეტების მერების შეთანხმების საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი და საქართველოს სტატისტიკის სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი. **კლიმატის ეროვნული პლატფორმა (NCP)** – კლიმატის ცვლილების სექტორში მომუშავე დაინტერესებულ მხარეთა ასოციაცია. **მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო** (SDG საბჭო), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, არის ეროვნული SDG მიზნების განხორციელების ძირითადი საკოორდინაციო ორგანო. 2015 წლიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს SDG-ების ნაციონალიზაციისა და კოორდინაციის პროცესს. საბჭოს ჰყავს 4 თემატური სამუშაო ჯგუფი: ▸ სოციალური ჩართულობა ▸ ეკონომიკური განვითარება ▸ მდგრადი ენერგია და გარემოს დაცვა ▸ დემოკრატიული მმართველობა.

		საბჭო თავის სამუშაო ჯგუფებში აერთიანებს დაინტერესებულ მხარეებს საჯარო, სამოქალაქო, საერთაშორისო, აკადემიური და კერძო სექტორიდან. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის განყოფილება ასრულებს ასევე SDG-ის საბჭოს სამდივნოს ფუნქციას. ეს განყოფილება ასევე აკონტროლებს ეროვნული SDG მიზნების განხორციელებას სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**კლიმატის პაქტი**
16	**ინდიკატორი**	ადგილობრივი მთავრობების მიერ მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების კლიმატურ აქტივობებში ჩართვა.
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	მერების შეთანხმების ხელმომწერთა რაოდენობა.	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 69 მუნიციპალიტეტიდან, მათ შორის 5 თვითმმართველი ქალაქი და 64 თვითმმართველი თემი, 24 მუნიციპალიტეტი არის მერების შეთანხმების ხელმომწერი, რომელიც მათ ავალდებულებს შეიმუშაონ მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისა და კლიმატის ცვლილების მუნიციპალური სამოქმედო გეგმები. ამ უკანასკნელის კონტექსტში მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელნი არიან მუნიციპალური ნარჩენების მართვასა და მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებაზე, კანონით დაკისრებულ სხვა პასუხისმგებლობებსა და კომპეტენციებთან ერთად. საბჭოს 24 ხელმომწერი მუნიციპალიტეტი CCC-ში წარმოდგენილია მერების შეთანხმების საკოორდინაციო ჯგუფით.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**ევროპული ბაუჰაუსები**
17	**ინდიკატორი**	ევროპული ბაუჰაუსების პლატფორმის შექმნა
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ინტერდისციპლინური პროექტი, რომელიც მეცნიერების, დარგის ექსპერტების, არქიტექტორების და ხელოვნებსათმცოდნეებისგან შემდგარი მრჩეველთა საბჭოს მიერ იმართება.	საქართველოში მსგავსი პრაქტიკა ჯერ-ჯერობით არ არსებობს.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სუფთა საწვავი ყველა ევროპელისთვის**
18	**ინდიკატორი**	სუბსიდია წიაღისეულ საწვავზე (FFS)

	ინდიკატორის აღწერა	შედეგები
	წიაღისეულ საწვავზე გაწეული სუბსიდიის წლიური მოცულობა OECD-ის მიხედვით.[128]	2020 – 145 მლნ. ლარი
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**განახლებადი ენერგია**
19	ინდიკატორი	SDG 7.2.1 განახლებადი ენერგიის წილი მთლიან საბოლოო მოხმარებაში
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	SDG 7.2.1 – განახლებადი ენერგიის წილის სამიზნე მაჩვენებელი მთლიან საბოლოო მოხმარებაში 2030 წლისთვის	2019 წლის მდგომარეობით – 22.7% (წყარო: საქსტატი, ენერგეტიკული ბალანსი) სამიზნე მაჩვენებელი: განახლებადი ენერგიების წილი (ჰიდრო, გეოთერმული და მზის ენერგია, ბიოსაწვავი და ნარჩენები) მთლიან საბოლოო მოხმარებაში 2030 წლისთვის დაახლოებით 35%-ს გაუტოლდება (NECP-ის წინასწარი ვერსია)
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ენერგოეფექტიანობა**
20	ინდიკატორი	SDG 7.3.1 ენერგოინტენსიურობა მშპ-ს ერთეულზე
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	SDG 7.3.1 ენერგოინტენსიურობა, რომელიც იზომება პირველადი ენერგიისა და რეალური მშპ-ს ფარდობით. როგორც ინდიკატორი, გვიჩვენებს ეროვნული ეკონომიკის მედეგობას ენერგიის მიწოდების შეფერხებასთან მიმართებით	2019 წლისთვის – 5.30 ტჯ/რეალური მშპ (2015 წლის ფასებში) (წყარო: საქსტატი) 2020 წლისთვის – 5.51 ტჯ/რეალური მშპ (2015 წლის ფასებში)
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ[129]**
21	ინდიკატორი	განახლებული საჯარო შენობების წილი

[128] Fossil Fuel Support - Detailed Indicators (oecd.org)

[129] Renovation wave (europa.eu)

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
▸ ყოველწლიურად განახლებული შენობების წილი ▸ ყოველწლიურად განახლებული შენობების ფართი (კვ. მ) ▸ ახალი და განახლებულ შენობების წილი შენობების მთლიან რაოდენობაში	საქართველოსთვის ოფიციალური მაჩვენებლები არ არსებობს. შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მე-5 მუხლის თანახმად, მთავრობა იღებს ვალდებულებას ყოველწლიურად განაახლოს საჯარო შენობების 1%. 2024 წლიდან (თუ საქართველოსთვის ვალდებულება არ გადაიდო) სავალდებულო იქნება ყოველწლიურად საჯარო შენობების 3%-ის განახლება.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
22 **ინდიკატორი**	ენერგოეფექტიანობის მინიმალური სტანდარტები
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
▸ ენერგოეფექტიანობის სავალდებულო მინიმალური სტანდარტები შენობებისთვის	კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 29 მაისს) ადგენს ენერგოეფექტურობის მინიმალურ სტანდარტებს. ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება ყველა ახალ შენობაზე, ახალი შენობის ნაწილსა და ახალი შენობის ელემენტზე, ხოლო მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში - აგრეთვე ყველა არსებულ შენობასა და არსებული შენობის ნაწილზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ მოთხოვნების გამოყენება შენობის ექსპლუატაციის პერიოდში ხარჯეფექტური არ იქნება. ყველა ახალი შენობა აკმაყოფილებდეს თითქმის ნულოვანი ენერგიის შენობის მიმართ მოთხოვნებს, თუ ეს არ არის ეკონომიურად არაეფექტიანი. ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები შენობებისთვის, შენობების ნაწილისთვის ან შენობის ელემენტებზე და გაანგარიშებისთვის საჭირო ეროვნული მეთოდოლოგია მთავრობის მეერ 2021 წლის ივლისსა და სექტემბერში იქნა მიღებული. შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების ხარჯოპტიმალური დონეების გამოთვლის შედარებითი მეთოდოლოგიის პირველადი ვერსია უკვე მომზადებულია. დაგეგმილია **თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების შენობების რაოდენობის გაზრდის ეროვნული გეგმის** დამტკიცება 2023 წლისთვის.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
23 ინდიკატორი	ენერგოეფექტურობით სერტიფიცირებული შენობების წილი

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ევროპის მწვანე შეთანხმება ითვალისწინებს ენერგოეფექტურობის განახლებულ სერტიფიკატებს, ციფრულად წაკითხვად ფორმატში.	შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი (რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 29 მაისს), შემუშავებულია შენობებში ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა 2010/31/EU-ის მიხედვით, და მორგებულია ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელმომწერ მხარეთა სპეციფიკურ პირობებსა და გარემოებებზე. კანონის მიხედვით: ▸ დადგინდეს და დამტკიცდეს შენობების ენერგოეფექტურობის გაანგარიშების ეროვნული მეთოდოლოგია ▸ ყველა გაყიდული ან გაქირავებული საჯარო შენობა, რომელიც 500 m^2 -ზე მეტია (2023 წლის 30 ივნისს შემცირდება 250 m^2-მდე) და ხშირად სტუმრობენ გარეშე პირები, ფლობდეს ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატს. 2030 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია, რომ ყველა ახლად აშენებულმა შენობამ მოიპოვოს ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი. **შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესები** შემუშავების ეტაპზეა.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
24 ინდიკატორი	სერტიფიცირებული ენერგოაუდიტორების რაოდენობა

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ევროპის მწვანე შეთანხმების მიხედვით, ენერგოაუდიტის მოთხოვნები ვრცელდება უფრო დიდ და არასაცხოვ-რებელ შენობებზეც, როგორებიცაა საავადმყოფოები, სკოლები ან ოფისები.	**კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ** აწესებს მოთხოვნებს ენერგოაუდიტორებისთვის სასერტიფიკაციო პროგრამების შესაქმნელად. მთავრობა გეგმავს შეიმუშავოს ენერგომომსახურების პროვაიდერების, აუდიტორების, მენეჯერებისა და დეველოპერების სერტიფიცირების სისტემა, რომლებიც მუშაობენ შენობების სექტორში ენერგომოწყობილობების მონტაჟზე. მთავრობის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საკვალიფიკაციო, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემები სრულად იქნება შესაბამისობაში 2009/28/EC დირექტივასთან.

		დამუშავების პროცესშია **დამოუკიდებელი ექსპერტების სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის წესები, რომლებიც გასცემენ ენერგოეფექტურობის სერტიფიკატებს და ამოწმებენ შენობებში გათბობისა და კონდიცირების სისტემებს.** ჯერჯერობით უცნობია, როგორ უნდა მოეწყოს ენერგეტიკული აუდიტორების სერტიფიცირება. საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი (GAC) არ ახორციელებს სერტიფიცირების იურიდიული ორგანოების აკრედიტაციას და არ არის უფლებამოსილი დაამტკიცოს სასწავლო პროგრამები. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართულმა ბაზარმა ხელი შეუწყოს კონკურენციას სერტიფიცირების პროვაიდერებს შორის. ამიტომ, ბაზარზე დაფუძნებული აკრედიტაციის სისტემა, რომელსაც მართავს GAC, შესაძლოა გამოწვევად დარჩეს.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
25	**ინდიკატორი**	შენობების ელექტრონული რეგისტრი
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ონლაინ პლატფორმა, რომელიც შენობების შესახებ ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას აერთიანებს	საქართველოს არ აქვს შენობათა ერთიანი რეგისტრი
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
26	**ინდიკატორი**	გამათბობლების ჩანაცვლების წლიური დონე
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ევროპის მწვანე შეთანხმება ხელს უწყობს თანამედროვე და ენერგოეფექტური გათბობისა და გაგრილების სისტემების განვითარებას, შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებას.	მონაცემები არ არსებობს. **შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების რეგულარული ინსპექტირების წესების** დამტკიცების ეტაპზეა.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
27	**ინდიკატორი**	მშენებლობის სექტორში ყოველწლიურად შექმნილი მწვანე სამსახურების რაოდენობა

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
მწვანე სამსახურები ძირითადად წარმოადგენენ ისეთ სამსახურებს, რომლებიც კავშირშია ენერგოეფექტიანობას, ენერგოაუდიტს და ა.შ.	ინდიკატორის ოფიციალურად შეფასებული ვერსია ხელმიუწვდომელია.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
28 ინდიკატორი	2030 წლისთვის ხელმისაწვდომი მიზნობრივი სესხების მოცულობა შენობების გასანახლებლად.

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
შენობების გასაახლებლად გამოყოფილი სახსრები (გრანტები, ტექნიკური დახმარება, კერძო სექტორის მიერ დაფინანსება და ა.შ)	მიმდინარე პერიოდში არ არსებობს ენერგოეფექტურობის ეროვნული ფონდი. ენერგოეფექტურობის კანონი ხელს უწყობს ენერგეტიკული სერვისის გამწევ კომპანიებს, თუმცა, არ მოიცავს საჯარო დაფინანსების ხელშემწყობ მექანიზმებს. მიუხედავად ამისა, მრავალი საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროექტი და დაფინანსების პროგრამა მხარს უჭერს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს, განსაკუთრებით სამშენებლო სექტორში. შენობებში ენერგოეფექტურობის მხარდაჭერა ძირითადად ფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ან დონორების მიერ (NEFCO, KfW, EBRD, DANIDA და სხვ.) ამჟამად მუშავდება დამატებითი ტექნიკური დახმარების პროგრამები ქართული საკანონმდებლო ბაზის ევროპულთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ამ პროცესის ყველაზე მსხვილი მხარდამჭერები kWf და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოა. სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი, რომელიც 2010 წელს დაარსდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ, მხარს უჭერს განახლებადი ენერგიის პერსპექტიული პროექტების შესწავლას და განვითარებას და ამ ფარგლებში ახორციელებს შესაბამის შესყიდვებს განახლებადი ენერგიის საპილოტე პროექტების შემდგომი განვითარებისთვის. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, კოორდინირებული რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ახორციელებს შესყიდვებს მუნიციპალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პროექტებზე.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
29	ინდიკატორი	ენერგომომსახურების გამწევი კომპანიათა რაოდენობა
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	აქტიური ენერგომომსახურების გამწევ კომპანიათა რაოდენობა	მიმდინარე ეტაპზე საქართველოში ენერგომომსახურების გამწევი კომპანიები არ ფიქსირდებიან

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
30	ინდიკატორი	პროსუმერთა რაოდენობა და მთლიანი დადგმული სიმძლავრე
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	პროსუმერთა რაოდენობა და მთლიანი დადგმული სიმძლავრე ნეტო აღრიცხვის პროგრამის ფარგლებში	2022 წლის აპრილის მონაცემებით, ქსელში ჩართულია 397 მიკროსიმძლავრის სადგური ჯამური დადგმული სიმძლავრით 20.4 მგვტ.[130] სემეკ-ის მიერ ინიცირებული „ნეტო აღრიცხვის“ პროგრამის მიზანია წაახალისოს მიკროსიმძლავრის სადგურების მშენებლობა. პროგრამა გამოიყენება მცირე მასშტაბის კომერციული ობიექტების, შინამეურნეობათა ან შინამეურნეობათა ჯგუფების მიერ, რომელთაც სურთ მოხმარება საკუთარი გენერაციით დააბალანსონ. იმ შემთხვევაში, თუ სადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგია მეტია, ვიდრე მოხმარებული, მომხმარებელს შეუძლია არსებული სხვაობით შემდეგი პერიოდის მოხმარება დაფაროს.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სტრატეგია შენობების განახლების შესახებ**
31	ინდიკატორი	ენერგეტიკული სიღარიბეში მყოფი ადამიანების პროცენტული წილი
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ენერგეტიკულ სიღარიბეში მყოფი ადამიანების პროცენტული წილი და ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრის სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის (NECP-ის მიხედვით)	„ენერგეტიკული სიღარიბე“ NECP-ის და საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. დოკუმენტის მიხედვით, სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია ენერგეტიკული სიღარიბის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობის 15%-მდე შემცირება 2030 წლისთვის. იგივე მაჩვენებელი 2017 წელს 43% იყო.

[130] GNERC, 13 April 2022 FB post

		2022 წლის იანვარში ენერგეტიკული საზოგადოების სამდივნოში შეიქმნა ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევის ცენტრი. ცენტრის მიზანია შეაგროვოს ინფორმაცია და მონაცემები ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევ მიზეზებსა და ზემოქმედებაზე კონკრეტულ ქვეყნებში, ენერგეტიკული სიღარიბის შესამცირებლად შესაბამისი პოლიტიკისა და ზომების შემუშავების ხელშეწყობა, და ყველა დაინტერესებული მხარისათვის სადისკუსიო პლატფორმის უზრუნველყოფა. საქართველო, როგორც ენერგეტიკული საზოგადოების წევრი, პროცესში აქტიურად ჩაერთვება. 2021 წელს გამოქვეყნდა პირველი კვლევა ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებში.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**მდგრადი და ჭკვიანი მობილობის სტრატეგია**
32	**ინდიკატორი**	ტრანსპორტის სექტორის მიერ გაფრქვეული სათბური გაზების წილი მთლიან გაფრქვევებში
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ტრანსპორტის სექტორის სათბური გაზების გაფრქვევები, მლნ. ტონა CO2 ექვივალენტი	ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს ტრანსპორტის სექტორის მიერ გაფრქვეული სათბური გაზების მოცულობა 4.1 მლნ. ტონა CO2 ექვივალენტი იყო.
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**მდგრადი და ჭკვიანი მობილობის სტრატეგია**
33	**ინდიკატორი**	დაბალ და ნულოვანი ემისიის მქონე ტრანსპორტის წილი
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ნულოვანი და დაბალემისიიანი ავტომობილების წილი მთლიან ავტოპარკში.	შსს-ს 2022 წლის სტატისტიკა[131] ელექტრომობილების წილი - 0.17% (2,401) ჰიბრიდული ავტომობილების წილი - 7.26% (100,784)
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**მდგრადი და ჭკვიანი მობილობის სტრატეგია**
34	**ინდიკატორი**	ტრანსპორტირებისთვის ალტერნატიული მდგრადი გადაწყვეტილებების მოდალური წილი

[131] Ministry of Internal Affairs, data on registered vehicles. https://info.police.ge/page?id=553&parent_id=552

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ალტერნატიული, გამონაბოლქვის არმქონე ტრანსპორტის (ველოსიპედი, ელექტროსკუტერი და სხვა) მოდალური წილი	2016 წლის მონაცემებით, ბათუმში ალტერნატიული, ნულოვანი გაფრქვევების მქონე ტრანსპორტის მოდალური წილი 32%-ია (ძირითადად ველოსიპედი და ფეხით გადაადგილება).[132] იგივე მაჩვენებელი თბილისისთვის 27%-ს შეადგენს (ძირითადად, ფეხით გადაადგილება).[133] შედარებით ახალი მონაცემები ხელმიუწვდომელია.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ევროკავშირის ოფშორული განახლებადი ენერგიის სტრატეგია**
35 ინდიკატორი	ოფშორული განახლებადი ენერგია

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ოფშორული განახლებადი ენერგიის მთლიანი დადგმული სიმძლავრე (ოკეანის, ქარის და მზის ენერგია)	მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ოფშორული განახლებადი ენერგიის წყაროები არ აქვს.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ევროკავშირის სტრატეგია ენერგოსისტემების ინტეგრაციის შესახებ**
36 ინდიკატორი	წინასწარ მომზადებული ინდიკატორები NECP-ის შესრულების პროგრესის შესაფასებლად

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ენერგეტიკული გაერთიანების კონტექსტში მმართველობის რეგულაციის ტრანსპორტებისა და განხორციელების თვალსაზრისით, კონტრაქტორ ქვეყნებს მოეთხოვებათ წარადგინონ NECP 2024 წელს და პროგრესის ანგარიშები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 2025 წლიდან. პროგრესის ანგარიშებზე დაყრდნობით, შეფასდება განხორციელების პროგრესი (%).	ჯერ-ჯერობით ხელმიუწვდომელია ამჟამად საქართველო მუშაობს იმ ინდიკატორებზე, რომლის საშუალებითაც შეფასდება ერთი მხრივ NECP-ის განხორციელების პროგრესი, ხოლო, მეორე მხრივ, დაგეგმილი სამიზნე მაჩვენებლებისა და ამოცანების მიღწევის ხარისხი.

[132] Feasibility Studies for Pilot Low-Carbon Urban Transport Corridor and Integrated Sustainable Urban Mobility Plan for the City of Batumi (ISUMP)

[133] Transportation Households Survey in Tbilisi Metropolitan area https://tbilisi.gov.ge/img/original/2018/4/20/THS_Final_Report_Eng.pdf

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**წყალბადის სტრატეგია კლიმატნეიტრალური ევროპისთვის**
37	**ინდიკატორი**	მწვანე წყალბადის წლიური წარმოება (ტონა)
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	მწვანე წყალბადის წლიური წარმოება (ტონებში)	მწვანე წყალბადი საქართველოში ჯერ-ჯერობით არ იწარმოება

ცირკულარული ეკონომიკა

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**კვლევა და ინოვაციები**
38	**ინდიკატორი**	SDG – 9.5.1: კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯები
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	9.5.1 კვლევებსა და განვითარებაზე დახარჯული სახსრების წილი მთლიან მშპ-ში	2018 წლისთვის – 29%[134]

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**ნარჩენების მართვა**
39	**ინდიკატორი**	ერთ სულზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები (კგ/ერთ სულზე)[135]
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ინდიკატორი აფასებს მუნიციპალური სამსახურის მიერ შეგროვებული და განკარგული ნარჩენების ოდენობას. ნარჩენების ძირითადი წარმომქმნელი შინამეურნეობები არიან, თუმცა, შესაძლებელია აღიწეროს კომერციული სექტორის, ოფისებისა და საჯარო სექტორის მიერ წარმოქმნილი იმავე ტიპის ნარჩენებიც.	505 კგ/ერთ სულზე (2020 EU) საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემები ჯერ-ჯერობით არ გააჩნია.

[134] SDG-Georgia, Statistical Annex, 2019

[135] Monitoring framework - Circular economy - Eurostat (europa.eu)

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	ნარჩენების მართვა
40 ინდიკატორი	შემცირებული ნარჩენების ოდენობა მშპ-ს ერთეულზე.

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ნარჩენების წარმოქმნის მაჩვენებელი მშპ-ს ერთ ერთეულზე (კგ/1000 ევრო, ძირითადი მინერალური ნარჩენების გამორიცხვით)[136]. უფრო მეტად ცირკულარული ეკონომიკის პირობებში, პროდუქტების, მასალების და რესურსების ღირებულება ეკონომიკაში უფრო დიდხანსაა შენარჩუნებული, ხოლო ნარჩენების წარმოქმნა უნდა შემცირდეს იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად მოსახერხებელია, გადამუშავების პერსპექტივისა და ბიოტოქსიკურობის შემცირების პერსპექტივის გათვალისწინებით. ნარჩენების შემცირება მჭიდრო კავშირშია წარმოების მეთოდების გაუმჯობესებასთან და მომხმარებლებზე ზემოქმედებასთან, მოითხოვონ უფრო მწვანე პროდუქტები და ნაკლები შეფუთვა. წრიულ ეკონომიკაზე გადასვლით, ევროკავშირი მიზნად ისახავს ნარჩენების შემცირებას, და ეკონომიკური წარმოების იმავე დონეზე შენარჩუნებას ან გაზრდას.	66კგ/1000 ევროზე (ევროკავშირი, 2018) მონაცემები საქართველოსთვის ხელმიუწვდომელია მუნიციპალური მყარი ნარჩენების შესახებ მონაცემებს აგროვებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ნარჩენების მართვის კომპანია. ინფორმაცია მოიცავს ნაგავსაყრელებზე ყველა ტიპის მყარი ნარჩენების შესახებ მონაცემებს, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. გენერირებული ნარჩენების გამოთვლა შესაძლებელია სპეციალური კოეფიციენტის მიხედვით, რომელიც კანონის მიხედვითაა დადგენილი - იმ დაშვებით, რომ ნარჩენების სრული ოდენობა ხვდება ნაგავსაყრელზე და არ გაიბნევა ბუნებაში უკანონო დანაგვიანების ხარჯზე.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	ნარჩენების მენეჯმენტი
41 ინდიკატორი	ნარჩენების წარმოქმნის მაჩვენებელი ქვეყნის შიგნით მოხმარებულ რესურსებთან მიმართებით, % (ძირითადი მინერალური ნარჩენების გამორიცხვით).[137]

136 Monitoring framework - Circular economy - Eurostat (europa.eu)

137 Monitoring framework - Circular economy - Eurostat (europa.eu)

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ინდიკატორი ზომავს ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი ნარჩენების (ძირითადი მინერალური ნარჩენების გამორიცხვით) ფარდობას მოხმარებულ რესურსებთან. აღნიშნული ინდიკატორი ზომავს მასალების მოხმარების ეფექტიანობას წარმოქმნილი ნარჩენებისა და ქვეყნის შიგნით მოხმარებული რესურსების (DMC) ერთმანეთთან შედარებით. DMC ზომავს ეროვნულ ეკონომიკაში მოხმარებული რესურსების ოდენობას, გარდა ჰაერისა და წყლისა. ორივე მაჩვენებელი - ეროვნულ ეკონომიკაში მოხმარებული რესურსები და წარმოქმნილი ნარჩენები, გამოსახული აბსოლუტურ მაჩვენებლებში და ინტენსივობაში ერთეულზე, ცირკულარული ეკონომიკის მონიტორინგის ჩარჩოსთვის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენენ. მათი თანაფარდობა მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ეროვნულ ეკონომიკაზე რესურსების და წარმოქმნილი ნარჩენების ზეწოლის შესაფასებლად, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკების შესადარებლად.	12.9% (ევროკავშირი, 2018) მონაცემები საქართველოსთვის ხელმიუწვდომელია

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	ნარჩენების მენეჯმენტი
42 ინდიკატორი	მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავების დონე (%)[138]

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ინდიკატორი აფასებს გადამუშავებული მუნიციპალური ნარჩენების წილს მთლიან მუნიციპალურ ნარჩენებში.	47.8 % (ევროკავშირი, 2020) დღესდღეობით ნარჩენების მხოლოდ მცირე ოდენობა გადამუშავდება, შესაბამისად, ინდიკატორიც ნულთან ახლოსაა.

138 Monitoring framework - Circular economy - Eurostat (europa.eu)

გადამუშავება მოიცავს მასალების ფიზიკურ გადამუშავებას, კომპოსტირებას და ანაერობულ გადამუშავებას. ინდიკატორი მოცემულია პროცენტებში. მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავების მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ გამოიყენება საბოლოო მომხმარებლის ნარჩენები, როგორც რესურსი ცირკულარულ ეკონომიკაში. მუნიციპალური ნარჩენები ძირითადად ასახავს საბოლოო მომხმარებლების მიერ წარმოქმნილ ნარჩენებს, რადგან ის მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს და სხვა წყაროების ნარჩენებს, რომლებიც ბუნებით და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეადგენს ევროკავშირში წარმოქმნილი ნარჩენების დაახლოებით 10%-ს, მისი ჰეტეროგენული შემადგენლობის გამო მუნიციპალური ნარჩენების სწორი მართვა რთულია. მუნიციპალური ნარჩენების გადამუშავების მაჩვენებელი კარგი მაჩვენებელია ნარჩენების მართვის საერთო სისტემის ხარისხზე.	
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნარჩენების მენეჯმენტი**
43 **ინდიკატორი**	ცირკულარული მასალების გამოყენების დონე (პროცენტი)[139]
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
ინდიკატორი აფასებს რეციკლირებული მასალის წილს ეკონომიკაში, რითაც იზოგება პირველადი ნედლეულის მოპოვება მასალების ჯამურ მოხმარებაში. მასალების წრიული	12.8 % (ევროკავშირი, 2020) შესაბამისი მონაცემები საქართველოსთვის ხელმიუწვდომელია.

[139] Monitoring framework - Circular economy - Eurostat (europa.eu)

გამოყენება, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ცირკულარობის მაჩვენებელი, განისაზღვრება, როგორც მასალების წრიული გამოყენების თანაფარდობა მასალების ჯამურ გამოყენებასთან. მასალების ჯამური მოხმარება იზომება მასალების ჯამური შიდა მოხმარების (DMC) და მასალების წრიული გამოყენების დაჯამებით. წრიულად გამოყენებული მასალების ოდენობა მიახლოებით შეფასებულია, როგორც ქარხნებში გადამუშავებული ნარჩენების ოდენობას დამატებული გადასამუშავებლად განკუთვნილი ნარჩენების წმინდა იმპორტი. ქვეყნის შიგნით არსებულ ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნები ნარჩენებს ევროკავშირის დირექტივა 75/442/EEC-ის მიერ განსაზღვრული ეტაპების მიხედვით გადაამუშავებენ. იმპორტირებული და ექსპორტირებული ნარჩენების ოდენობა გამოითვლება ევროპის საგარეო ვაჭრობის მონაცემებზე დაყრდნობით. ცირკულარობის მაღალი მაჩვენებელი მეორეული მასალების მიერ პირველადი მასალების ჩანაცვლებაზე მიუთითებს.	
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ევროპის ახალი ინდუსტრიული სტრატეგია.**
44 **ინდიკატორი**	SDG 9.2.1: დამამუშავებელი მრეწველობის დამატებითი ღირებულება მშპ-ის წილის სახით.
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
SDG 9.2.1: დამამუშავებელი მრეწველობის დამატებითი ღირებულება მშპ-ის წილის სახით და ერთ სულზე. ინდექსი ზომავს დამამუშავებელი სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილს.	2019: დამამუშავებელი მრეწველობის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილი - 9.8%. ერთ სულზე შექმნილი დამატებული ღირებულება 766.9 ლარი ($272)

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	ევროპის ახალი ინდუსტრიული სტრატეგია.
45 ინდიკატორი	SDG 9.2.2: დასაქმება დამამუშავებელ მრეწველობაში მთელი დასაქმების წილის სახით.
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
SDG 9.2.2: დასაქმება დამამუშავებელ მრეწველობაში მთელი დასაქმების წილის სახით. ინდექსი ზომავს დამამუშავებელი მრეწველობის წონას მთლიან დასაქმებაში.	SDG 9.2.2.(2018) 6.7% სამთომოპოვებით და დამამუშავებელი მრეწველობისთვის 6.2% დამამუშავებელი მრეწველობისთვის
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ევროპის ახალი ინდუსტრიული სტრატეგია.**
46 ინდიკატორი	SDG 9.3.1: მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი ინდუსტრიის მთლიან დამატებით ღირებულებაში
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
ინდექსი გვიჩვენებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილს ინდუსტრიის მთლიან დამატებით ღირებულებაში	SDG 9.3.1 (2018): 48.7%
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**SME სტრატეგია მდგრადი და ციფრული ევროპისთვის**
47 ინდიკატორი	SME სექტორის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება 2019, საბაზისო წელთან შედარებით
ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
ინდიკატორი აფასებს სამოქმედო გეგმაში მოცემული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ პროგრესს საბაზისო წელთან შედარებით.	სამიზნე მაჩვენებელი: 2025 წლამდე 20% ზრდა საბაზისო წელთან შედარებით
„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**SME სტრატეგია მდგრადი და ციფრული ევროპისთვის**
48 ინდიკატორი	SME სექტორის დასაქმების წილი 2019, საბაზისო წელთან შედარებით

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ინდიკატორი აფასებს დასაქმების ცვლილებას SME სექტორში.	სამიზნე მაჩვენებელი: 2025 წლამდე 10% ზრდა საბაზისო წელთან შედარებით

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	SME სტრატეგია მდგრადი და ციფრული ევროპისთვის
49 ინდიკატორი	SME პოლიტიკის ინდექსი[140]

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ინდექსი აფასებს და აკონტროლებს პროგრესს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ევროკავშირისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.	კარგი სასტარტო პირობებთან ერთად, 2016 წლიდან საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი SME სექტორში, რაც უფრო სტრატეგიული მიდგომების გამოყენებას გულისხმობს. იგულისხმება 2016-2020 წლების SME სექტორის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმების დამტკიცება, პროგრესი საწარმოო და განსაკუთრებით ქალი მეწარმეების განათლებაში, ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივება და ელექტრონული სახელმწიფო სერვისების მიწოდების ზრდა სამკაოდ დადებითად აისახა SME-ის საოპერაციო გარემოზე. გვ. 412

Pillar	Dimension	GEO 2020	GEO 2016	EaP average 2020
A	Institutional and regulatory framework	**4.20**	3.48	3.74
	Operational environment	**4.36**	4.33	3.92
	Bankruptcy and second chance	**3.03**	2.94	2.85
B	Entrepreneurial learning / Woman's entrepreneurship	**4.24**	2.70	3.58
	SME skills	**4.14**	3.00	3.36
C	Access to finance	**4.02**	3.76	3.57
D	Public procurement	**4.26**	4.04	3.49
	Standards and regulations	**4.56**	4.22	3.43
	Internationalisation	**3.76**	3.60	2.96
E	Business development services	**4.39**	3.69	3.53
	Innovation policy	**3.27**	2.70	2.92
	Green economy	**3.05**	2.48	2.77

140 https://www.oecd.org/countries/georgia/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**მდგრადი ლურჯი ეკონომიკა**
50	ინდიკატორი	ლურჯი ეკონომიკის მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება[141]
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	აკვატორიასთან დაკავშირებული აქტივების გამოყენებით (ოფშორული განახლებადი ენერგია, სანაპირო ტურიზმი, საზღვაო ტრანსპორტი, საპორტო აქტივობები და სხვა) შექმნილი დამატებული ღირებულება.	მონაცემები საქართველოსთვის ხელმიუწვდომელია.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**მდგრადი ლურჯი ეკონომიკა[142]**
51	ინდიკატორი	დასაქმება მდგრად ლურჯ ეკონომიკაში
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	მდგრად ლურჯ ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა (მაგალითად, საზღვაო განახლებადი ენერგია, საზღვაო სექტორში ნარჩენების გადამუშავება, მდგრადი სანაპირო ტურიზმი და სხვა).	მონაცემები საქართველოსთვის ხელმიუწვდომელია.

ბიომრავალფეროვნება

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030**
52	ინდიკატორი	SDG 2.5.1. გენეტიკური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	SDG 2.5.1: საშუალოვადიან ან გრძელვადიან საკონსერვაციო ობიექტებზე დაცული მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების ოდენობა საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის.	SDG 2.5.1: მცენარეთა გენეტიკური რესურსი (არასრული) - 7026 ნიმუში (MEPA 2019) ცხოველთა გენეტიკური რესურსი (არასრული) - 2473 ნიმუში (MEPA 2019)

141 Blue indicators online dashboard | ‘DG Mare Blue Economy’ (europa.eu)

142 https://blueindicators.ec.europa.eu/access-online-dashboard

	სამიზნე მაჩვენებელი: 2025 წელი - შეფასდება გენეტიკური რესურსების 50-60%	
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030**
53	**ინდიკატორი**	SDG 15.4.1 მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაცული ტერიტორიებით დაფარვა
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	SDG 15.4.1: მთის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი საიტების (Key Biodiversity Areas) დაცული ტერიტორიებით დაფარვა. სამიზნე მაჩვენებელი: 40% 2022 წლისთვის.	SDG 15.4.1: 40 % (2019) ინდიკატორი დათვლილია Integrated Biodiversity Assessment Tool (IBAT) Alliance-ის მიერ[143] ბერნის კონვენციის მიხედვით, საქართველოში შერჩეულია 58 „ზურმუხტის ქსელი“, რომელთაგან 46 დამტკიცებულია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ, 12 – შემოთავაზებული. საქართველოში ზურმუხტის ქსელის საერთო ფართობი 1 285 974 ჰა-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 18,45%-ია.
	დაბინძურების შემცირება	
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნულოვანი გამონაბოლქვი**
54	**ინდიკატორი**	გარემოში გაფრქვეული მიკროპლასტმასა (ტონებში ან წილი საბაზისო წელთან შედარებით)
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	გარემოში გაფრქვეული მიკროპლასტმასა, გამოსახული ტონებში ან საბაზისო წელთან შედარებით.	EU: შემცირდება 50%-ით. მონაცემები საქართველოს შესახებ არ არსებობს.
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნულოვანი გამონაბოლქვი**
55	**ინდიკატორი**	მუნიციპალური ნარჩენების შემცირება

143 https://www.ibat-alliance.org/country_profiles/GEO

	ინდიკატორის აღწერა	შედეგები
	მყარი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა ნაგავსაყრელზე (ნარჩენების სეპარირების ან სხვა გამოყენების შემდეგ)	EU: შემცირდება 50%-ით. GE: 2030 წლისთვის ქაღალდის, შუშის, მეტალის და პლასტმასის გადამუშავების სამიზნე მაჩვენებლები, შესაბამისად, 80, 80, 90 და 80%-ია.
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნულოვანი გამონაბოლქვი**
56	**ინდიკატორი**	SDG 3.9.1 საოჯახო მეურნეობასა და გარემოში ჰაერის დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	SDG 3.9 სამიზნე მაჩვენებელი (2030 წლისთვის არსებითად შემცირდეს საშიში ქიმიკატების და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება და დაბინძურების შედეგად დაღუპულთა და ავადმყოფობების რაოდენობა).[144]	2030 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია ევროკავშირის მიერ 2012 წელს მიღწეული დონე - 65 ერთეული. 2016 წლის მდგომარეობით: 184 ♀ მდედრობითი: 172 ♂ მამრობითი: 197
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნულოვანი გამონაბოლქვი**
57	**ინდიკატორი**	SDG 3.9.2: საფრთხის შემცველ წყალთან, სანიტარიულ პირობებთან და ჰიგიენის ნაკლებობასთან (ყველა ადამიანზე საფრთხის შემცველი წყლის, სანიტარიული პირობებისა და ჰიგიენის (WASH) სერვისების ზემოქმედებასთან) დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	წყლის დაბინძურებასთან და საფრთხის შემცველ წყალარინებასთან დაკავშირებული ინდიკატორი SDG 3.9-ის ქოლგის ქვეშ.	SDG 3.9.2 - საქართველო - 0.2 (2016)
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნულოვანი გამონაბოლქვი**
58	**ინდიკატორი**	SDG 3.9.3: უნებლიე მოწამვლასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი (0.7)

144 მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო (wordpress.com)

	ინდიკატორის აღწერა	შედეგები
	SDG 3.9.3 საკვებით, სასმელი წყლით ან ჰაერის დაბინძურებით უნებლიე მოწამვლა	2030 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია 0.7 საქართველო: 0.8 (მდედრობითი: 0.5 მამრობითი: 1.2, 2016 წლის მონაცემები)[145]
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნულოვანი გამონაბოლქვი**
59	ინდიკატორი	SDG 3.9.4 2030 წლისთვის ქვედა სასუნთქი გზების დაავადების შემთხვევათა რაოდენობა 100,000 მოსახლეზე - სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	SDG 3.9.4 ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ქვედა სასუნთქი გზების დაავადების შემთხვევათა რაოდენობა ყოველ 100 000 კაცზე.	საქართველო: 1,314.3 ყოველ 100 000 კაცზე (2018 წლის აგრეგირებული მონაცემები). მნიშვნელოვანი შემცირება 2015 წლის შემდეგ (2,669.9).
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**ნულოვანი გამონაბოლქვი**
60	ინდიკატორი	SDG 11.6.1: რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული და განთავსებული მყარი ნარჩენების თანაფარდობა წარმოქმნილი მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან, შეგროვებული და განაწილებული ქალაქების მიხედვით.
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	SDG 11.6.1 ადექვატურად შეგროვებული და გადამუშავებული მუნიციპალური მყარი ნარჩენების წილი. 2030 წლის სამიზნე მაჩვენებელი: 100%.	SDG - 11.6.1: 84 % (2015) ეს არის მიახლოებითი მაჩვენებელი: ვინაიდან ითვლება მხოლოდ ნაგავსაყრელზე განთავსებული მუნიციპალური მყარი ნარჩენების რაოდენობა, გაკეთდა მიახლოებითი გაანგარიშება (გერმანული მეთოდოლოგიით), თუ რა შესაძლო მუნიციპალური მყარი ნარჩენი წარმოიქმნება ქვეყანაში, რის მიხედვითაც მიღებული იქნა თანაფარდობა.
	„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია: გახადე ნიადაგი ნაყოფიერი**
61	ინდიკატორი	SDG 15.3.1 მიწის დეგრადაცია

[145] მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველო (wordpress.com)

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
SDG 15.3.1: დეგრადირებული მიწის თანაფარდობა საქართველოს მთლიან ფართობთან	SDG 15.3.1: 2019-ში: 6,1 %, 4071 კვადრატული კმ. (ინდიკატორის მონაცემები ყოველ 4 წელიწადში ერთხელ განახლდება)

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია: გახადე ნიადაგი ნაყოფიერი**
62 ინდიკატორი	მორწყული მიწების ფართობი

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
მორწყული მიწების ჯამური ფართობი, გამოსახული ჰექტრებში	მიმდინარე პერიოდში: 127 000 ჰა[146] – მონაცემები ხელმისაწვდომია სსიპ „საქართველოს მელიორაციაში“.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია: გახადე ნიადაგი ნაყოფიერი**
63 ინდიკატორი	ქიმიური პესტიციდების ჯამური მოხმარება

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
ქიმიური პესტიციდების ჯამური მოხმარება და მოხმარების შემცირების მაჩვენებელი საბაზისო წელთან შედარებით.	EU: შემცირება მინიმუმ 50%-ით. მონაცემები საქართველოსთვის ხელმიუწვდომელია.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია	**სტრატეგია: გახადე ნიადაგი ნაყოფიერი**
64 ინდიკატორი	მეტად საშიში პესტიციდების ჯამური მოხმარება

ინდიკატორის აღწერა	შედეგები
მეტად საშიში პესტიციდების ჯამური მოხმარება და მოხმარების შემცირების მაჩვენებელი საბაზისო წელთან შედარებით.	EU: შემცირება მინიმუმ 50%-ით. მონაცემები საქართველოსთვის ხელმიუწვდომელია. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ საქართველოს კანონი იძლევა სამართლებრივ საფუძველს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ეფექტური და უსაფრთხო გამოყენების შესახებ ადამიანისთვის და გარემოსთვის. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციაზე პასუხისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო („რეგისტრაციის ორგანო“).

146 მისია | საქართველოს მელიორაცია | Georgian amelioration (ag.ge)

მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სოფლის მდგარი მეურნეობა**
65	**ინდიკატორი**	სათბური გაზების გაფრქვევები სოფლის მეურნეობის სექტორიდან
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	სათბური გაზების გაფრქვევების წლიური ოდენობა სოფლის მეურნეობის სექტორიდან	2017 წელს[147] – 3,488 გიგაგრამი CO2 ექვივალენტი.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სოფლის მდგარი მეურნეობა**
66	**ინდიკატორი**	სოფლის მეურნეობის პროდუქტებისგან წარმოებული ბიოსასუქების, ცილების, ბიოენერგიის და ბიოქიმიკატების ოდენობა (ტონა).
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ქარხნებში გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ნარჩენები და ნაკელი - სასუქების, ბუნებრივი ცილოვანი საკვების, ბიოენერგიის (ბიოგაზი) და ბიოქიმიური ნივთიერებების მისაღებად - გამოხატულია ტონებში.	რაოდენობრივი მონაცემები ხელმიუწვდომელია როგორც საქართველოსთვის, ასევე, ევროკავშირისთვის. საქართველოში მოქმედებს სერტიფიცირებული საწარმო „ბიოაგრო“,[148] რომელიც ბიოსასუქებსა და მავნებლებისგან დამცავ საშუალებებს აწარმოებს და ადგილობრივ ფერმერებს ამარაგებს.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სოფლის მდგარი მეურნეობა**
67	**ინდიკატორი**	ორგანული საკვების წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო კვების პროდუქტებში.
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ორგანული და ეკო-საკვების ოდენობა (ტონა) და ორგანული საკვების წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო კვების პროდუქტებში.	რაოდენობრივი მონაცემები ხელმიუწვდომელია როგორც საქართველოსთვის, ასევე, ევროკავშირისთვის.

147 National Inventory Report (NIR) to NC4 Georgia. | UNFCCC

148 ბიოაგრო (bioagro.ge)

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სოფლის მდგარი მეურნეობა**
68	**ინდიკატორი**	ორგანული მეურნეობის მიერ დაკავებული ნათესი/ნარგავი ფართობი
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	ორგანული მეურნეობის ფართობი და წილი მთლიან მორწყულ ფართობებში	რაოდენობრივი მონაცემები ხელმიუწვდომელია როგორც საქართველოსთვის, ასევე, ევროკავშირისთვის. ორგანული მეურნეობების მიერ დაკავებული ნათესების ფართობების შესახებ წლიური მონაცემების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებულ-იქნას შპს „კავკასსერტისგან“, რომელიც ორგანული ფერმების სერტიფიცირებითაა დაკავებული.

„ევროპის მწვანე შეთანხმების“ ქვე-კატეგორია		**სოფლის მდგარი მეურნეობა**
69	**ინდიკატორი**	საკვები ნარჩენების წლიური ოდენობა (ტონა)
	ინდიკატორის აღწერა	**შედეგები**
	საკვები ნარჩენების შემცირება	მონაცემები არ არსებობს. მსგავსი პრაქტიკა საქართველოში საწყის ეტაპზეა. ევროკავშირის მონაცემები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: Statistics | Eurostat (europa.eu)

საქართველოს პოლიტიკის ჩარჩოს ევროპის მწვანე შეთანხმებასთან შესაბამისობის კუთხით არსებული ხარვეზები და მათი გადაჭრის რეკომენდაციები

საქართველო, ენერგეტიკული გაერთიანების წევრობისა და ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ახალი საკანონმდებლო ბაზის დანერგვას ახორციელებს (ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტი), სწორედ აღნიშნული პროცესი განსაზღვრავს ევროპის მწვანე შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

საქართველოს არ აქვს ეროვნული განვითარების სტრატეგია (დოკუმენტი შემუშავების პროცესშია), რომელიც ქვეყნის განვითარების ზოგად მიმართულებებს განსაზღვრავდა და მოიცავდა როგორც სექტორული სტრატეგიების მიერ დასახულ მიზნებს, ისე მდგრადი განვითარების მიზნებს. სწორედ ამიტომ, EGD შესაბამისობის საკითხები მხოლოდ ცალკეული სექტორების დონეზე შეიძლება გაანალიზდეს.

საქართველოს არ აქვს კლიმატის კანონი, რომელიც სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირების სავალდებულო სამიზნე მაჩვენებელს განსაზღვრავდა. NDC და კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები იურიდიულად სავალდებულო არ არის. კლიმატთან დაკავშირებული კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე გაცხადებულ ვალდებულებებს. საქართველო შეუერთდა მეთანის საერთაშორისო დაპირებას, რომელიც 2021 წლის ნოემბერში, COP26 შეხვედრაზე იქნა ინიცირებული. MEPA გეგმავს უახლოეს მომავალში შეიმუშაოს მეთანის სტრატეგია. საქართველოს არ აქვს სათბურის გაზების გაფრქვევების, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის MRV სისტემა.

2020 წელს საქართველოში კლიმატის ცვლილების საბჭო დაარსდა, თუმცა ჯერჯერობით არ შექმნილა საბჭოს ქვეშ არსებული სამუშაო ჯგუფები. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პლატფორმები ძირითადად კონკრეტული დონორული პროექტების ფარგლებში იქმნება და პროექტის დასრულებისთანავე წყვეტს ფუნქციონირებას. ინდუსტრიული გაერთიანებები და სხვა ბინეს-ინიციატივები აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით, იშვიათია. კლიმატის ცვლილების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამები ნაკლებია და არ არის ინტეგრირებული საუნივერსიტეტო კურიკულუმებში. არ არსებობს კლიმატის ცვლილების შესახებ დეზინფორმაციის საწინააღმდეგო კამპანიები და შესაბამისი ინიციატივები, ცალკეული დონორული პროექტები ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების საკითხებს ეთმობა, თუმცა არ არსებობს ერთიანი, ინტეგრირებული, სისტემური მიდგომა.

შენობების განახლებისა და ენერგოეფექტურობის კუთხით არსებობს ხარვეზები მეორადი კანონმდებლობის შემუშავებაში. კანონი შენობების ენერგოეფქეტურობის შესახებ, რომელიც 2010/31/EU დირექტივის საფუძველზე შემუშავდა და 2020 წლის 29 მაისს შევიდა ძალაში, განსაზღვრავს ცალკეულ მიმართულებებს. მაგალითად, კანონი აწესებს შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების შემოღების აუცილებლობას, განსაზღვრავს ენერგოეფექტურობის სტანდარტებს ახალი შენობებისათვის და იმ შენობებისათვის, რომლებიც საფუძვლიან განახლებას გადიან, კანონის მიხედვით, ყველა ახალი შენობა უნდა იყოს თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების შენობა. კანონის აღსრულებისათვის, საჭიროა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება. ჯერჯერობით შემუშავებულია მხოლოდ 2 რეგულაცია. მთავრობა მუშაობს აღნიშული რეგულაციების შემუშავებაზე დონორული პროექტების მხარდაჭერით (ევროკავშირი, KFW, AFD).

საქართველოს არ აქვს სტრატეგია, ენერგეტიკულ სიღარიბეში მყოფი ადამიანების შენობების განახლების შესახებ. ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა. არსებული დახმარების სქემები, რომლებიც სოციალური დახმარების სქემის ქვეშ არის გაერთიანებული, არის მოკლევადიანი და არ ემსახურება ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი მიზეზების შემცირებას. დახმარებები მიმართულია ენერგეტიკული დანახარჯების ტვირთის შემცირებისაკენ, თუმცა არა თვით დანახარჯების მინიმიზებისკენ, რაც შენობების ენერგოეფექტურობის ამაღლებით უნდა მიიღწეს. დაბალი ეფექტურობის შენობების გამო, მოსახლეობა საცხოვრებელ სახლებს სათანადო დონეზე ვერ ათბობს. არსებული გათბობის სიტემები ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია და დამაზიანებელი ჯანმრთელობისთვის (მაგ. არაეფექტური შეშის ღუმელები).

სხვა ხარვეზები EGD-სთან მიმართებით მოიცავს:

- გენერაციისა და ტრანსპორტის სექტორში ბატარეების გამოყენების/დანერგვის ხედვისა და სტრატეგიის არარსებობა.
- ოფშორული განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ხედვის არარსებობა
- ენერგეტიკული დაგეგმვის ერთიანი მიდგომის არარსებობა, შესაბამისი ანალიტიკური ბაზისა და შესაძლებლობების არქონა.
- მწვანე წყალბადის განვითარების ხედვისა და სტრატეგიის არარსებობა, ამ მიმართულებით კვლევების ნაკლებობა
- ტყის კადასტრის არარსებობა, ტყეების ინვენტარიზაციის პროცესის დაბალი ტემპები და ტყეების გაჩეხვის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ეროვნულ დონეზე.

საქართველო გეგმავს შეიმუშაოს ცირკულარული ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. MEPA ამჟამად მუშაობს სამიზნე ინდიკატორების განსაზღვრაზე. ლურჯი ეკონომიკის პრინციპები არ არის ინტეგრირებული არც ერთ სტრატეგიულ დოკუმენტში. განახლებას საჭიროების ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და საქართველოს 2014-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

წყლის, ჩამდინარე წყლებისა და ნიადაგის სანიტარიული ნორმების შესახებ კანონმდებლობა არ არის გამართული. საჭიროა ნარჩენების მართვის ეროვნული კოდექსის მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის (EPR) პრინციპის შესწავლა.

საქართველოს არ აქვს ქიმიკატების მდგრადი გამოყენების შესახებ სტრატეგია. რის გამოც ინდუსტრიული ემისიების აღკვეთის ან შემცირების წესები არ არსებობს. საჭიროა (EU) 2016/2284 დირექტივის ტრანსპოზიცია.

ორგანული ნაწარმის მოყვანა, აგრო-ეკოლოგია, აგრო-მეტყევეობა და ცხოველთა დაცვის გამკაცრებული სტანდარტები რომელიც „ფერმიდან-ჩანგლამდე" სტრატეგიის ნაწილია და ქმნის სოფლის მეურნეობის განვითარების ახლებურ ხედვას, ფრაგმენტულად არის ასახული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიებში. თუმცა, არ არსებობს სტრატეგიები აკვაკულტურების განვითარებისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ავჯამებს ქართული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისობას EGD-სთან, გამოყოფს არსებულ ხარვეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს მათი გადაჭრისათვის, რეკომენდაციებზე კეთდება მინიშნება პრიორიტეტულობის შესახებ. მაღალი პრიორიტეტულობის რეკომენდაციები მიზანშეწონილია უფრო მალე განხორციელდეს, ვიდრე საშუალო და დაბალი პრიორიტეტულობის რეკომენდაციები.

გამჭოლი საკითხები

N	თემა	კომისიის კომუნიკაცია - ევროპის მწვანე შეთანხმება[149] და სამოქმედო გეგმა		
1	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი
	საერთო ეროვნული განვითარების სტრატეგიის არარსებობა			
	განმარტება		**რეკომენდაცია**	
	საქართველოს არ გააჩნია განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც შეესაბამება დარგობრივ სტრატეგიებს და SDG-ის სამოქმედო გეგმას და აჩვენებს სახელმწიფოს განვითარების გრძელვადიან ხედვასა და ამოცანებს.. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ შეიმუშავა განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც ჯერ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.		▸ მთავრობამ უნდა მიიღოს ეროვნული განვითარების სტრატეგია, რომელიც შეესაბამება დარგობრივ სტრატეგიებს და SDG ინდიკატორებს და მის სამოქმედო გეგმას და აჩვენებს სახელმწიფოს განვითარების გრძელვადიან ხედვასა და ამოცანებს.. ▸ სტრატეგიის მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები ინტეგრირებული უნდა იყოს ძირითად მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) და სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში.	

[149] EUR-Lex - 52019DC0640 - EN - EUR-Lex (europa.eu)

	▸ მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიისა და SDG-ის ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების სისტემა[150].

N	თემა	ევროპის მწვანე შეთანხმების საინვესტიციო გეგმა[151]		
2	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

ეროვნული საინვესტიციო გეგმის არარსებობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ნაკლებობა.

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველოს არ აქვს ეროვნული საინვესტიციო გეგმა, რომლის დახმარებითაც შეძლებს ფონდების მოძიებას მდგრადი, დაბალემისიანი, მწვანე განვითარებისთვის. ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა კერძ და საჯარო ფინანსების კონსოლიდაცია, ბიზნესების წახალისება და ინიციატივების გაჩენა. საქართველოს ასევე არ აქვს სამართლიანი განვითარების მექანიზმი, რომელიც დაეხმარებოდა წიაღისეული საწვავის სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ტრანზიციის პერიოდში.	▸ ეროვნული განვითარების სტრატეგიას უნდა ახლდეს ძლიერი საინვესტიციო გეგმა, რომელიც ასახავს ადგილობრივ ფინანსურ რესურსებს, ორმხრივ და მრავალმხრივ დონორულ მხარდაჭერას. ▸ ეროვნული ბიუჯეტის მარკირების სისტემის შემუშავება (კლიმატთან დაკავშირებული, შერბილება, ადაპტაცია და ა.შ.) ხელს შეუწყობს კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ფინანსების იდენტიფიცირებას.

N	თემა	ევროპის მწვანე შეთანხმება		
3	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

ადამიანური რესურსების ნაკლებობა და ანალიტიკური შესაძლებლობების ხარვეზები

განმარტება	რეკომენდაცია
კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება რთულია საქართველოს სხვადასხვა სექტორში ადამიანური რესურსებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების ნაკლებობის გამო. ევროპული მწვანე შეთანხმება არის კომპლექსური სტრატეგია, რომელიც მოითხოვს მრავალსექტორულ თანამშრომლობას და კოორდინირებულ დაგეგმვას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.	▸ ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება და კვალიფიციური კადრების რაოდენობის გაზრდა ძირითად ინსტიტუტებში (MoESD, MEPA). ▸ საჭიროა მხარდაჭერა უკვე მიღებული კანონების განხორციელებაში, აგრეთვე EGD-სთან დაკავშირებული ახალი დირექტივების გადმოტანასა და განხორციელებაში, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობის ნაწილი.

[150] მდგრადი განვითარების მიზნები, ეფექტურობის აუდიტის ანგარიში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2019

[151] Financing the green transition (europa.eu)

N	თემა	Fit for 55 პაკეტი[152]		
4	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	საშუალო
	ETS და CBAM მექანიზმის არარსებობა			
	განმარტება		**რეკომენდაცია**	
	მიუხედავად იმისა, რომ Fit for 55 პაკეტის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა ჯერ არ არის სავალდებულო საქართველოსთვის, მას ექნება გავლენა ევროკავშირთან ვაჭრობაზე		▸ MEPA-მ უნდა შეიმუშაოს ETS DA CBAM ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გასაადვილებლად.	

N	თემა	ევროკავშირის ახალი სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესახებ[153]		
5	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	მაღალი
	ადაპტაციის ეროვნული გეგმის/სტრატეგიის არარსებობა			
	განმარტება		**რეკომენდაცია**	
	კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია საქართველოს კლიმატის პოლიტიკის (NDC) ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა ქვეყანას ჯერ არ აქვს ადაპტაციის ეროვნული გეგმა. MEPA-ს მიერ იგეგმება საქართველოს ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავება. ეს გაუმჯობესებს ცოდნას და მონაცემებს, ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემუშავებას და კლიმატის რისკის მართვას ყველა დონეზე და დააჩქარებს ადაპტაციის მოქმედებას სხვადასხვა სექტორში. საქართველოს კანონმდებლობა სრულად არ არეგულირებს კლიმატის ცვლილების ადაპტაციას და კატასტროფების რისკის მართვას.[154]		▸ MEPA-მ უნდა შეაფასოს სხვადასხვა სექტორის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ და შეიმუშაოს შესაბამისი ადაპტაციის სტრატეგია/გეგმა.	

[152] EUR-Lex - 52021DC0550 - EN - EUR-Lex (europa.eu)

[153] A new EU Strategy on Adaptation to Climate Change (europa.eu) / EUR-Lex - 52021DC0082 - EN - EUR-Lex (europa.eu)

[154] GIZ კვლევა კლიმატის კანონის შესახებ, 2022

N	თემა	ევროკავშირის გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2020-2025 წწ[155]
6	**არსებული ხარვეზები**	**პრიორიტეტულობა** საშუალო

ხარვეზები საკანონმდებლო ჩარჩოსა და გენდერული მეინსტრიმინგში რაც გავლენას ახდენს ენერგეტიკულ ტრანზიციაზე[156]

განმარტება	**რეკომენდაცია**
ენერგეტიკულ გარდაქმნაში ჩართული ქალების წილი დაბალია ევროკავშირის დონეზეც. საქართველოში მიღებულია რამდენიმე კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მათ შორის: ▸ საქართველოს კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ▸ საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ▸ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ გენდერული თანასწორობის მისაღწევად შეიქმნა რამდენიმე ინსტიტუციური მექანიზმი და მათ შორისაა: ▸ გენდერული თანასწორობის მრჩეველთა საბჭო პარლამენტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მანდატით. ▸ გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, როგორც მუდმივი ერთეული სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურაში ▸ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისია	▸ რეკომენდირებულია გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკაში. ▸ რეკომენდირებულია, რომ MESD და GEOSTAT-მა დაიწყოს გენდერული უთანასწორობის მონიტორინგი ენერგეტიკის სექტორში ეროვნულ დონეზე ევროსტატის (LFS და LFSE), ევროკომისიის ენერგეტიკის გენერალური დირექტორატის და EC-ს შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით.[158] ▸ შეიძლება შემუშავდეს კითხვარები ენერგეტიკის სამინისტროებისთვის, მარეგულირებელი ორგანოებისთვის, TSO-ებისთვის და კომპანიებისთვის, გენდერული უთანასწორობის ამჟამინდელ ვითარების დადგენის მიზნით, ასევე კითხვები შეიძლება შეეხებოდეს ქალთა მონაწილეობის შესახებ არსებულ ბარიერებს.[159] ▸ რეკომენდირებულია UNFCCC-ის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილე დელეგატები (როგორიცაა COP შეხვედრები) წარმოდგენილი იყვნენ 50% ქალებით. ასევე, ქალები იყვნენ თანაბრად წარმოდგენილი კლიმატის ეროვნულ საბჭოში

155 https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/gender-equality/gender-equality-strategy_en

156 https://www.energy-community.org/regionalinitiatives/Transition.html

158 პოლიტიკის დოკუმენტი, ენერგეტიკული გაერთიანება, „გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვება ენერგეტიკის სექტორში“ 2022 წლის 25 აპრილი

159 პოლიტიკის დოკუმენტი, ენერგეტიკული გაერთიანება, „გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვება ენერგეტიკის სექტორში“ 2022 წლის 25 აპრილი

საქართველოს განახლებული NDC-ის მიხედვით იგეგმება გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება. ეს მონაცემები შეეხება სათბურის გაზების შერბილებასთან და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას. გარდა ამისა, საქართველო აპირებს განახორციელოს გენდერული ანალიზი, შესაძლებლობების განვითარება და ცოდნის გაზიარება კლიმატთან დაკავშირებული პროექტების ფარგლებში. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი, მიუხედავად გარკვეული დადებითი ცვლილებებისა, რჩება არაეფექტურ მექანიზმად. ამ დრომდე კანონი არ ითვალისწინებს ყოვლისმომცველ ვალდებულებებს შესაბამისი უწყებებისთვის. კანონი არ აწესებს ვალდებულებას, გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: გენდერული ზემოქმედების შეფასება, გენდერული ბიუჯეტირება, გენდერული აუდიტი, გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და გენდერული ტრენინგი და სხვ.[157]	

N	თემა	ციფრული ევროპის პროგრამა[160]		
7	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

ციფრული სტრატეგიისა და საკუთარი ფინანსური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების არარსებობა დიგიტალიზაციის მიზნების მისაღწევად.

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველო გეგმავს შეიმუშაოს „ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმა“,[161] რომელიც განსაზღვრავს ციფრული ეკონომიკის სამომავლო მიმართულებებს და ხელს შეუწყობს ელექტრონული სერვისების განვითარებას საჯარო და კერძო სექტორებში, ციფრული წიგნიერების ამაღლებასა და საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში.	▸ სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია ციფრული ევროპის პროგრამის მიზნების გათვალისწინებით.. ▸ სტრატეგიის შემუშავების კვალდაკვალ, საქართველომ უნდა მოამზადოს სამოქმედო გეგმა შესაბამისი ფინანსური რესურსებით. ▸ დიგიტალიზაციის პროცესის პარალელურად, საქართველოს მთავრობამ უნდა გააძლიეროს კიბერუსაფრთხოების ზომები.

157 https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/gender-equality-research.html

160 Digital Programme | Shaping Europe's digital future (europa.eu)

161 სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის “, გვ 32.

საქართველომ შეიმუშავა ფართოზოლოვანი ქსელის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2020 - 2025 წლებისათვის და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობისთვის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ეტაპობრივად შექმნას გარემო ციფრული სერვისებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. გეგმის მიხედვით, ოჯახებს ექნებათ წვდომა 100 მბ/წმ-ზე, ხოლო საჯარო სექტორისთვის ხარისხი იქნება 1 გბ/წმ.[162] თუმცა საქართველოს არ გააჩნია საკმარისი საკუთარი ფინანსური რესურსები და ტექნიკური შესაძლებლობები დასახული მიზნების მისაღწევად.	

N	თემა	მონაცემები და სტატისტიკა		
8	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

მონაცემთა და ინფორმაციის ნაკლებობა ევროპის მწვანე გარიგებისა და SDG-ის შესაბამისი ინდიკატორების შესაფასებლად

განმარტება	რეკომენდაცია
ფინანსური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების ნაკლებობის გამო, საქართველოს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები ევროპის მწვანე შეთანხმებისა და SDG-ის შესაბამისი ინდიკატორების შესაფასებლად.	საქართველოს მთავრობამ უნდა გააძლიეროს ტექნიკური შესაძლებლობები და უზრუნველყოს საკმარისი დაფინანსება GEOSTAT-ისთვის და სხვა შესაბამისი ინსტიტუტებისთვის, რათა უზრუნველყონ მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა ევროპის მწვანე შეთანხმებისა და SDG-ის შესაბამისი ინდიკატორების შესაფასებლად. უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მონაცემთა ამ ხარვეზების აღმოფხვრის ვადებს

დეკარბონიზაცია

N	თემა	ევროპის კლიმატის კანონი[163]		
9	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

კლიმატის შესახებ კანონის არარსებობა

[162] https://tinyurl.com/yudxfa78

[163] European Climate Law (europa.eu) / EUR-Lex - 32021R1119 - EN - EUR-Lex (europa.eu)

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველოს არ აქვს კლიმატის კანონი, რომელიც ადგენს სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირების სამართლებრივად სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლებს. კლიმატთან დაკავშირებული საკითხები განიხილება ფრაგმენტულად, სექტორული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დონეზე. ემისიების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს განახლებული NDC-ით, კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიით 2030 და მისი 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით, არ არის იურიდიულად სავალდებულო. კლიმატთან დაკავშირებული არსებული კანონები მხოლოდ ნაწილობრივ ეხება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებში განსაზღვრულ პრიორიტეტებს. ინსტიტუციური და არაინსტიტუციური აქტორების როლი ბოლომდე არ არის განსაზღვრული[164]. MEPA-მ დაიწყო კლიმატის ცვლილების კანონის კონცეფციის შემუშავება.	▸ MEPA-მ შეიმუშაოს კლიმატის კანონი, რომელიც ადგენს სათბურის გაზების ნეტო გაფრქვევების შემცირების სამართლებრივად სავალდებულო სამიზნე მაჩვენებელს განახლებული NDC-ის მიხედვით (მინიმუმ 35%-ით 2030 წლისთვის და 50-57%-ით 2050 წლისთვის 1990 წლის დონეებთან შედარებით), უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა MRV სისტემისთვის. ეს მოიცავს სხვადასხვა სამთავრობო ორგანოების როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას.

N	თემა	მეთანის სტრატეგია (ევროკავშირის სტრატეგია მეთანის ემისიების შესამცირებლად)[165]	
10	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	მაღალი

საქართველოში მეთანის ემისიების MRV სისტემის არარსებობა.

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველო შეუერთდა მეთანის გლობალურ დაპირებას, რომელიც ამოქმედდა COP26-ზე 2021 წლის ნოემბერში. MEPA გეგმავს საქართველოსთვის მეთანის სტრატეგიის შემუშავებას. საქართველოს არ გააჩნია სათბურის გაზების ემისიების MRV სისტემა (მეთანის ჩათვლით).	▸ MEPA-მ უნდა შეიმუშაოს მდგრადი MRV სისტემა სათბურის გაზების გაფრქვევებისთვის (მეთანის ჩათვლით).

164 GIZ კვლევა კლიმატის კანონის შესახებ, 2022

165 TA MEF (europa.eu)

N	თემა	ევროპის კლიმატის პაქტი[166]		
11	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

არ არსებობს დაინტერესებული მხარეების მუდმივმოქმედი პლატფორმები, არის ხარვეზები კოორდინირებული ქმედებების კუთხით და კლიმატის ცვლილების შესახებ დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამების კუთხით

განმარტება	რეკომენდაცია
2020 წელს საქართველომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დააარსა კლიმატის ცვლილების საბჭო (CCC), თუმცა საბჭოს სამუშაო ჯგუფი ჯერ არ არის შექმნილი. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების პლატფორმები ძირითადად შექმნილია პროექტის ბაზაზე და წყვეტს ფუნქციონირებას პროექტის დასრულების შემდეგ. ინდუსტრიული ალიანსები და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა ინიციატივები იშვიათია. საგანმანათლებლო პროგრამები სკოლებში ან უნივერსიტეტებში არ არის კარგად ინტეგრირებული, ძალიან ცოტა უნივერსიტეტი გვთავაზობს კურსს კლიმატის ცვლილების პოლიტიკასთან დაკავშირებით. დეზინფორმაციის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმები არ არსებობს, დონორთა მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროექტი მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გავრცელებას, მაგრამ ამ მიმართულებით სისტემური მიდგომა ნაკლებია.	▸ საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს კლიმატის ცვლილების საბჭოს ეფექტური ფუნქციონირება. ▸ CCC-მ შექმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იქნება საბჭოს საკონსულტაციო ორგანო ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის კონკრეტული საკითხების განსახილველად, ჯგუფი უნდა შედგებოდეს საჯარო მოხელეების, ექსპერტების და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან.

N	თემა	ევროპის კლიმატის პაქტი[167]		
12	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	საშუალო

ადგილობრივი ინიციატივების ნაკლებობა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობის ნაკლებობა კლიმატის მოქმედებაში

[166] https://europa.eu/climate-pact/system/files/2020-12/20201209%20European%20Climate%20Pact%20Communication.pdf

[167] https://europa.eu/climate-pact/system/files/2020-12/20201209%20European%20Climate%20Pact%20Communication.pdf

განმარტება		**რეკომენდაცია**
საქართველოს 69 მუნიციპალიტეტიდან 24 არის მერების შეთანხმების ხელმომწერი, რომელიც მათ ავალდებულებს შეიმუშაონ მდგრადი ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმები. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა კონკრეტულ ქმედებებში ამ მიმართულებით ძალიან შეზღუდულია. ასევე შეზღუდულია ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით		▸ MEPA, MOESD და MRDI დაეხმარონ მუნიციპალიტეტებს, უფრო აქტიურად ჩაერთონ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებაში. გააძლიერონ მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების (SECAPs) შემუშავების, განხორციელების და პროგრესის მონიტორინგისთვის.

N	თემა	ახალი ევროპული ბაუჰაუსი[168]		
13	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	დაბალი

საქართველოში ევროპული ბაუჰაუსის შესაბამისი პლატფორმებისა და საინიციატივო ჯგუფების არარსებობა

განმარტება		**რეკომენდაცია**
ახალი ევროპული ბაუჰაუსი გულისხმობს ინოვაციური საცხოვრებელი შენობების მშენებლობას, რომელიც კლიმატმეგობრული, ეკონომიკურად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური იქნება. მსგავსი ტიპის საცხოვრებელი შენობების შექმნა გულისხმობს მეცნიერების, დიზაინერების, არქიტექტორების, ხელოვანების, კონსტრუქტორების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გაერთიანებას, ექსპერიმენტული სივრცეების შექმნას და სხვა.		▸ რეკომენდირებულია დონორებს მხარდაჭერით შეიქმნას საქართველოს ევროპული ბაუჰაუსის შესაბამისი ინიციატივა. ჩამოყალიბდეს მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მეცნიერებით, არქიტექტორებით, დიზაინერებით, მხატვრებით, მშენებლებით თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით. შეიქმნას სივრცე ექსპერიმენტული იდეების წახალისებისთვის

N	თემა	სამართლიანი გადასვლა		
14	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	მაღალი

საქართველოს არ აქვს სამართლიანი გადასვლის მექანიზმი

განმარტება		**რეკომენდაცია**
გეგმის მთავარი მიზანია გამოავლინოს ყველაზე მეტად დაზარალებული ტერიტორიები, რომლებმაც უნდა მიიღონ მხარდაჭერა. გეგმები განსაზღვრავს გზებს, რათა საუკეთესოდ გადაჭრას		▸ მთავრობამ განსაზღვროს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები/ტერიტორიები, რომელთან მხარდაჭერა დასჭირდებათ (მაგ. ქვანახშირის რეგიონები).

[168] New European Bauhaus: Commission launches design phase (europa.eu) / Call for Partners (europa.eu)

სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევები. სამართლიანი გადასვლის მექანიზმი ითვალისწინებს დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობას ახალ და გარდამავალ სექტორებში; ხელახალი კვალიფიკაციის შესაძლებლობების შეთავაზებას წიაღისეულ სექტორში მომუშავე ადამიანებისათვის; ენერგოეფექტურობის განვითარებას საცხოვრებლ შენობებში, ინვესტიციას ენერგეტიკული სიღარიბის წინააღმდეგ და სხვ[169].	▸ საქართველოს მთავრობამ გამოიკვლიოს საქართველოს ჩართვის შესაძლებლობები ენერგეტიკული გაერთიანების სამართლიანი გარდაქმნის ინიციატივაში, რომელიც ქვანახშირის რეგიონებს შეეხება (უკრაინა და ბალკანეთის ქვეყნები) - და სუფთა ჰაერის რეგიონების ინიციატივაში (CARI).)[170]

N	თემა	სამართლიანი გადასვლა და შენობების განახლების სტრატეგია, ენერგეტიკული სიღარიბე		
15	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	მაღალი

საქართველოში ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრის სისტემატური მიდგომა არ არსებობს

განმარტება	**რეკომენდაცია**
ენერგიის ხელმისაწვდომობა და ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში მნიშნელოვანი პრობლემაა, არსებობს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების ცალკეული ინიციატივები, მოწყვლადი მომხმარებლების დახმარების პროგრამები და სხვ. თუმცა მათი უმეტესობა არის მოკლევადიანი და ემსახურება არსებული ფინანსური ტვირთის შემცირებას და არა ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების ღონისძიებები მიმართული იყოს სწორედ გრძელვადიანი შედეგებისაკენ. ეს გულისხმობს შენობების ენერგოეფქტურობის ამაღლებას, გათბობის სისტემების მოწესრიგებას, სუფთა ენერგიაზე წვდომის გაზრდას, შეშის მოხმარების ჩანაცვლებას თანამედროვე ბიომასით და ეფექტური ღუმელების დანერგვით და სხვ. ამგვარი ღონისძიებები არის მიმართული ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი მიზეზების შემცირებისკენ და მხოლოდ ფინანსური დახმარების სქემები, რომლებიც ენერგეტიკული გადასახდელების ტვირთის შემცირებას ემსახურება, არ არის მდგრადი შედეგის მქონე.	▸ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების გრძელვადიან ღონისძიებებს. განსაზღვრავს ენერგეტიკულ სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის კატეგორიას, კონკრეტულ სამოქმედო გეგმას და სამიზნე მაჩვენებლებს.

[169] https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal/finance-and-green-deal/just-transition-mechanism_en

[170] https://www.energy-community.org/regionalinitiatives/Transition.html

N	თემა	სამართლიანი გადასვლა და შენობების განახლების სტრატეგია, ენერგეტიკული სიღარიბე
16	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა: მაღალი

საქართველოს არ აქვს სტრატეგია, რომელიც შენობების განახლებისას ენერგეტიკულად ღარიბი მოსახლეობის ჩართვას ეხება

განმარტება	რეკომენდაცია
მთლიანი შენობების განახლება, რაც მოიცავს თბოიზოლაციას, კარ-ფანჯრებისა შეცვლას და სხვ, მნიშვნელოვნად ზოგავს მოხმარებულ ენერგიას და ამაღლებს ცხოვრების ხარისხს. ამ ღონისძიების ერთერთ მთავარი ეფექტი ასევე არის ენერგეტიკული სიღარიბის შემცირება, რადგან შენობების განახლებით იზოგება მოხმარებული ენერგიის რაოდენობა და შესაბამისი ფინანსური სახსრები, ასევე - უმჯობესდება ადმიანების ჯანმრთელობა (ცივ, ნესტიან შენობებში ცხოვრება ასოცირებულია სხვადასხვა დაავადებასთან). შენობები განახლება ენერგეტიკული სიღარიბის მიზეზების შემცირებას ემსახურება და ამაღლებს ცხოვრების ხარისხს. ცივ სახლებში ცხოვრება ენერგეტიკული სიღარიბის მთავარი გამოწვევაა, გათბობის სისტემის გაუმჯობესება (HIS) შედგება სამი ძირითადი მიმართულებისგან: ▸ გათბობის არსებული სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება - მაგ. ტრადიციული ბიომასის ღუმელის ჩანაცვლება უფრო ეფექტური ღუმელებით (განსაკუთრებით რელევანტურია სოფლის ტიპის დასახლებებისთვის) ▸ გათბობის სისტემის მოდერნიზაცია და გაფართოება - გულისხმობს მთლიანი გათბობის სისტემების შეცვლას უფრო ეფექტური გათბობის სისტემებით. ▸ გათბობის წყაროების შეცვლა - წიაღისეული საწვავიდან განახლებად საწვავზე გადასვლა	▸ MOESD და MRDI შეიმუშაონ ენერგეტიკულად ღარები მოსახლეობის განსაზღვრის კრიტერიუმები, რომელებსაც უპირატესობა მიენიჭებათ შენობების განახლების პროცესში. ▸ შემუშავდეს შენობების განახლების სტრატეგია, სადაც ცალკე მიზნობრივ ჯგუფად იქნება გამოყოფილი ენერგეტიკულად ღარიბი მოსახლეობა. ▸ მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია, ენერგეტიკული სიღარიბის მახასიათებლებისა და ეფექტების შესახებ, განსაკუთრებით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეფექტების და მისი შერბილების შესახებ.

N	თემა	შენობების განახლების სტრატეგია[171]		
17	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	მაღალი

მეორადი კანონმდებლობის არარსებობა

განმარტება	**რეკომენდაცია**
შენობების განახლების სტრატეგია მოიცავს ენერგოეფექტურობის სავალდებულო სტანდარტებს უკვე არსებული და ახალი შენობებისათვის, ენერგო აუდიტებს, ენერგეტიკულ სერტიფიკატებს და ა.შ.[172] საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელიც ევროკავშირის 2010/31/EU დირექტივის საფუძველზე შემუშავდა და 2020 წელს შევიდა ძალაში მოიცავს შემდეგ რელევანტურ საკითხებს: ▸ ყველა კერძო შენობას, რომელიც იყიდება ან ქირავდება და რომლის ფართი აღემატება 500 მ²-ს (250 მ²-ს 2023 წლიდან) უნდა ჰქონდეს ენერგოეფეტურობის სერტიფიკატი ▸ ყველა ახალი შენობისთვის, ან შენობისთვის, რომელიც გადის საფუძვლიან განახლებას, უნდა დაწესდეს ენერგოეფექტურობის სტანდარტები ▸ ყველა ახალი შენობა უნდა აკმაყოფილებდეს ნულოვანი ენერგიის მოხმარების პირობას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი მოთხოვნა ხარჯ-სარგებლიანობის პრინციპის მიხედვით მიზანშეწონილი არ არის). გათბობისა და გაგრილების სისტემების პერიოდული ინსპექტირება. აღნიშული კანონის მოთხოვნების შესასრულებლად, საქართველომ უნდა შეიმუშაოს მთელი რიგი ნორმატიული აქტები/მეორადი კანონმდებლობა. ჯერჯერობით მხოლოდ 2 კანონქვემდებარე აქტი არის მიღებული, გრძელდება კანონქვემდებარე აქტებზე მეშაობა დონორული პროექტების მხარდაჭერით (KFW, AFD, EU)	▸ მთავრობამ უზრუნველყოს ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის დროული აღსრულება და NECP ში გაწერილი ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება (ენერგოეფექტურობის მინიმალური სტანდარტების დადგენა, ენერგო აუდიტების და ენერგეტიკული სერტიფიკატების დანერგვა, ევროკოდების მიღება და.ა.შ) ▸ ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში გაძლიერდეს კოორდინაცია სამთავრობო უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ▸ დაიწყოს მუშაობა შენობების განახლების მიმართულებით საზოგადოების ინფორმირებისათვის.

[171] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52020DC0662

[172] შენობების განახლების ტალღის სტრატეგია

N	თემა	ევროპული ბატარეების ალიანსი[173]		
18	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	დაბალი

ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმვის არარსებობა ენერგიის გენერაციისა და ტრანსპორტის სექტორებში ბატარეების გამოყენების კუთხით

განმარტება	რეკომენდაცია
წიაღისეული საწვავის გამოყენებიდან განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებაზე გადასვლა ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდას გულისხმობს. საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების 70% განახლებადი წყაროებიდან მოდის. მწვანე ტრანზიციის პირობებში განსაკუთრებით მნიშნელოვანი ხდება ცვალებადი ენერგიის წყაროების (მზის და ქარის ენერგია) ინტეგრირება. ინტეგრირებისათვის ბატარეების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.	▸ MoESD და სსე-მ შეისწავლონ ელექტროენერგიის წარმოებისა და ტრანსპორტის სექტორებში ბატარეების განვითარების შესაძლებლობები. ასევე, მისი განვითარებისათვის შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ▸ შემუშავდეს მხარდაჭერის მექანიზმები მცირე მასშტაბის პროექტების განხორციელებისათვის სოფლებში, სადაც არ არის წვდომა ელექტროენერგიის ქსელზე.

N	თემა	ევროკავშირის სტრატეგია ოფშორული განახლებადი ენერგიის შესახებ[174]		
19	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	დაბალი

ოფშორული ენერგიის განვითარების სტრატეგიისა და ხედვის არარსებობა

განმარტება	რეკომენდაცია
შიდა განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. თუმცა, ოფშორული განახლებადი ენერგიის განვითარება არ არის გათვალისწინებული არც ერთ დაგეგმილ ან შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტში (NECP, ენერგეტიკული პოლიტიკა, დრაფტი, განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმა).	▸ დონორების მხარდაჭერით, MoESD-მ შეაფასოს ოფშორული განახლებადი ენერგიის განვითარების პოტენციალი. შესაბამისი დებულებები შევიდეს ენერგეტიკის სექტორის განვითარების პოლიტიკასა და სტრატეგიებში

N	თემა	ევროკავშირის სტრატეგია ენერგოსისტემების ინტეგრაციის შესახებ[175]		
20	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

ენერგეტიკული სისტემების ინტეგრირების სისტემური დაგეგმვის არარსებობა

[173] https://www.eba250.com

[174] https://energy.ec.europa.eu/topics/renewable-energy/eu-strategy-offshore-renewable-energy_en

[175] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52020DC0299&from=EN

განმარტება		**რეკომენდაცია**
NECP შემუშავებისთვის სამინისტრო იყენებს ენერგეტიკის სექტორის დაგეგმვის TIMES მოდელს. თუმცა, დაგეგმვა არ არის სისტემური და ხშირად დაკავშირებულია კონკრეტულ დონორულ პროექტებთან. არ არსებობს ძლიერი ანალიტიკური ბაზა.		▸ სამინისტრომ უნდა გააძლიეროს ანალიტიკური შესაძლებლობები ენერგეტიკული დაგეგმვის გრძელვადიანი, სისტემური მიდგომის შემოღებით და სხვადასხვა სცენარზე მუშაობით.

N	**თემა**	**წყალბადის სტრატეგია კლიმატ-ნეიტრალური ევროპისთვის**[176]		
21	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	საშუალო

მწვანე წყალბადის განვითარების ხედვის არარსებობა

განმარტება	**რეკომენდაცია**
მწვანე წყალბადის განვითარების ხედვას საქართველოს არც ერთი სტრატეგიული დოკუმენტი არ ითვალისწინებს. არ არის შესწავლილი წყალბადის გამოყენების პოტენციალი, არ ჩატარებულა ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება	▸ MoESD-მ შეისწავლოს მწვანე წყალბადის განვითარების შესაძლებლობა საქართველოში და მიიღოს შესაბამისი სტრატეგია. უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვა

N	**თემა**	**სუფთა ენერგია ყველა ევროპელისთვის**[177]		
22	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	მაღალი

მეორედი კანონმდებლობის არარსებობა ენერგოეფექტიანობის კუთხით

განმარტება	**რეკომენდაცია**
ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში საქართველო უკვე ახორციელებს ევროპული დირექტივების მესამე ენერგეტიკული პაკეტის მიხედვით კანონმდებლობის გადმოტანას და მის აღსრულებას. თუმცა, კანონების სრულყოფილი იმპლემენტაციისათვის აუცილებელია კანონქვემდებარე აქტების/მეორადი კანონმდებლობის შემუშავება.	▸ მთავრობამ ხელი შეუწყოს EE და RES კანონების დროულ იმპლემენტაციას ▸ გაძლიერდეს უწყებათაშორისი კომუნიკაცია, რაც აუცილებელია სუფთა ენერგიის პაკეტის განხორციელებისათვის. ▸ გადაიხედოს წიაღისეული საწვავის სუბსიდირების პოლიტიკა, რაც ახალისებს ენერგიის არაეფექტურ გამოყენებას და ფლანგვას. სუბსიდირების მოხსნის პროცესში გათვალისწინებული იყოს სოციალურად დაუცველი და ენერგეტიკულად ღარიბი მოსახლეობის ინტერესები.

[176] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52020DC0301&from=EN

[177] https://energy.ec.europa.eu/topics/energy-strategy/clean-energy-all-europeans-package_en

N	თემა	მდგრადი და ჭკვიანი მობილობის სტრატეგია[178]		
23	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

მდგრადი და ჭკვიანი მობილობის სტრატეგიის არარსებობა

განმარტება	რეკომენდაცია
ტრანსპორტის სექტორთან დაკავებული ღონისძიებები რამდენიმე სექტორთაშორის სტრატეგიაში არის მოცემული (CSAP, GCAPs სხვ.). თუმცა, დიდ ურბანულ ტერიტორიებს არ გააჩნიათ საერთო მიდგომა ტრანსპორტის სექტორის მდგრადობის გასაუმჯობესებლად, რაც შეიძლება მოიცავდეს ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე მანქანების წილის გაზრდას სხვადასხვა ფინანსური წახალისებისა და რეგულაციების მეშვეობით, მდგრადი ალტერნატიული სატრანსპორტო გადაწყვეტილებების შეთავაზებას საზოგადოებისთვის, მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო ტრანსპორტის გაზრდას და სხვა.	▸ MoESD-მ შეიმუშაოს ეროვნული გრძელვადიანი მდგრადი და ჭკვიანი მობილობის/სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს განვითარების ხედვას, ძირითად პრინციპებს და სტიმულებს. მუნიციპალური და ქალაქის დონის მობილობის გეგმები უნდა იყოს ჰარმონიზებული და ითვალისწინებდეს ეროვნულ სატრანსპორტო პოლიტიკაში დადგენილ პრინციპებს. ▸ საჭიროა დაინტერესებული მხარეების ძლიერი კოორდინაცია და ჩართულობა ეროვნული და მუნიციპალური მობილობის გეგმების შემუშავებაში. ▸ სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტის მიმდინარე მოდალური განაწილების შეფასება და ზომების შემუშავება ინდივიდუალური მოტორიზებული მოძრაობის შესამცირებლად და საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მატარებელი, ავტობუსი, საერთო მობილობის კონცეფციები) და ფეხით და ველოსიპედის სიარულით გაზრდის მიზნით.

N	თემა	მდგრადი და ჭკვიანი მობილობის სტრატეგია		
24	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

დაბალი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების მცირე წილი და მდგრადი ალტერნატივების დაბალი მოდალური წილი (ველოსიპედები ა.შ)

განმარტება	რეკომენდაცია
ელექტრომობილების შეღწევადობის გაზრდის მცდელობების მიუხედავად, მათი წილი მაინც დაბალია. საჭიროა მიზეზების გარკვევა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.	▸ რეკომენდებულია არსებული ღონისძიებების ანალიზი, მთავარი ბარიერების იდენტიფიცირება და შესაბამისი დაგეგმვა.

[178] https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12438-Sustainable-and-Smart-Mobility-Strategy_en

მდგრადი სატრანსპორტო გადაწყვეტილებების მოდალური წილი დაბალია ბათუმისა და თბილისისთვის არსებული მონაცემების მიხედვით. 2016 წელს ფეხით სიარულისა და ველოსიპედებით სიარულის მოდალური წილი იყო 32%. თბილისში ეს წილი კიდევ უფრო დაბალია და 27%-ს შეადგენს. ორივე შემთხვევაში მეტი წილი მოდის ფეხით სიარულზე.	

N	თემა	ტყეების გაჩეხვის შეჩერება		
25	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

ტყეების შესახებ ინფორმაციის და მონიტორინგის სისტემების არარსებობა

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველოს არ აქვს ჩამოყალიბებული მონიტორინგის სისტემები და ტყეების შესახებ ინფორმაციის ბაზები. თუმცა ტყეების საზღვრები რეგისტრირებულია. ტყეების ინვენტარიზაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს, ნაკლებად არის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ტყეების გაჩეხვის, დეგრადაციის, მიწათსარგებლობის ცვლილების შესახებ.	▸ რეკომენდებულია მეტყევეების კვალიფიკაციის ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება, მიწის დეგრადაციის, ტყეების გაჩეხვის და სხვა დაკავშირებული საკითხების შესახებ სისტემატიზებული მონაცემების შეგროვება. ▸ ტყეები უნდა იმართებოდეს მათი ფუნქციური დანიშნულებით, რომელიც ტყის კოდექსის მიხედვით გამოყოფს ტყეების 4 კატეგორიას – დამცავ, დაცულ, ტურისტულ-გამაჯანსაღებელ და სასოფლო-სამეურნეო ტყეებს. ▸ ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების მხარდაჭერა და ხელშეწყობა უნდა მოხდეს ყველა შესაბამისმა ინსტიტუტის დონეზე (ეროვნულ და რეგიონულ); საჭიროა ტყის ხანძრის თავიდან ასაცილებლად ზომების მიღება.

ცირკულარული ეკონომიკა

N	თემა	**ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა**[179] მიზნად ისახავს ევროპის მწვანე შეთანხმების მიერ მოთხოვნილი ტრანსფორმაციული ცვლილების დაჩქარებას		
26	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	მაღალი

ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის არარსებობა

[179] New Circular Economy Action Plan (europa.eu) / new_circular_economy_action_plan.pdf (europa.eu) / Circular economy action plan (europa.eu)

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველო გეგმავს ცირკულარული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. MEPA ამჟამად მუშაობს სამიზნე ინდიკატორებზე. უფრო ცირკულარული ეკონომიკის პირობებში პროდუქტების, მასალების და რესურსების ღირებულება შენარჩუნებულია ეკონომიკაში რაც შეიძლება დიდხანს, ხოლო ნარჩენების წარმოქმნა მცირდება რაოდენობრივად და უმჯობესდება მისი ხარისხობრივი თვისებები. ნარჩენების პრევენცია მჭიდრო კავშირშია წარმოების მეთოდების გაუმჯობესებასთან და უბიძგებს მომხმარებლებს მოითხოვონ მწვანე პროდუქტები და გამოიყენონ ნაკლები შეფუთვა. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირება მითითებულია, როგორც უმაღლესი პრიორიტეტი ნარჩენების იერარქიის მიხედვით, რომელიც დადგენილია ნარჩენების ჩარჩო დირექტივით (მუხლი 4), რომელიც ადგენს პრიორიტეტულ თანმიმდევრობას დაწყებული ისეთი საკითხებით როგორიცაა პრევენცია, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება და ენერგიის აღდგენა და დამთავრებული ნარჩენების ეკოლოგიურად უსაფრთხო განთავსებით, მაგალითად ნაგავსაყრელზე.	▸ საქართველომ უნდა შეიმუშაოს ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ბუნებრივ რესურსებზე ზეწოლის შესამცირებლად, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის მიზნების მიღწევას და ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შემცირებას. ▸ უნდა ჩამოყალიბდეს მონაცემთა შეგროვების ძლიერი და ზუსტი სისტემა ნარჩენების მართვისთვის (სხვადასხვა ტიპის ნარჩენების სახეობა და რაოდენობა და დამუშავების გზები) რათა შემუშავდეს ზომები და მოხდეს შესრულების პროგრესის მონიტორინგი.

N	თემა	**მდგრადი ლურჯი ეკონომიკა[180].** **ახალი მიდგომა ევროკავშირის მდგრადი ლურჯი ეკონომიკისთვის.** **ევროკავშირის ლურჯი ეკონომიკის ტრანსფორმირება მდგრადი მომავლისთვის**

27	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	საშუალო

ლურჯი ეკონომიკის პრინციპები არ არის ინტეგრირებული ქვეყნის შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებში.

[180] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021DC0240&from=EN

განმარტება	რეკომენდაცია
მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს საქართველოს გადასვლას უფრო მდგრად ლურჯ ეკონომიკაზე. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ხაზს უსვამს სანაპირო ზონაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემცირების აუცილებლობას, უმოქმედობის მზარდ ღირებულებას და განიხილავს ლურჯ ეკონომიკას, როგორც კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შემარბილებელი ღონისძიებების დრაივერს. ეს, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოსა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ტურიზმისა და გარემოს დაცვას.	▸ საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს მსოფლიო ბანკის კვლევების რეკომენდაციები შავი ზღვის სანაპირო ზოლთან დაკავშირებული მიზნების შემუშავების დროს და შეიტანოს იგი NDC-ში. ეს აამაღლებს საქართველოს NDC-ის ამბიციას და ხელს შეუწყობს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლთან დაკავშირებული კლიმატის ადაპტაციის მიზნების განსაზღვრას. ▸ საქართველოს მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის (CMA) განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას შავ ზღვაში უფრო მდგრადი ლურჯი ეკონომიკისთვის.

N	თემა	საზღვაო სივრცითი დაგეგმარების (MSP) ჩარჩო[181] (EU დირექტივა)	
28	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	საშუალო

საზღვაო სივრცითი გეგმის არარსებობა და მისი პრინციპები არ არის ასახული ქვეყნის საზღვაო სექტორის პოლიტიკის დოკუმენტებში.

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველოს აქვს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ[182], მაგრამ არ აქვს საზღვაო სივრცითი გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ კანონში შევიდა ცვლილებები ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნის შესაბამისად, რათა დაიცვას სანაპირო ზონა დაბინძურებისგან და უზრუნველყოს მისი მონიტორინგი, არ არსებობს საერთო სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა შესაბამისი მწვანე შეთანხმების პრინციპები, როგორიცაა საზღვაო ტრანსპორტის მდგრადი განვითარება, მდგრადი საზღვაო ტურიზმი, კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობა და ა.შ. ზოგიერთი დებულება ნახსენებია აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიაში[183], მაგრამ ეს დოკუმენტი უკვე მოძველებულია.	▸ რეკომენდებულია საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს საზღვაო სივრცითი გეგმა მდგრადი საზღვაო სივრცითი გეგმის პრინციპების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს ზღვაზე ენერგეტიკის სექტორის მდგრად განვითარებას, საზღვაო ტრანსპორტის, მეთევზეობისა და აკვაკულტურის სექტორების შენარჩუნებას, დაცვას და განვითარებას, გარემოს გაუმჯობესებას, კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისადმი მდგრადობის ჩათვლით. მას შეუძლია სხვა მიზნების განხორციელებასაც შეუწყოს ხელი, როგორიცაა მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა და ნედლეულის მდგრადი მოპოვება.

[181] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0089&from=EN

[182] https://matsne.gov.ge/ka/document/view/18244?publication=24

[183] https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_EE_Ajara_CC_2013_eng.pdf

ევროკავშირი თანამშრომლობს იუნესკოს სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიულ კომისიასთან, რათა დააჩქაროს MSP პროცესები დანერგვა მთელ მსოფლიოში MSPGlobal პროექტის მეშვეობით.[184] საზღვაო სივრცითი დაგეგმარება (MSP) ჩვენი ზღვებისა და ოკეანეების გამოყენების თანმიმდევრული მართვის და ადამიანების საქმიანობის ეფექტურობის, უსაფრთხოების და მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტია.	▸ საქართველოს ასევე შეუძლია ისარგებლოს MSPGlobal პროექტთან თანამშრომლობით და გამოიყენოს საერთაშორისო სახელმძღვანელოების MSP-ის შემუშავებისთვის.

N	თემა	**ახალი ინდუსტრიული სტრატეგია ევროპისთვის[185]**		
29	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	საშუალო

საქართველოს არ აქვს მრეწველობის სექტორის განვითარების პოლიტიკა და ხედვა.

განმარტება	**რეკომენდაცია**
საქართველოს თავისი სტრატეგიული მდებარეობით და ევროკავშირთან გაფორმებული AA/DCFTA ხელშეკრულებებით აქვს დიდი შესაძლებლობები განავითაროს თავისი ინდუსტრიული სექტორი. თუმცა, არ არსებობს სამრეწველო განვითარების ოფიციალური სტრატეგია. ასევე, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ქმნის დამატებით პერსპექტივებს საქართველოსთვის განავითაროს თანამედროვე ინდუსტრია, რომელსაც აქვს მაღალი დამატებული ღირებულება, კონკურენტული უპირატესობა და საექსპორტო ბაზრები.	▸ რეკომენდებულია საქართველომ შეიმუშაოს მრეწველობის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ხედვას, ამოცანებსა და კონკრეტულ ღონისძიებებს ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საერთაშორისო ბაზარზე.

ბიომრავალფეროვნება

N	თემა	**ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის[186]** მიზნად ისახავს ევროპის ბიომრავალფეროვნების აღდგენის გზას 2030 წლისთვის და უზრუნველყოს, რომ 2050 წლისთვის მსოფლიოს ყველა ეკოსისტემა იქნება აღდგენილი, მედეგი და სათანადოდ დაცული.		
30	**არსებული ხარვეზები**		**პრიორიტეტულობა**	საშუალო

საჭიროა საქართველოს NBSAP-ის განახლება.

[184] https://www.mspglobal2030.org

[185] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52020DC0102

[186] EUR-Lex - 52020DC0380 - EN - EUR-Lex (europa.eu)

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2020 (ბოლო)[187] მოიცავს ბიომრავალფეროვნების შემდეგ მიმართულებებს: სახეობები და ჰაბიტატები, დაცული ტერიტორიები, ტყეების ეკოსისტემები, სასოფლო-სამეურნეო ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი მდელოები, შიდა წყლის ეკოსისტემები და შავი ზღვა. ის ასევე ადგენს სტრატეგიულ მიზნებს, ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს, ამოცანებს და ღონისძიებებს თითოეული სფეროსთვის.	▸ საქართველომ უნდა განაახლოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ▸ აუცილებელია ბიოუსაფრთხოების სფეროში ადამიანური და ტექნიკური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება (ზედამხედველობის უწყებებში პერსონალის გადამზადება, შესაბამისი სახელმძღვანელოების და ინსტრუქციების შემუშავება და მიღება)[188]. ▸ საჭიროა ადამიანური და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება ბიომრავალფეროვნების მიმართულებით კვლევების და ტრადიციული მიდგმების განახლების ხელშეწყობის მიზნით[189].

N	თემა	სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა		
31	არსებული ხარვეზები		პრიორიტეტულობა	საშუალო

საჭიროა გაუმჯობესდეს მონაცემთა ბაზები, კლასიფიკაცია, აღრიცხვა (აღწერა), მონიტორინგი, გაძლიერდეს გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაცია.

განმარტება	რეკომენდაცია
ევროკავშირს უნდა ჰქონდეს (2020 წლისთვის) გზამკვლევი სახეობებისა და ჰაბიტატების შერჩევის შესახებ, რათა უზრუნველყოს, რომ ისეთი დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების, რომლებიც ამჟამად არ არიან ხელსაყრელ მდგომარეობაში, მინიმუმ 30% 2030 წლისთვის მოხდეს ამ კატეგორიაში ან აჩვენოს მკვეთრი პოზიტიური ტენდენცია[190]. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია[191] ითვალისწინებს და ასახავს სახეობების პრობლემებს, მათ საკონტროლო სიას, აღდგენას და სახეობის სპეციფიკურ კონსერვაციას (ზოგიერთი სახეობისთვის), ეროვნულ წითელ ნუსხას,	▸ საქართველოს წითელი ნუსხა განსაახლებელია. ▸ უნდა შეიქმნას და პერიოდულად განახლდეს საქართველოში არსებული მცენარეთა და ცხოველთა სახეობების ელექტრონული მონაცემთა ბაზა. ▸ ევროკავშირის დირექტივების ფრინველებზე (2009/147/EC) და ჰაბიტატებზე (92/43/EC) გადატანა ეროვნულ კანონმდებლობაში. ▸ საქართველოს ჰაბიტატების კლასიფიკაცია უნდა ხდებოდეს საერთაშორისოდ აღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით.

187 CBD Strategy and Action Plan - Georgia (English version)

188 Georgia, Sixth National Report to the Convention on Biological Diversity 2014-2018

189 Georgia, Sixth National Report to the Convention on Biological Diversity 2014-2018

190 communication-annex-eu-biodiversity-strategy-2030_en.pdf (europa.eu)

191 2014 - 2020 წლების საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა

ჰაბიტატების კლასიფიკაციას და მათ პრიორიტეტიზაციას. თუმცა, ყველა ეს სფერო და მონაცემები საჭიროებს გაუმჯობესებას და განახლებას.

წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების კონსერვაციის სტატუსის შეფასება 2006 წლიდან არ განხორციელებულა.

ეკონომიკურად ღირებული სახეობების კონსერვაციის სტატუსი არ არის შეფასებული, რაც საშუალებას მისცემდა ამ სახეობების მდგრად გამოყენებას[192].

- უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა (შემუშავება დაიწყო 2007 წელს, მაგრამ არ არის დასრულებული)
- შესამუშავებელია ინვაზიური უცხო სახეობების სტრატეგია მათი შეჭრისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად.
- სახეობების აღდგენის ღონისძიებები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარეობს ზოგიერთი სახეობისთვის საჭიროებს უფრო სიღრმისეულ კვლევას და დაგეგმვას.

დაბინძურების შემცირება

N	თემა	ნულოვანი დაბინძურების სამოქმედო გეგმა (ევროკავშირის სამოქმედო გეგმა: „ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურებისკენ)[193]

32	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	საშუალო

წყლის, ჩამდინარე წყლებისა და ნიადაგის სანიტარიული ნორმების შესახებ კანონმდებლობის ეფექტური აღსრულების ნაკლებობა

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველოს კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის შესახებ,[194, 195, 196, 197] ისევე როგორც წყალთან, ნარჩენებთან და ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მათ შორის ტექნიკური და სანიტარიული ნორმები[198, 199, 200] ერთი	• საჭიროა ნარჩენების მართვის ეროვნული კოდექსის მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის (EPR) პრინციპის ოპერაციონალიზაციის დონის შესწავლა.

192 Sixth National Report to the Convention on Biological Diversity, 2014-2018, Georgia

193 Commission aims for zero pollution in air, water and soil (europa.eu) / www.eubusiness.com/topics/environ/zero-pollution-action-plan

194 277 (eiec.gov.ge)

195 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - National Action Plans for the implementation of the Association Agreement and Association Agenda (mfa.gov.ge)

196 2021-2023 EU-Georgia work plan for the implementation of the Trade and sustainable development chapter (europa.eu)

197 EU-Georgia Association Agreement and Agenda, old.civil.ge/files/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf

198 Order No 297/N of 2001 of Minister of Labor, Health and Social Affairs of Georgia on Environmental Quality Requirements | InforMEA

199 წყლის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

200 წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

შეხვედით უზრუნველყოფს მიზნების შესრულებას, თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება/შეფასება მათი გამართული ფუნქციონირების შესახებ, განსაკუთრებით, მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის კუთხით (EPR),[201] რომელიც ნარჩენების მართვის ეროვნული კოდექსის ნაწილია.[202]	

N	თემა	ნულოვანი დაბინძურების სამოქმედო გეგმა (ევროკავშირის სამოქმედო გეგმა: „ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურებისკენ)[203]

33	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	მაღალი

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებზე გამოყენებული ქიმიური პესტიციდების ნორმატიული ზღვრები არარსებობა.

განმარტება	რეკომენდაცია
ნულოვანი დაბინძურების პოლიტიკა გულისხმობს ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებას ნიადაგის დეგრადაციის და ქიმიური პესტიციდების გამოყენების 50%-ით შემცირების ხარჯზე. საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ[204] ეხება ნიადაგის დაბინძურებას რადიონუკლეიდებით, ტოქსიკური, საშიში და სხვა სახის ნარჩენებით და ქიმიური პესტიციდებით, მაგრამ არ განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში გამოყენებული ქიმიური პესტიციდების ნორმებს.	▸ რეკომენდებულია MEPA-მ განსაზღვროს სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებისთვის გამოყენებული ქიმიური პესტიციდების ტიპები და ნორმატიული ზღვრები. ▸ სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში გამოყენებული ქიმიური პესტიციდების მონიტორინგის მიზნით აღრიცხვის სისტემის და მონაცემთა ბაზის შექმნა. ▸ ნიადაგის დაცვის შესახებ კანონის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის ნარჩენების მინდორში დაწვის აკრძალვის რეგულირების გამკაცრება.

N	თემა	ქიმიკატების მდგრადი გამოყენების სტრატეგია (2021-2024 წლების სამოქმედო გეგმასთან ერთად)[205]

34	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	მაღალი

აუცილებელია ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისას ევროკავშირის პრინციპებთან და მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ჯერ არ აქვს ქიმიკატების მდგრადი გამოყენების სტრატეგია.

---

201 სტრატეგიული დოკუმენტები | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (mepa.gov.ge)

202 ნარჩენების მართვის კოდექსი | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

203 Commission aims for zero pollution in air, water and soil (europa.eu) / www.eubusiness.com/topics/environ/zero-pollution-action-plan

204 ნიადაგის დაცვის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

205 Commission adopts new Chemicals Strategy (europa.eu) / Chemicals strategy (europa.eu) / resource.html (europa.eu) / resource.html (europa.eu) / chemicals-strategy-factsheet.pdf (europa.eu)

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველოს ჯერ არ აქვს ქიმიკატების მდგრადი გამოყენების სტრატეგია. თუმცა, მთავრობამ მიიღო კანონი გარემოს დაცვის შესახებ[206] და დადგენილება გარკვეული საშიში ქიმიკატებისა და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის პროცედურის შესახებ[207] შემდეგ დანართებთან ერთად – ქიმიკატებისა და პესტიციდების სია, რომლებიც აკრძალულია ან რომელზე ვრცელდება მკაცრი შეზღუდვაა ექსპორტისა და იმპორტის (დანართი I) და საშიში ქიმიკატებისა და პესტიციდების სია, რომლებიც აკრძალულია წარმოებისთვის, ექსპორტისთვის და იმპორტისთვის სტოკჰოლმის კონვენციით. 2014 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ, რომელიც მოიცავდა შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას და მის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან; ამასთან ერთად ქიმიკატებისა და საშიში/სახიფათო ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება, ქიმიური ნივთიერებების რეესტრის შექმნა.	▸ რეკომენდებულია შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივებთან და რეგულაციებთან ქიმიური ნივთიერებების გამოყენების მიმართებაში: ▸ სამომხმარებლო პროდუქტებისგან, როგორიცაა სათამაშოები, ბავშვთა მოვლის საშუალებები, კოსმეტიკა, სარეცხი საშუალებები, საკვები პროდუქტებისა და ქსოვილები, ყველაზე მავნე ნივთიერებების, მათ შორის ქიმიკატების, რომლებიც გავლენას ახდენენ იმუნურ და რესპირატორულ სისტემებზე, და ისეთ ნივთიერებებზე, როგორიცაა პერ- და პოლიფტორალკილის ნივთიერებები (PFAS) გამოყენების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი გამოყენება საზოგადოებისთვის აუცილებელია. ▸ მავნე ნივთიერებების მინიმუმამდე შემცირება და ჩანაცვლება ყველა პროდუქტში. პრიორიტეტი მიენიჭება პროდუქციის იმ კატეგორიებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწყვლად მოსახლეობაზე და ცირკულარული ეკონომიკის მაღალი პოტენციალის მქონე კატეგორიებს. ▸ ქიმიკატების კომბინირებული ეფექტის (კოქტეილის ეფექტი) გათვალისწინება და იმ რისკის უკეთ გაანალიზება, რომელიც დაკავშირებულია ქიმიკატების სხვადასხვა წყაროებთან ყოველდღიური შეხების შედეგად ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე ზემოქმედებასთან. ▸ მწარმოებლებს და მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციაზე პროდუქტების ქიმიური შემცველობისა და უსაფრთხო გამოყენების შესახებ. ინფორმაციის დატანის მოთხოვნა შეიძლება შემოღებული იქნას მდგრადი პროდუქტის პოლიტიკის ინიციატივის კონტექსტში.

[206] On Environmental Protection | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[207] ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

N	თემა	სამრეწველო ემისიების დირექტივა (IED)[208]
35	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა: მაღალი

სამრეწველო ემისიების პრევენციისა და შემცირების წესების არარსებობა.

განმარტება	რეკომენდაცია
მრეწველობის სექტორი წარმოადგენს ევროპის ერთ-ერთ მთავარ დამაბინძურებელს ჰაერში გაფრქვევების, ჩამდინარე წყლების და ნარჩენების წარმოქმნის გამო. ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2010/75/EU სამრეწველო ემისიების შესახებ (სამრეწველო ემისიების დირექტივა ან IED) არის ევროკავშირის მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს დამაბინძურებლების ემისიებს სამრეწველო დანადგარებიდან. 2022 წლის 5 აპრილს, კომისიამ მიიღო წინადადებები ევროკავშირის ღონისძიებების შესახებ დიდი სამრეწველო დანადგარებიდან დაბინძურების შესამცირებლად. ეს წინადადებები ეხება IED-ის გადახედვას. მწვანე შეთანხმების შესაბამისად, წინადადების საერთო მიზანია წინსვლა ევროკავშირის ნულოვანი დაბინძურების ამბიციისკენ სუფთა გარემოსთვის, კლიმატის ცვლილების შერბილების, ენერგიისა და წრიული ეკონომიკის პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით. ასოცირების ხელშეკრულების თანახმად[209] დირექტივა 2010/75/EU უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში.	▸ MEPA-მ უნდა შეიმუშაოს წესები, რათა თავიდან აიცილოს ან, სადაც ეს შეუძლებელია, შეამციროს სამრეწველო ემისიები ჰაერში, წყალსა და ნიადაგში და თავიდან აიცილოს ნარჩენების წარმოქმნა, რათა შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება. ▸ MEPA-მ უნდა დააჩქაროს (იგეგმება 2022 წლის ბოლომდე) ინდუსტრიული ემისიების შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის დასრულება, მიღება და უზრუნველყოს მისი დროული განხორციელება.

N	თემა	ევროკავშირის წესები გარკვეული ატმოსფერული დამაბინძურებლების ემისიების შესახებ
36	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა: მაღალი

ატმოსფერული დამაბინძურებლების ეროვნული ემისიების შემცირების შესახებ დირექტივის (EU) 2016/2284 ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის აუცილებლობა

[208] The Industrial Emissions Directive - Environment - European Commission (europa.eu) / EUR-Lex - 32010L0075 - EN - EUR-Lex (europa.eu)

[209] association_agreement.pdf (europa.eu)

განმარტება	რეკომენდაცია
დირექტივა (EU) 2016/2284 მიზნად ისახავს ემისიის შემცირების ეროვნული ვალდებულებების დადგენით შეამციროს ჰაერის დაბინძურების ჯანმრთელობისთვის რისკები და გარემოზე ზემოქმედება. კანონმდებლობა შემოთავაზებული იყო, როგორც ევროკავშირის 2013 წლის სუფთა ჰაერის პოლიტიკის პაკეტის ნაწილი, რომელიც მოიცავდა სუფთა ჰაერის პროგრამას ევროპისთვის. დირექტივა მოიცავს 5 დამაბინძურებელს: ▸ გოგირდის დიოქსიდი ▸ აზოტის ოქსიდები ▸ არამეთანის აქროლადი ორგანული ნაერთები ▸ ამიაკი ▸ წვრილი ნაწილაკები. დირექტივა შეიცავს ზღვრულ სამიზნე მაჩვენებელს 2030-სთვის თითოეული დამაბინძურებლის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არის ხელმომწერი ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ (CLRTAP) კონვენციაზე, მისი ვალდებულებები არ მოიცავს ზემოთხსენებული ნივთიერებების ემისიების აკრძალვას/შეზღუდვას.	▸ ხელი შეუწყოს შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას და მიღებას ევროკავშირის 2016/2284 დირექტივაში მოხსენებული დამაბინძურებლების შესახებ, რათა ის კანონმდებლობა 2030 წლამდე შემუშავებული იქნას.

მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები

N	თემა	
		„ფერმიდან ჩანგლამდე“ (სამართლიანი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა კვების სისტემისთვის)[210] **ორგანული სამოქმედო გეგმა**[211] მდგრადი კვების სისტემა ევროპის მწვანე შეთანხმების ცენტრშია.

37	არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	საშუალო

ზუსტი სოფლის მეურნეობა, ორგანული მეურნეობა, აგროეკოლოგია, აგროტყის მეურნეობა, დაბალ ინტენსიური მდელოები და ცხოველთა კეთილდღეობის უფრო მკაცრი სტანდარტები, **„ფერმიდან ჩანგლამდე“** სტრატეგიით და ახალი საერთო **სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკით** (CAP)[1], მხოლოდ ფრაგმენტულად ასახულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში.[212]

[210] f2f_action-plan_2020_strategy-info_en.pdf (europa.eu)

[211] Organic action plan | European Commission (europa.eu) / resource.html (europa.eu) / resource.html (europa.eu)

[212] საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.pdf / საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027 (mepa.gov.ge)

განმარტება	რეკომენდაცია
მწვანე შეთანხმების „ფერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგიის მიხედვით, ევროკომისიამ დაადგინა სამიზნე მაჩვენებელი „ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო მიწის მინიმუმ 25% ორგანული მეურნეობის ქვეშ და ორგანული აკვაკულტურის მნიშვნელოვანი ზრდა 2030 წლისთვის“. ამ მიზნის მისაღწევად და ორგანული პროდუქტების სექტორის სრული პოტენციალის ასათვისებლად, კომისიამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ორგანული წარმოებისთვის ევროკავშირში. საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიები (ბოლო ორი: 2015-2020 და 2021-2027) და შესაბამისი სამოქმედო გეგმები ითვალისწინებენ თანამედროვე მეთოდებსა და პრაქტიკას კლიმატის გონივრული სოფლის მეურნეობის (CSA) მიდგომის მიხედვით. თუმცა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, როგორიცაა ზუსტი სოფლის მეურნეობა, ბიომეურნეობა, აგროეკოლოგია, აგროტყის მეურნეობა, დაბალი ინტენსიური მუდმივი მდელოები და ცხოველთა კეთილდღეობის უფრო მკაცრი სტანდარტები სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული საქართველოს შესაბამის სექტორულ სტრატეგიებში.	▸ რეკომენდებულია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განახლებისას MEPA-მ გაითვალისწინოს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, რომელიც ნაგულისხმევია ევროკავშირის „ფერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგიაში და საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში (CAP). ▸ მონაცემთა შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მონიტორინგისთვის, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ფინანსური მხარდაჭერის სქემების საფუძვლად

N	თემა	
38	**სტრატეგიული სახელმძღვანელო მდგრადი და კონკურენტუნარიანი ევროკავშირის აკვაკულტურისთვის**[213]	

არსებული ხარვეზები	პრიორიტეტულობა	საშუალო

აკვაკულტურის განვითარების სტრატეგიული ხედვის არარსებობა, როგორც სექტორის, რომელიც ამარაგებს ჯანსაღი საკვებით, ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და სამუშაო ადგილებს საქართველოში.

განმარტება	რეკომენდაცია
საქართველომ მიიღო კანონი აკვაკულტურის შესახებ[214] და ევროკავშირისა და FAO-ს მხარდაჭერით ავითარებს აკვაკულტურის განვითარების ეროვნულ სტრატეგიას. თუმცა, ამ ეტაპზე საქართველოს აკლია აკვაკულტურის განვითარების გრძელვადიანი ერთიანი სტრატეგიული ხედვა.	▸ რეკომენდებულია მდგრადი და კონკურენტუნარიანი აკვაკულტურის სტრატეგიული სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინება საქართველოს აკვაკულტურის განვითარების ეროვნულ სტრატეგიაში.

[213] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM:2021:236:FIN

[214] https://matsne.gov.ge/en/document/view/4901055?publication=0

კარგი პრაქტიკის მაგალითები საქართველოში

ამ სექციაში მოცემულია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები საქართველოში, სადაც ნაჩვენებია ეროვნული/რეგიონული ან ადგილობრივი ინიციატივები მდგრადი განვითარების და მწვანე ეკონომიკის მიმართულებით. ეს არის (საზოგადოების პროექტები, ტექნოლოგიური ინოვაციები, ჭკვიანი მობილობის კონცეფციები, ცნობიერების ამაღლების ინიციატივები, დაფინანსების კონცეფციები) პროექტები, პოლიტიკა ან ინიციატივები, რომლებსაც აქვთ მასშტაბურობის პოტენციალი და ხელს უწყობენ სათბურის გაზების ემისიების შემცირებას და უფრო ჯანსაღი გარემოს შექმნას. თითოეული მაგალითი დეტალურად არის აღწერილი, მათ შორის მოყვანილია ინფორმაცია განხორციელების ინსტრუმენტის ტიპზე, განხორციელების სტატუსზე, ზემოქმედებაზე, თანასარგებელზე, დაფინანსებაზე, განმახორციელებელ ორგანოზე და ა.შ.

პროექტის/პოლიტიკის/ინიციატივის დასახელება	ნეტო აღრიცხვის რეგულაცია[215]
განხორციელების სტატუსი (განხორციელებული, მიმდინარე, დაგეგმილი)	მიმდინარე
განმახორციელებელი ორგანო და განხორციელების დონე (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური)	საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ), ეროვნული დონე მიკრო სიმძლავრის გენერაციის შესახებ ჩანართები მოყვანილია სემეკის დადგენილებაში „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“
განხორციელების ინსტრუმენტის ტიპი (სათემო პროექტი, ტექნოლოგიური ინოვაცია, ჭკვიანი მობილობის კონცეფცია, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა, დაფინანსების კონცეფცია)	მარეგულირებელი მექანიზმი, დაფინანსების კონცეფცია

215 GNERC - Net Metering

პროექტის ამოცანები

მზის, ქარის, ჰიდრო და/ან სხვა განახლებადი ენერგიის მიკრო გენერატორის მფლობელს, რომლის სიმძლავრეც 500 კვტ-ზე ნაკლებია, შეუძლია მიუერთდეს ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელს და ჭარბი ელექტროენერგია მიაწოდოს გამანაწილებელ კომპანიას. ეს საშუალებას მისცემს მფლობელებს დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნა ენერგიაზე, დაზოგონ კომუნალური გადასახდელები და მიიღონ ანაზღაურება გამანაწილებელი კომპანიისგან. უფრო მეტიც, ისინი გამოიმუშავებენ სუფთა ენერგიას გარემოზე მავნე ზემოქმედების გარეშე.

ნეტო აღრიცხვა არის მიკრო გენერატორის მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის გადინების და ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის აღრიცხვის პროცესი, რომლის დროსაც გამომუშავებული და მოხმარებული ელექტროენერგია ერთმანეთს აბალანსებს.

ნეტო აღრიცხვის მექანიზმის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, ქალაქსა თუ სოფლის მცხოვრებს. ეს არ არის სამეწარმეო საქმიანობა. მიკროწარმომქმნელი ელექტროსადგური შეიძლება არ იყოს ამ მომხმარებლის (მომხმარებლების) საკუთრება, ის შეიძლება იყოს მის (მათ) დროებით საკუთრებაში იჯარის, ქირავნობის ან სხვა სახის ხელშეკრულების სახით.

მიკრო გენერატორის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება და გამომუშავებული ელექტროენერგიის მოხმარება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ადგილას. ამ მიზნით აუცილებელია მიკრო გენერატორი და მომხმარებელი/მომხმარებელთა ჯგუფი ერთსა და იმავე სადისტრიბუციო კომპანიასთან იყოს დაკავშირებული. თუ გენერირებისა და მოხმარების წერტილები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თითოეულ მომხმარებელს ანგარიშსწორების მიზნით უნდა დამონტაჟდეს როგორც სპეციალური მრიცხველები, ასევე - ჭკვიანი მრიცხველები.

მიკროგენერაციის ელექტროსადგურის ქსელთან მიერთების მსურველი განმცხადებელი მიმართავს განაწილების ლიცენზიის მფლობელს. მიკროელექტროსადგურის ქსელთან მიერთება ხდება მარტივი პროცედურის - ერთი ფანჯრის პრინციპით. მომხმარებლის განაცხადის მიღების შემდეგ, კომპანია ვალდებულია დააინსტალიროს რევერსული ან ჭკვიანი მრიცხველი. განაწილების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მიიღოს მიკროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია და გადაუხადოს მომხმარებელს მიღებული და მოხმარებული ელექტროენერგიის სხვაობის მიხედვით.

განახლებად ენერგიასთან და ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დებულებით „საქართველოს ენერგეტიკის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“. 2016 წელს განახლებადი ენერგიის მოხმარების ხელშეწყობის მიზნით კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა მიკროწარმომქმნელი ელექტროსადგურის სტატუსი და მისი მაქსიმალური სიმძლავრე; კანონმა ასევე განსაზღვრა მიკროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში მიწოდების პრინციპები.

ამ ცვლილებების საფუძველზე კომისიამ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესში განსაზღვრა მიკროსიმძლავრის მქონე ელექტროსადგურის სტატუსი, გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ვადები, საფასური (დღგ-ს ჩათვლით) და ბილინგი/ნეტ. - მიკროელექტროსადგურების საცალო მომხმარებლების გამრიცხველიანების წესები.

შედეგები

პოლიტიკას აქვს შემდეგი უპირატესობები:

- პოლიტიკამ ხელი შეუწყო განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების ბიზნესს და მის განვითარებას საქართველოში. 2022 წლის აპრილის მდგომარეობით, ექსპლუატაციაშია 20.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის 397 მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური.[216]
- პოლიტიკამ გაზარდა ელექტრიკოსების და ინჟინრების დასაქმება სექტორში.
- მას აქვს მნიშვნელოვანი სარგებელი კომერციული სექტორისთვის ელექტროენერგიის ხარჯების დაზოგვის თვალსაზრისით.
- პოლიტიკამ ხელი შეუწყო ნედლეულის ადგილობრივ წარმოებას (კაბელები, სტრუქტურული მასალები და ა.შ.)

[216] GNERC, 13 April 2022 FB post

დაფინანსების სქემა

მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელის მიერ ელექტროენერგიის ქსელში მიწოდებული ელექტროენერგია და გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერგია აღირიცხება ცალ-ცალკე რევერსული მრიცხველით.

- თუ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური გამოიმუშავებს ჭარბ ენერგიას და ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა აღემატება ქსელიდან მიღებულ ენერგიას, სხვაობა, ანუ ჭარბი ენერგია ჩაითვლება მომხმარებლის მიერ ქსელში მიწოდებულ ენერგიად და ჩაირიცხება მომდევნო თვის ანგარიშზე კრედიტის სახით.
- თუ მიკრო ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და მომხმარებლისთვის კრედიტის სახით დარიცხული (ქსელში მიწოდებული) ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობა ნაკლებია სადისტრიბუციო ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, სხვაობა ჩაითვლება შეძენილ ელექტროენერგიად ქსელიდან და დაანგარიშდება შესაბამისი ძაბვის/დონის სამომხმარებლო საშუალო ტარიფით.
- საანგარიშო წლის ბოლოს (მაისიდან მაისამდე) ბოლო თვის ქვითარში კრედიტად ასახული ელექტროენერგია ჩაითვლება გამანაწილებელი ქსელის მიერ შეძენილ ელექტროენერგიად. შესაბამისად, კომპანია საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს განაწილების ლიცენზიის მფლობელისთვის კომისიის მიერ დადგენილი ელექტროენერგიის შესყიდვის ტარიფის შესაბამისად.
- კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა შეიძლება აისახოს მომხმარებლის აბონენტის ბარათზე და გამოიყენოს შემდეგი გადასახადისთვის ან მისი მოთხოვნით კომპანიამ გადარიცხოს მითითებულ მომხმარებლის საბანკო ანგარიშზე სამი სამუშაო დღის განმავლობაში.
- მომხმარებელთა ჯგუფის შემთხვევაში, განაწილების ლიცენზიის მფლობელი ჯგუფის თითოეულ წევრს ინდივიდუალურად გადაუხდის. მიკრო ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია თანაბრად გადანაწილდება ჯგუფის წევრებზე, თუ ჯგუფის წევრებს შორის სხვა ტიპის განაწილება არ არის შეთანხმებული.

პროექტის/პოლიტიკის/ინიციატივის დასახელება	**ნიკო კეცხოველის პრიზი**[217] სასკოლო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს ტყის ეკოსისტემების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი აქტივიზმის განვითარებას.
განხორციელების სტატუსი (განხორციელებული, მიმდინარე, დაგეგმილი)	მიმდინარე
განმახორციელებელი ორგანო და განხორციელების დონე (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური)	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), საქართველო სხვა ჩართული დაინტერესებული მხარეები: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი პროექტი ეროვნულ დონეზე ხორციელდება.
განხორციელების ინსტრუმენტის ტიპი (სათემო პროექტი, ტექნოლოგიური ინოვაცია, ჭკვიანი მობილობის კონცეფცია, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა, დაფინანსების კონცეფცია)	ცნობიერების ამაღლების ინიციატივა

პროექტის ამოცანები

2016 წელს, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „ტყის მდგრადი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, დაწესდა გარემოსდაცვით ახალგაზრდული ჯილდო - **ნიკო კეცხოველის პრემია**. ყოველწლიური ეროვნული სასკოლო კონკურსი მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობას, განსაკუთრებული ფოკუსით ტყესთან დაკავშირებულ საკითხებზე და ახალგაზრდების ჩართვას სამოქალაქო ცხოვრებაში. რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ჯგუფებს შეუძლიათ დააგროვონ ქულები აქტივობების, ღონისძიებების ან მცირე მასშტაბის კვლევითი პროექტების ორგანიზებისთვის forestry.ge-ზე გათვალისწინებული გამოწვევებისა და ამოცანების მიხედვით. ყოველი საკონკურსო წლის ბოლოს ექსპერტთა ჟიური ირჩევს სამ საუკეთესო მოსწავლეს „ეკო კლუბის“ რამდენიმე ასეული მონაწილიდან, ცნობილი ქართველი ბიოლოგის, მეცნიერისა და მწერლის, ნიკო კეცხოველის, სახელობის ჯილდოს გადასაცემად.

[217] https://www.climateactionstories.com/education-capacity-building/niko-ketskhoveli-prize

პროექტი ამაღლებს სკოლის მოსწავლეების ცნობიერებას ტყის ეკოსისტემის მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რითაც ხელს უწყობს პოზიტიურ და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას ტყეებისა და ზოგადად ბუნების მიმართ. გარდა ამისა, აქტივობა ხელს უწყობს კონკრეტულ გარემოსდაცვით აქტივიზმს, როგორიცაა რეკრეაციული ტყის ადგილების მიღება და მოვლა, ასობით დასუფთავებისა და ხეების დარგვის აქციის ორგანიზება ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით, სკოლებში ერთჯერადი პლასტმასის აკრძალვა და ა.შ.

შედეგები

სკოლის მოსწავლეების აქტიურობამ წამოიწყო კრწანისის ტყე-პარკის განვითარების პროგრამაც კი, რის შედეგადაც თბილისის მახლობლად 210 ჰექტარი ურბანული ტყე გამოცხადდა რეკრეაციის ზონად.

გარდა ამისა, პროგრამა მხარს უჭერს კლასგარეშე მწვანე ბანაკების ორგანიზებას აქტიური ეკო კლუბებისთვის, სპეციალური საზაფხულო ტრენინგებს სკოლის მასწავლებლებისთვის და ბეჭდური და ციფრული საინფორმაციო მასალებს, რომლებიც უფასოდ ნაწილდება სოფლის თემებში, სოფლის ქალთა კლუბებში, უნივერსიტეტებში და ა.შ.

2016 წლიდან 4000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო აღნიშნული პროექტისგან პირდაპირი სარგებელი.

დაფინანსების სქემა

დაფინანსების ტიპი - გრანტი.
პროექტის დაფინანსების მოცულობა: 10.000-100.000 EUR

პროექტის/პოლიტიკის/ინიციატივის დასახელება	ბიოდიზელის წარმოება საქართველოში
განხორციელების სტატუსი (განხორციელებული, მიმდინარე, დაგეგმილი)	მიმდინარე
განმახორციელებელი ორგანო და განხორციელების დონე (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური)	კერძო კომპანია
განხორციელების ინსტრუმენტის ტიპი (სათემო პროექტი, ტექნოლოგიური ინოვაცია, ჭკვიანი მობილობის კონცეფცია, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა, დაფინანსების კონცეფცია)	ტექნოლოგიური ინოვაცია, ცირკულარული ეკონომიკის მაგალითი

პროექტის მიზნები

2018 წელს შპს „ბიოდიზელ ჯორჯიამ“, პირველად საქართველოში და მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დანერგა ინოვაციური ტექნოლოგია, გახსნა ბიოდიზელის ქარხანა და დაიწყო სუფთა, განახლებადი, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის – ბიოდიზელის წარმოება (www.biodiesel.ge). მას შემდეგ ქარხანა წარმატებით ფუნქციონირებს, მუდმივად ზრდის წარმოებას.

ქარხანა იყენებს როგორც ახალ, ასევე მეორად (გამოყენებულ) ზეთს, როგორც ნედლეულს ბიოდიზელის წარმოებისთვის. ქარხანამ უკვე შეაგროვა და გადაამუშავა თითქმის 465 ათასი ლიტრი გამოყენებული ზეთი (რომელიც გამოიყენება კვებით ინდუსტრიაში) და გამოუშვა 345 ტონაზე მეტი სუფთა, ეკოლოგიურად სუფთა საწვავი - ბიოდიზელი და,

შესაბამისად, დაზოგა 950 ტონაზე მეტი CO2. ბიოდიზელმა უკვე მოიპოვა ლოიალური მომხმარებელი საქართველოში და სულ უფრო მეტი მომხმარებელი ირჩევს ბიოდიზელს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის საწვავს.

შედეგები

გამოყენებული საკვები ზეთის (UCO) რაოდენობა შეიძლება ერთი შეხედვით უმნიშვნელო ჩანდეს, მაგრამ სათანადო მენეჯმენტითა და ორგანიზებით, ყოველთვიურად 100 ტონაზე მეტი UCO შეიძლება შეგროვდეს საქართველოში და გადამუშავდეს ბიოდიზელად. რეციკლირებული ზეთიდან ბიოდიზელის წარმოება ორმაგ სარგებელს მოუტანს გარემოს: გამოყენებული საკვები ზეთი, რომელიც თხევადი ნარჩენებია, აღარ განთავსდება ნარჩენების ნაგავსაყრელზე, სადაც ის აბინძურებს გარემოს. ამის ნაცვლად ის შეგროვდება და გადაიქცევა ყველაზე ეკოლოგიურ საწვავად - ბიოდიზელად.

2018 წელს, როდესაც შპს „ბიოდიზელ ჯორჯიამ“ დაიწყო ბიოდიზელის რეგულარული წარმოება, მას ჰყავდა მხოლოდ 25 UCO მიმწოდებელი კომპანია, ხოლო ბიოდიზელის მთლიანი წარმოება თვეში სულ რაღაც 10-12 ტონას შეადგენდა. დღეს კომპანიას ჰყავს 355 UCO მიმწოდებელი მხოლოდ თბილისში (საქართველოს დედაქალაქი), ხოლო 507 მიმწოდებელი ქვეყნის მასშტაბით, შესაბამისად, ყოველთვიური წარმოება გაიზარდა და თვეში 55 ტონას მიაღწია. მომწოდებლები არიან კვების მრეწველობაში მომუშავე ყველა მსხვილი ბრენდი – KFC, მაკდონალდსი, ბურგერ კინგი, მრავალი სასტუმრო, სწრაფი კვების ობიექტები, რესტორანი – ნებაყოფლობით თანამშრომლობენ შპს Biodiesel Georgia-სთან.

Biodiesel Georgia-მ წარმატებით მიაღწია შეთანხმებას ახლად გახსნილ ქარხანასთან „ივერია ოილ ინტერნეიშენალთან“, რომელიც ბათუმში დაარსდა. საწარმო მზესუმზირის ზეთს აწარმოებს. წარმოების პროცესის დროს ქარხანა იღებს ზეთის ფრაქციას, რომელსაც ისინი ვერ იყენებენ კვების მრეწველობაში, მაგრამ ეს არის შესანიშნავი ნედლეული ბიოდიზელის წარმოებისთვის. ეს მომწოდებელი ყოველთვიურად 6,5-7 ტონა ზეთს მიაწვდის.

საქართველოში UCO-ს შეგროვების პოტენციალი კომპანიის კვლევის მიხედვით თვეში 120-130 ტონაა. გარდა ამისა, კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს მეზობელ ქვეყნებში UCO-ს რამდენიმე მსხვილ მომწოდებელთან, რომელსაც აქვს პოტენციალი გაზარდოს UCO-ს შეგროვება თვეში 220-240 ტონამდე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნაყოფიერი მიწების 1/3-ზე მეტი არ არის დამუშავებული, კომპანიამ გადაწყვიტა ითანამშრომლოს ფერმერებთან, რათა მოეყვანა რაფსი. როგორც საცდელი პროექტი Biodiesel Georgia-მ 65 ჰექტარი აღმოსავლეთ საქართველოში გააშენა რაფსი (ლათ. Brassica napus), რომლის ზეთი შესანიშნავი ნედლეულია ბიოდიზელის წარმოებისთვის, ხოლო ზეთის წარმოების ნარჩენი, როგორც სუბპროდუქტი გამოიყენება მეცხოველეობისთვის. ამით კომპანიამ ხელი შეუწყო აგრობიზნესის განვითარებას საქართველოშიც.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან, ფერმერებთან და ფერმერთა ასოციაციასთან კონსულტაციების საფუძველზე, Biodiesel Georgia-მ გადაწყვიტა რაფსი მხოლოდ მოსავლის ბრუნვის კულტურად გამოიყენოს. ეს ნიშნავს, რომ ფერმერები, რომლებიც საქართველოში ხორბალსა და სიმინდს მოჰყავთ, ძირითადი კულტურის (ანუ ხორბლის ან/და სიმინდის) მოყვანიდან 2 წლის შემდეგ, კიდევ ორი წლით ტოვებენ მიწას ხელუხლებლად. ამავდროულად, ფერმერები საქართველოში ეძებენ მცენარეთა კულტურას, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ამ „დასვენების" პერიოდში, რათა პასიური დასვენების ნაცვლად მიწა სხვა კულტურის გასაშენებლად გამოიყენონ და ამავდროულად შეინარჩუნონ ნიადაგის თვისებები, შემადგენლობა და ნაყოფიერება.

რაფსი მიეკუთვნება Brassicaceae-ს ოჯახს, კერძოდ, ის არის Brassica napus, ამიტომ, როგორც ამ ოჯახის თითქმის ყველა მცენარე, რაფსი შესანიშნავი მოსავლის ბრუნვის კულტურაა. რაფსის მცენარეებს ფესვებზე აქვთ სპეციალური ბაქტერიები, რომლებიც შთანთქავენ აზოტს ატმოსფეროდან და ამდიდრებენ ნიადაგს ნიტრატით, ფაქტობრივად ის მოქმედებს როგორც მიწის ბიო სასუქი. ეს ყველაფერი ძალიან დადებით შედეგს მოიტანს - მიწა მხოლოდ „პასიურ დასვენებაში" კი არ არის, არამედ ფერმერები იყენებენ რაფსის მოსაყვანად და მომავალ წელს, როცა კვლავ ხორბალი მოჰყავთ, ფერმერები 10-12%-ით უკეთეს მოსავალს მიიღებენ.

ეს მიდგომა სარგებელს მოუტანს ორივე მხარეს: ფერმერები გაზრდიან პროდუქტიულობას და მათი ძირითადი კულტურების მოსავალს. გარდა ამისა, ისინი მიიღებენ შესაძლებლობას მიიღონ ახალი მოსავალი, რომელსაც მთლიანად შეისყიდის კომპანია ბიოდიზელის წარმოებისთვის და შპს Biodiesel Georgia მიიღებს მეტ ნედლეულს, რათა მეტად განავითაროს ბიოდიზელის წარმოება საქართველოში.

დაფინანსების სქემა

კერძო დაფინანსება

პროექტის/პოლიტიკის/ინიციატივის დასახელება	საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება
განხორციელების სტატუსი (განხორციელებული, მიმდინარე, დაგეგმილი)	მიმდინარე
განმახორციელებელი ორგანო და განხორციელების დონე (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური)	UNDP და საქართველოს მთავრობა (ეროვნული და სათემო დონე)
განხორციელების ინსტრუმენტის ტიპი (სათემო პროექტი, ტექნოლოგიური ინოვაცია, ჭკვიანი მობილობის კონცეფცია, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა, დაფინანსების კონცეფცია)	ტექნოლოგიური ინოვაცია, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა, სათემო პროექტი

პროექტის ამოცანები

შეამციროს საქართველოს თემების და ინფრასტრუქტურის მოწყვლადობა ბუნებრივი კატასტროფების მიმართ კარგად მოქმედი ადრეული გაფრთხილების სისტემისა და რისკის შესახებ ინფორმირებული მხარდაჭერის მეშვეობით.

შედეგები

მოსალოდნელი შედეგები:

- საფრთხეებისა და რისკების რუკები საქართველოს 11 მდინარის აუზში.
- ჰიდრომეტის გაფართოებული სადამკვირვებლო ქსელი 140-მდე მონიტორინგის აღჭურვილობის ერთეულის ჩათვლით, განახლებული ICT სისტემა, HPC.
- საინფორმაციო სისტემა მრავალი საფრთხის და ბუნებრივი კატასტროფის რისკის შესახებ (MHDRIS).
- საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემები შეიქმნა შესაბამისი კოორდინაციის მექანიზმებით და გაძლიერებული სამართლებრივი ჩარჩოს მხარდაჭერით.
- MH რისკის მართვის დაგეგმვა აუზისა და მუნიციპალურ დონეზე.
- გაძლიერებული კლიმატის საინფორმაციო სერვისები და პროდუქტები.
- თემზე დაფუძნებული კატასტროფების რისკის მართვის აქტივობები და თემზე დაფუძნებული ადრეული გაფრთხილების სისტემები 100 ყველაზე დაუცველ თემში განხორციელდება.
- ცნობიერების ამაღლება და განათლება ეროვნულ და სათემო დონეზე.
- წყალდიდობისგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება 15 უბანზე.

დაფინანსების სქემა

დონორული დაფინანსება GCF, SDC და SIDA-ს მიერ, საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობით, ჯამში, $74 მლნ.

პროექტის/პოლიტიკის/ინიციატივის დასახელება	**ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR-II)**
განხორციელების სტატუსი (განხორციელებული, მიმდინარე, დაგეგმილი)	დასრულებული ხანგძლივობა: 16/3/17 - 15/3/20
განმახორციელებელი ორგანო და განხორციელების დონე (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური)	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), საქართველო პროექტი ხორციელდებოდა ეროვნულ დონეზე.
განხორციელების ინსტრუმენტის ტიპი (სათემო პროექტი, ტექნოლოგიური ინოვაცია, ჭკვიანი მობილობის კონცეფცია, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა, დაფინანსების კონცეფცია)	სათემო პროექტი, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა.

პროექტის ამოცანები

WMTR დაეხმარა მთავრობას ქვეყნის ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებაში და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში. მხარდაჭერა მოიცავდა საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას მონაწილეობითი და ინკლუზიური მიდგომების გამოყენებით, ასევე - დახმარებას კანონმდებლობის მოთხოვნების დანერგვაში, კერძოდ ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესებაში და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების ამაღლებაში.

WMTR-ს ოთხი ძირითადი მიზანი ჰქონდა:

① ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა (თბილისი, აჭარა, შიდა ქართლი და კახეთი);

② გადამუშავების/რეციკლირების სექტორის შესაძლებლობების გაზრდა;

③ ხარჯების ანაზღაურების ტარიფის მეთოდოლოგიის დანერგვა; და

④ ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის შესახებ ფართო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება და ცნობიერების ამაღლება.

შედეგები

ცირკულარული ეკონომიკა და რესურსების ეფექტურობა

პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია და მიღებულია მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის 19 გეგმა და დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის 3 გეგმა. პროგრამამ ხელი შეუწყო მწარმოებლების გაფართოებული პასუხისმგებლობის (EPR) 3 რეგულაციის შემუშავებას და ითვალისწინებდა ბიომრავალფეროვნების წინაშე მდგარი გამოწვევებს, მათ შორის ნაგვის და მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დაბინძურებას. პროექტის სამიზნე რეგიონებში 10 უკანონო ნაგავსაყრელის დაიხურა. WMTR II-მ ასევე წამოიწყო ეროვნული კამპანია Keep Georgia Beautiful, საქართველოს ბიომრავალფეროვნების და სუფთა გარემოს შესანარჩუნებლად საჯარო და კერძო სექტორთან გრძელვადიანი პარტნიორობით.

WMTR II პროგრამამ ჩამოაყალიბა ახალი საჯარო და კერძო პარტნიორობა (PPP) ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების სფეროში, რომელმაც შემოიღო ნარჩენების სეპარაციის პირველი საჯარო სქემები ქვეყანაში. 2020 წლის მდგომარეობით, პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს ჰქონდა ნარჩენების დახარისხების/სეპარაციის 47 კუთხე, რომლებიც განლაგებულია საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ გადასამუშავებელი ნარჩენების - ქაღალდის, პლასტმასის ბოთლების, მინის და ალუმინის განთავსება. კერძო კომპანიები აგროვებენ გამოყოფილ ნარჩენებს და აწვდიან გადამამუშავებელ კომპანიებს. გარდა ამისა, საქართველოს რეგიონების 28-მა სკოლამ და სხვადასხვა დაწესებულებამ დაიწყო ნარჩენების სეპარაცია მათ ტერიტორიაზე.

პროგრამის მიზანი იყო ნარჩენების მართვის სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფა შესაბამისი ტარიფისა და ხარჯების აღდგენის სისტემის ჩამოყალიბების და უკანონო ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსების საჯარიმო ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მეშვეობით.

ბიზნეს გარემოს შექმნა ინკლუზიური ეკონომიკისთვის

პროგრამამ დაეხმარა საქართველოს გადამუშავების/რეციკლირების ბიზნესების გაძლიერებაში და მისცა მათ საშუალება გაუმჯობესონ თავიანთი ბიზნეს ოპერაციები და გაზარდონ გაყიდვები ტექნიკური მხარდაჭერისა და ქვეგრანტების მეშვეობით. შედეგად, ნარჩენების დაგროვებისა და გადამუშავების 15 კომპანიამ გაუმჯობესა მიწოდების ჯაჭვები და უფრო ადვილად დაამყარა ბიზნეს კავშირების ნარჩენების დიდ მწარმოებლებთან. WMTR II ასევე მხარს უჭერდა კომპანიებს მენეჯმენტის პრაქტიკისა და ბიზნესის წარმადობის გაუმჯობესებაში, ეხმარება მათ საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებაში, ფინანსური სისტემებისა და მარკეტინგული პროცესების გაუმჯობესებაში, ასევე პროდუქტის ხარისხის სტანდარტების დანერგვაში. გარდა ამისა, 5 გადამამუშავებელი კომპანიისთვის გაცემული ქვეგრანტები მათ საშუალება მისცა განაახლონ აღჭურვილობა, გაზარდონ თავიანთი წარმოების შესაძლებლობები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ გადამუშავებული პროდუქციის ხარისხი.

პროგრამამ დააარსა და გააძლიერა საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაცია (GWMA), ხელი შეუწყო მათ კომუნიკაციას და თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე დაეხმარა მათ სამთავრობო დონეზე საკანონმდებლო ცვლილებების ლობირებაში.

განათლების სისტემების გაძლიერება

პროგრამამ შეძლო ცირკულარული ეკონომიკის შესახებ თანამედროვე კურსის ჩართვა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის, ISET-ის სასწავლო პროგრამაში, ასევე გააძლიერა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობები განათლების და ცნობიერების ამაღლების გზით.

დაფინანსების სქემა

USAID-ის მიერ გამოყოფილი გრანტი.

პროექტის/პოლიტიკის/ინიციატივის დასახელება	**უდაბნო[218] შპს**
განხორციელების სტატუსი (განხორციელებული, მიმდინარე, დაგეგმილი)	მიმდინარე
განმახორციელებელი ორგანო და განხორციელების დონე (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური)	რეგიონალური - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
განხორციელების ინსტრუმენტის ტიპი (სათემო პროექტი, ტექნოლოგიური ინოვაცია, ჭკვიანი მობილობის კონცეფცია, ცნობიერების ამაღლების ინიციატივა, დაფინანსების კონცეფცია)	სათემო პროექტი

პროექტის ამოცანები

რამდენიმე წლის წინ შპს „უდაბნოს“ მფლობელებმა გადაწყვიტეს ფაქტობრივად ნახევრად უდაბნო ტერიტორია გადაეკეთებინათ ადგილად, რომელიც იქნებოდა რეგიონში ორგანული წარმოებისა და ეკო ინოვაციების პიონერი. შპს „უდაბნო“ მართავს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სასოფლო-სამეურნეო ობიექტს საქართველოსში, აღმოსავლეთ კახეთში. ნუშის ბაღი (2000 ჰა), კენკროვანი მეურნეობები (2020 ჰა), ვენახი ენდემური ყურძნის ჯიშებით (8 ჰა), ასევე ფერმა (კამეჩები, თხა, ქათამი). ჰოლდინგი ადგენს ახალ სტანდარტებს ინდუსტრიაში. გარდა ამისა, კომპანია გეგმავს განავითაროს სასტუმრო და რესტორანი შორეულ რაიონში და შესთავაზოს მომხმარებლებს „ფერმიდან-ჩანგლამდე“ მომსახურება.

218 Agriculture | Adjara Group

2000 ჰექტარის ნუშის ბაღი იმართება უმაღლესი ხარისხის ტექნოლოგიების გამოყენებით და ემსახურება ცოდნის გაცვლის პლატფორმას ქართველ პროფესიონალებსა და საერთაშორისო ექსპერტებს შორის. ხეხილის ბაღი ყოველწლიურად ფართოვდება და ნუშის სანერგე მეურნეობის განვითარებით კომპანია გეგმავს მცენარეების საკუთარი ნერგებით სრულად გაშენებას.

შედეგები

კახეთში 8000 ჰექტარამდე მიწის განაშენიანებით უდაბნო გადამწყვეტ როლს თამაშობს გაუდაბნოებასთან ბრძოლაში, ამავდროულად რეგიონში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და განვითარებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, რომ უკვე გაყვანილია 25 კილომეტრზე მეტი წყლის მილები, ასევე ფუნქციონირებს ეფექტური, ავტომატური სარწყავი სისტემები.

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და გენდერულად დაბალანსებული სამუშაო გარემოს შექმნა კომპანიის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში პრიორიტეტულია. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის მაცხოვრებლების გარკვეული ნაწილი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებია, უდაბნოს გუნდი ზრუნავს, რომ შეიქმნას ინკლუზიური სამუშაო გარემო.

ამჟამად ნუშის შემდეგი ესპანური და იტალიური ჯიშები იზრდება მეურნეობაში: სუპერნოვა, გენკო, გუარა, სოლეტა და ლორანი. 2021-2022 წლისთვის ბაღიდან მიღებული მოსავალი ექსპორტზე გავა და ქართულ ბაზარზეც გაიყიდება, რაც უდაბნოს გახდის ნუშის ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებელს კავკასიის რეგიონში.

უდაბნოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები მოიცავს 60 ხმელთაშუა ზღვის კამეჩს, 50 ალპურ თხას და 120 წიწილას, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. კომპანია გეგმავს რძის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებას ყველის, ნუშის რძის დასამზადებლად და ფერმის რძის პროდუქტების შემდგომი გამოყენებისთვის.

უდაბნო Adjara Group Holding-ის რესტორნების ახალ პროდუქტს პირდაპირ კახეთის მეურნეობიდან აწვდის. გარდა ამისა, ჰოლდინგის რესტორნების მიერ წარმოებული ყველი და მაწონი იყენებს თხის და კამეჩის რძეს კომპანიის რძის და მეფრინველეობის ფერმიდან. ადგილობრივი მოსახლეობა მნიშნელოვან როლს ასრულებს ჰოლდინგის სისტემაში შექმნილი ღირებულების ჯაჭვის სწორად ფუნქციონირებაში და Adjara Group Holding-ის დაწესებულებებისთვის უმაღლესი ხარისხის ახალი პროდუქტების მიწოდებაში.

კომპანია ფერმის წყალმომარაგებისთვის 15 კმ-იანი სარწყავი არხის აშენებას გეგმავს. არხი ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი ფერმერებისთვისაც. მოკრეფილი ნუშისა და სხვა პროდუქტების გადასამუშავებლად იგეგმება ქარხნის აშენება, რომელიც ადგილობრივ ფერმერებსაც შესთავაზებს მომსახურებას. კომპანია მიზნად ისახავს უნაყოფო საწარმოო ხაზის შექმნას და გეგმავს ფერმისა და ნუშის ბაღებიდან დაგროვილი ნარჩენების გამოყენებას ბიოდიზელის, სასუქების, მულჩისა და ბრიკეტების წარმოებისთვის. სათბურებში გამოყენებული იქნება ორგანული საწვავი.

დაფინანსების სქემა

ვინაიდან პროექტის ძირითადი შემოსავალი ნუშის ბაღებია და მოსავლის აღებამდე 4-5 წელი სჭირდება, პროექტს ამ პერიოდის განმავლობაში ფულადი სახსრების შემოდინება არ აქვს. პროექტის დაფინანსება მოდის როგორც დამფუძნებლის წვლილიდან, ასევე სესხიდან. კომპანიამ დაამტკიცა საკრედიტო ხაზი ადგილობრივ ბანკებთან რითიც ის აფინანსებს სხვადასხვა კაპიტალურ და საოპერაციო ხარჯებს.[219, 220]

[219] Management report. Available at https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/8366

[220] https://bit.ly/3shXs4v